1134
2000

# არილი

№14 (159) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 12 ოქტომბერი

ფასი 50 თეთრი

#14
2000



"სამოქალაქო სიკვდილის არ მეშინია, მე უკვე ვიცხოვრე შინაგან ემიგრაციაში, მაგრამ ვეწინააღმდეგები იმათ, ვინც დღეს ახალ მონობას გვპირდება. მე ვიბრძვი არა ქართული ენისთვის, არამედ იმისთვის, რაც ამ ენაზე ითქმება. მე რწმენა არ მინდა, მე სინდისის თავისუფლება მინდა"

მერაბ მამარდაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი


მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
გია გორგოძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№14 ხუთშაბათი. 12 ოქტომბერი. 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


**მერაბ მამარდაშვილი - 70**


ზურაბ კიკნაძე
ფიქრი, ისტორია და მოწოდება ........ 1

მერაბ მამარდაშვილი
"იცხოვრო დროის შესაბამისად" ........ 2

ინტერვიუ მერაბ მამარდაშვილთან ........ 5

ჟან პიერ ვერნანი
ქართველი სოკრატე ........ 6

დავით ანდრიაძე
ცნობიერების გახმოვანება ........ 8

ზაზა კვერცხიშვილი
პიროვნული - ეროვნული - უნივერსალური ........ 12


**ლიტერატურა**


ზვიად რატიანი
მოხეტიალე ნერგები ........ 14

დიანა ვაჩნაძე
ლექსები ........ 20

ტედ ჰიუზი
ლექსები ........ 21

ლუიჯი პირანდელო
ტყვეობა ........ 23


**რელიგია**


ზაზა ფირალიშვილი
იერონიმუს ბოსხი და Divina commedia ........ 31

ზაალ დგებუაძე
ვის აბარია ადამის თავის ქალა? ........ 35


**პუბლიცისტიკა**


ია ანთაძე
რატომ წავიდა მიხეილ სააკაშვილი ........ 37

თამარ სუხიშვილი
"უსუმპლუსორ, უსუმპლუსორ" ........ 29

ზაზა ფაჩუაშვილი
ირმების გადასახედო... ........ 39

1134
2000





*ჩვენი დროის ამ დიდი მოაზროვნისათვის, რომლის ბედისწერაც ფილოსოფოსობა იყო, ნიშანდობლივია თავისუფლებისაკენ სწრაფვა, ჭეშმარიტების უანგარო სიყვარული, გონების სიძლიერე, ზნეობრივი სრულყოფა.*

*ცივილიზებულ ერად ქცევის უმთავრეს პირობად მერაბ მამარდაშვილი ეროვნულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მიიჩნევდა. იგი ცდილობდა "ჰომო სოვიეტიკუსად" ფორმირებულ ადამიანში პიროვნება გაეღვიძებინა, გაეთავისუფლებინა იგი ფანტომებისა და ქიმერებისაგან.*

*"ადამიანმა უნდა მოიპოვოს შინაგანი თავისუფლება საკუთარ თავთან და ადამიანთა საზოგადოებასთან ბრძოლაში... ადამიანი არ არსებობს, იგი იქმნება. ადამიანის მისწრაფება ეს არის საკუთარი თავის რეალიზება... მაგრამ ამისათვის მას სჭირდება თავისუფალი სივრცე, ასპარეზი, "აგორა" - სამოქალაქო საზოგადოება. ამ სივრცის გარეშე იგი ყალბი არსებობის, ლანდების, ფანტომების სამყაროში რჩება".*

*15 სექტემბერს მერაბ მამარდაშვილს 70 წელი შეუსრულდებოდა...*

ზურაბ კიკნაძე

# ფიქრი, ისტორია და მოწოდება

ჰერაკლიტეს ცნობილი თქმით, ადამიანი მდინარის ერთსა და იმავე ნაკადში ორგზის ვერ შედის. სხვა შორს წავიდა: არათუ ორგზის, ერთგზისაც კი შეუძლებელიაო შესვლა. ამით დასცინა მან ჰერაკლიტეს "სიბნელეს" ("ჰერაკლიტე ბნელი", skoteinos) თუ აბსურდამდე განავითარა მისი აზრი? ყოველი მეტაფორა აბსურდამდე მივა, თუ პრაგმატულ-უტილიტარული აზრით გავიგეთ. აბსურდია ღვარძლის დატოვება ყანაში მოსავლის აღებამდე იმის შიშით, ვაითუ ყანის გამარგვლისას ღვარძლს ჯეჯილიც ამოყვეს. მაგრამ ქრისტეს იგავი ზედმიწევნით ზუსტია, მკაფიო და ცხადი.

ასევე მდინარეში ერთგზისაც კი შეუსვლელობა არ მოგვეჩვენება სასაცილოდ (იქნებ აბსურდად მონათვლის ღირსადაც არ ჩავთვალოთ), თუ გამოვიყენებთ მას იმის სათვალსაჩინოდ, თუ როგორ იაზრებდა მერაბ მამარდაშვილი აზროვნებას, ფიქრს, როგორც პროცესს. ერთ-ერთ ლექციაზე (და ალბათ სხვაგანაც, სხვა ნაშრომებში სხვადასხვა ვარიაციებით, განსხვავებული პრობლემის გამო გამოუთქვამს მსგავსი რამ, ამჯერად კი ერის მოწოდებაზე ლაპარაკობდა ახალ ისტორიულ ეტაპზე, უფრო კი, დასაწყისზე ამ ისტორიისა) მან თქვა: "შეუძლებელია მოინდომო და დაიწყო აზროვნება, შეუძლებელია მოინდომო და დაიწყო ტრადიცია, თუ უკვე თავად არ ზიხარ ტრადიციაში. ასევე სახიფათოა მოწოდების, დანიშნულების ფენომენი. ამაზე ფიქრი ჩემში გაურკვევლობას ბადებს". შემდეგ მან განაგრძო საუბარი არა აზროვნების ფენომენზე, არამედ იმაზე, "შევძლებდთ თუ არა ისევ აღვადგინოთ ისტორიის, ტრადიციის, ჩვენი ისტორიული დანიშნულების და მოწოდების ძაფი". თუ ისტორია, ტრადიცია, - ამბობს ის, - შეუქცევადია (როგორც მდინარის ნაკადი, ჩავურთავთ ჩვენ), მაშინ პრობლემატური უნდა იყოს განგრძობა ტრადიციისა, რომელიც შეწყდა. შემდეგ რასაც ფილოსოფოსი ამბობს, სრულიად უპრეცედენტოა ჩვენ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში. აი, სიტყვები, რომელთა ისტორიოსოფიული სიღრმე შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო: "ერთი ცხადია: საკუთარი ძალებით ამას ვერ შევძლებთ. ისტორიასა და ტრადიციაში წყვეტა არ უნდა დაგვეშვა. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ რაღაც წერტილსა და მომენტში მსოფლიო მისტერიის მეშვეობით, თუ ზეადამიანური ძალის აქტით მოხდეს ჩვენი ხელახალი ჩართვა ისტორიასა და ტრადიციაში".

ხელახალი ჩართვის ამ სიძნელეს არათუ მაშინ, "ეროვნული მოძრაობის" ხანს, არამედ დღესაც ძნელად თუ ვინმე იაზრებს. გაწყვეტილის გამთლიანების, გაწყვეტილ ტრადიციაში ჩართვის ან ახალი ტრადიციის დაწყების სიძნელეს, რომელსაც მხოლოდ სიზიფეს შრომას თუ შევადარებდით. თუ წარვმართავთ საუბარს ამ მეტაფორის (მდინარეში ორგზის შეუსვლელობის) ეროვნულ-პოლიტიკურ ასპექტზე, - იგი აზროვნებისა და მისი მოწოდების, არა მხოლოდ მოწოდების, როგორც ასეთის, ფენომენსაც მოიცავს, - რაც დღესაც (ალბათ უფრო დღეს) აქტუალურია, გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, თუ რატომ ახსენებს მამარდაშვილი ამ კონტექსტში "მსოფლიო მისტერიას" და "ზეადამიანურ ძალას". არსად სხვაგან ეს ცნებები არ განმარტებულა. არც კითხვა ყოფილა დასმული ლექციაზე მათ განსამარტავად. ასე რომ, ცოცხალი სიტყვის ნაცვლად დარჩა ტექსტი, მომლოდინე ჰერმენევტიკისა, რომელიც უშუალო სმენისას და ლექტორის წინაშე პირისპირ დგომისას, თუნდაც მის მიმართ კითხვაც არ დასმულიყო, საჭირო არ იქნებოდა. რადგან ჰერმენევტიკა ტექსტს ესაჭიროება, რომლის ავტორი მკვდარია მასში.

ჩემი აზრით, "მსოფლიო მისტერია" და "ზეადამიანური ძალა" იმას ნიშნავს, რომ ისტორიაში ვართ და, ამიტომაც, ისტორია მხოლოდ ჩვენთვის არ არსებობს, როგორც ხშირად დღემდე წარმოგვედგინა. ამ ცნებებით ისიც არის ნათქვამი, რომ ისტორია არ არის ადამიანთა თვითნებური ჩხირკედელაობის პროცესი. ის მოითხოვს მართლაც ზეადამიანურ ძალისხმევას. ისტო-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რია არის დიალოგი ღმერთსა და ადამიანს შორის (მ. ბუბერი) და ამას გულისხმობს სწორედ "მსოფლიო მისტერია", რომელიც ყოველთვის ხორციელდება ჩვენს თვალწინ. და მამარდაშვილი ამბობდა, რომ ამ პროცესში, რომელიც ღმერთკაცებრივია და საიდუმლოებრივი (მისტერიული), საჭიროა ჩართვა.

მაგრამ როგორ მოახერხებ ჩართვას, თუ იმთავითვე ჩართული არა ხარ? ასეთი კითხვა პირწმინდად მამარდაშვილისეულია. როგორ ჩაერთვები მისტერიაში, თუ თავიდანვე განდობილი არ ხარ? როგორ შეიძლება ადამიანმა დაიწყოს რაიმე, თუ უკვე დაწყებული არა აქვს? როგორ შეძლებს ადამიანი რასმე, თუ უკვე შეძლებული არა აქვს? როგორ დაიწყებს ფიქრს ადამიანი ანუ როგორ შევა აზროვნების ნაკადში, თუ უკვე მასში არ იმყოფება? როგორ დავიწყო ფიქრი იმაზე, რაც ჯერ კიდევ ნაფიქრი არ მაქვს? და ა.შ. დაუსრულებლივ - ის გაიგებს, ვისაც დაუწყია. საბოლოოდ, ეს პარადოქსი შეიძლება "მოწოდების ფენომენმა" გაგვითვალსაჩინოს, რითაც მამარდაშვილმა დაიწყო თავისი ლექცია 1990 წლის 29 ნოემბერს, დღის სამ საათზე (ანუ წელიც იყო, დღეც, თვეც და საათიც, და ადგილიც).

მართლაც, რა არის მოწოდება? ის არის, ან საერთოდ არ არის. თუ არის, უკვე არის და მას დაწყება არ ესაჭიროება (შეუძლებელიც არის). თუ მოწოდება არ არის, მხოლოდ ზებუნებრივ-ზეადამიანური ჩარევით თუ მოხდება შემოსვლა ადამიანის ცნობიერებაში. მოწოდება ამ შემთხვევაში სასწაულქმედებაა ადამიანში, როგორც მისტერია. მისტერია სწორედ ის არის, რომელშიც გარედან შესვლა შეუძლებელია. ბოლოს, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აუცილებელია ნახტომი, რომელიც მოხსნის ზენონის აპორიას - არწივი მაინც გაუსწრებს კუს. არსებობს ჩვენს სამყაროში ალუდას ნახტომი, რომელიც გამოიწვია მოწოდებამ (თუ პირუკუ?). საიდან დაიბადა ალუდას მოწოდება, თუ ადრე არ იყო მასში? ზეადამიანური ძალისხმევით? არა, მტრისგან. მისგან მოვიდა მოწოდებაც და ხსნაც. და ეს გამოცდილება უნიკალურია და ტრაგიკული თავისი უნიკალურობით. მოწოდებას, როგორც ბედისწერას, ეწირება ადამიანი. მაგრამ განა შესაძლებელია სხვანაირი გამოსავალი? ალუდასნაირთა წინაშე ორი ამოცანაა და მათ გამოვხატავთ მამარდაშვილის ორი გამონათქვამით - "უნდა გაბედო შეუძლებელი" და "ჩვენს წინაშე დგას ისტორიული შემოქმედების ამოცანა", სიტყვებით, რომელნიც ნამდვილად, ფილოსოფოსის სულიერი ანდერძია (გურამ ლებანიძე).

მამარდაშვილი გრძნობდა აზროვნების, ფიქრის და ისტორიის პროცესის და, მოწოდების საიდუმლოს, საიდუმლოს, რომელიც "მსოფლიო მისტერიაში" იღებს დასაბამს, მასშია ჩართული. საბოლოოდ, გამოდის, რომ არავინ, ვინც ფიქრობს, მონაწილეობს და მოწოდება აქვს, არ არის მარტო, ის ჩართულია.

არილი



## რაინდი ფილოსოფოსი

*ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი საქართველოსათვის იბრძვის; მისი ანალიზი მკვეთრია და მოკლებულია ხათრიანობას.*

*მერაბ მამარდაშვილის თანახმად - "დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე ქართველებმა უნდა შეიგნონ, რომ ისინი მარტონი არიან; და რომ მხოლოდ მათი ვალია მათივე აზროვნებისა და ენის დესოვიეტიზაცია".*

*გთავაზობთ მერაბ მამარდაშვილის თვალსაზრისს ამის თაობაზე.*

*ანდრე სკალა და ნადია ტაცი*

მერაბ მამარდაშვილი

# "იცხოვრო დროის შესაბამისად"



როგორც საბჭოთა ადამიანთა მთელი ერთობლიობა, ჩვენც იმდენ ხანს ვთვლემდით, ისე გავიყინეთ, რომ დღეს ხელახლა უნდა ვისწავლოთ სიცოცხლის გარჩევა სიკვდილისაგან, ოცნებისა - რეალობისაგან. ქართველებმა უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, განდევნონ უვიცობა და ისტორიული წყვდიადი, მათ ზნეში, საქმიანობაში, ცოდნაში რომ დაგროვდა. საბჭოურად დაპატარავებულებმა, ენერგიადაშრეტილებმა დავკარგეთ პოლიტიკის შეგრძნების უნარი, აღარ ვიცი, როგორ ვიცხოვროთ რთულ საზოგადოებაში. სამოქალაქო საზოგადოება იქმნება კერძო პირთა ავტონომიურობის საფუძველზე, ავტონომიურობისა - ამ სიტყვის ონტოლოგიური მნიშვნელობით. ამგვარად, საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ჩამოყალიბდა გამჭვირვალობის ისეთი მეტაფიზიკური გრძნობა, რომ კერძო პირთათვის დამახასიათებელი ხელშეუხებელი სიღრმე - ეს უკუმშვიდი სიღრმე, რომელიც ჩემშია, რომელიც არსებობს "მესა" და "ჩემს" შორის და რჩება მარად შეუვალი - დაინგრა სამოქალაქო საზოგადოების ნგრევასთან ერთად. ნივთთა ფანტომურობა და ადამიანთა ფანტომური, ზომბური ხასიათი ცხოვრების წესად იქცა. რაციონალური კრიტიკით ამის დანგრევა შეუძლებელია. ცხოვრების ასეთი ფორმა - როგორც ყოველი პათოსი, დაყოფას არ ექვემდებარება; ზემოქმედება - უშედეგოა. საჭიროა შეიქმნას ერთი ცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრი "გვერდით", ფიზიკურ ძალთა მიზიდულობის სხვა ცენტრი, საითკენაც უნდა იქნეს მობილიზებული მთელი საზოგადოება.

ვერ დააფუძნებენ სამართლებრივ სახელმწიფოს საქართველოში და სხვაგანაც, თუ საკუთარ თავს არ გამოცდიან, თუნდაც ეს გამოცდა გადიოდეს სიძულვილზე საკუთარი თავის მიმართ. საჭიროა საკუთარი თავის წინაშე აღმართო ღირსებისა და პატივის იდეალი და გეყოს ვაჟკაცობა, გაიარო საკუთარი თავის მიმართ უკიდურესი სიძულვილის გზაზე. აი, ისტორიული აუცილებლობა მილიონობით ადამიანისათვის. თუ პიროვნებებს არ შესწევთ უნარი, წინ სარკე დაიდგან და საკუთარ ანარეკლს გულისარევამდე უყურონ, საკუთარ თავში ვერ აღმოაჩენენ აუცილებელ შინაგან ძალას რაიმე ცვლილებისათვის; კვლავ გააგრძელებენ ცხოვრებას ლანდების სამყაროში, რომელიც სისხლით საზრდოობს. საკუთარი თავისა და წარსულის მკაცრი გამოცდის დრო ჯერ არ დამდგარა, ჯერ ისევ სურთ ურთიერთობის განახლება რუსულ აზროვნებასთან, მართლმადიდებელ ქრისტიანობასთან, მაგრამ რუსულმა აზროვნებამაც და ქრისტიანობამაც ჩვენ უფსკრულში გადაგვჩეხა. კვლავ აგრძელებენ პატივმოყვარეობის მაამებელი ხატების შექმნას: ოჰ! რა კარგად ვიყავით, კულტურაც გვქონდა, სოფელიც ყვაოდა!.. მაგრამ თავად გლეხობის ნაწილმა მოსპო ნამდვილი გლეხები. ვიდრე ამ ყალბ ნუგეშისცემას გააგრძელებენ, დაუსრულებლად იტრიალებენ წრეში, როგორც დანტეს გმირები ჯოჯოხეთში.

დღეს თბილისში მეტისმეტად აღგზნებული ადამიანები ჩანან მანიფესტაციებზე, დამოუკიდებლობის საკითხზე გალიზიანებით რომ ლაპარაკობენ. ზოგი მიელტვის სიმბოლოებს, ლოზუნგებს და არ ფიქრობს, რომ ყველაფრის მოპოვებას სწავლა სჭირდება. ჩვენში არსებობს საფრთხე, რომ ეროვნულმა მოძრაობებმა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების გამოღვიძების ერთ-ერთმა ფორმამ, ჩვენი ხალხი ჩაძიროს განუვითარებელი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მორევში და ხელახლა დაუბრუნოს მათ მიწისა და სისხლის მძაფრი ვნებები, რომლებიც წარმოქმნიან ყველაზე ულმობელ მხეცს ადამიანურ მხეცთაგან. ქართველი ახალგაზრდობა, ყოველ შემთხვევაში ერთი ნაწილი მაინც, ორ ცეცხლს შუაა - ერთი მხრივ, ისინი სწავლისაკენ ისწრაფვიან, რეფლექსიისათვის დროს ელიან, მაგრამ, მეორე მხრივ, ველარ იტანენ მოზრდილებს, უარს ამბობენ მათ სალ აზრზე; ახალგაზრდობას ეს აზრები არ მიაჩნია არც ვაჟკაცურად, არც ჰეროიკულად: ისინი ხომ რაინდობის იდეალებით არიან შეპყრობილნი და ჰგონიათ, რომ ისტორიას მხოლოდ ლეგენდები ქმნიან. ასეთ დროს არავის ძალუძს მათი დახმარება, არც რაიმეს გაკეთება მათ მაგივრად. ამგვარი დახმარების ილუზიიდან გამოსვლა კი აუცილებელია, რადგან მას ტოტალიტარული შედეგები მოჰყვება. რა არის ტოტალიტარიზმი თუ არა პატერნალიზმი?!

## დახმარება ჩვენი არსების ნაწილია

ჩვენ გვეხმარებიან, დახმარება ჩვენი არსებობის ნაწილია. ჩვენ ხომ არასოდეს გვიგემია "განმანათლებლობა", რეალური ძალა საკუთარი აზროვნებით აზროვნებისა, როცა ფლობ შინაგან უნარს, თავად გაერკვე და გაუძლვე საკუთარ თავს ჩირაღდანის ან იმ ხელების გარეშე, რომლებსაც დავეყრდნობოდით.

XVI საუკუნიდან მოყოლებული ფრანგებს შესწევთ ღია ცხოვრების უნარი, ისინი გამბედავი, მოქმედი და ძლიერი ადამიანები არიან. გერმანელებს კი ამ ტიპის ცხოვრება ძალზე გვიან დაუდგათ. ყველა დაგვიანებული მოვლენა საშიშია. დიდი ხნის განმავლობაში გერმანელებმა იცხოვრეს ინტენსიური ცხოვრების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებელი გრძნობით. სწორედ ამიტომ წარმოიშვა ფაშიზმი, რომელიც გერმანელებს ჰპირდებოდა დიად, სისხლსავსე ცოდნასა და გამოცდილებას. საქართველოში, და საერთოდ რუსეთშიც, იგივე დრამა გათამაშდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის. ამ უკანასკნელთ როგორც კი უჩნდებათ გრძნობა, თუ სად ცხოვრობენ, რას აკეთებენ, ამჩნევენ, რომ მათ ირგვლივ ფეხზე მდგომი გვამების ურდანია, სული ეხუთებათ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც თითქოს ცოცხლობენ, მაგრამ მკვდრები არიან - სიცრუით, ფანტომებით, ჩაგვრა-შევიწროებით, უაზრობითა და უვიცობით.

ჩემთვის თავისუფლება არის შემდეგი: ადამიანმა უნდა მოიპოვოს თავისი შინაგანი თავისუფლება საკუთარ თავთან და ადამიანთა საზოგადოებასთან ბრძოლაში. ამას მე ვხედავ დეკარტთან და პრუსტთან, რომლებიც უფრო მეტს მასწავლიან, ვიდრე მონობის მწარე თუ ნაღვლიანი მხილება. აი, ამიტომ არის ფილოსოფიის სწავლება ჩემთვის ის იშვიათი შესაძლებლობა, რომ მივაღწიო იმას, რასაც ამბობს მონტენი: "ყველაზე უმაღლესი - ეს არის იცხოვრო დროის შესაბამისად". მყოფობას ფიზიკური დაწოლით აღიქვამენ, რეაგირებენ სწორედ იმ ბიძგების მიხედვით, თავად მყოფობის რისკით რომ არის გამოწვეული. როდესაც შენ რაიმეს წერ, შეგიძლია დაუბრუნდე ამ სამუშაოს, მოსაფიქრებელი დრო მისცე საკუთარ თავს, დროის კვალდაკვალ იმუშაო. მაგრამ ლაპარაკის დროს ეს გამორიცხულია; შენ ამ დროს ქმედებაში ხარ, არ შეგიძლია ხელახლა დაიბრუნო, რამე შეცვალო ამ მომენტში; შენ უნდა ძალ-ღონე მოიკრიბო და ეს მოცემული წამი დაიჭირო. ასეთი შემთხვევის გამო პეგი წერდა დეკარტზე - ის იყო რაინდი, რომელიც ქვეყნად მტკიცე ნაბიჯით დადიოდა.

## საჭიროა მიაღწიოთ სწავლებას სწავლების გარეშე, უშუალოდ

ლექციის დროს ფიზიკურად არ შემიძლია ტექსტის წაკითხვა, ენა მებმის, ვიბნევი, თავს ვგრძნობ სრულ იდიოტად. თქვენ იცით, რომ ერთ მშვენიერ დღეს პლატონმა მიატოვა ტირანი, რომელიც ჩემულობდა მის მოწაფეობას და ავრცელებდა მის მოძღვრებას.

პლატონს - ისევე როგორც დეკარტს ან კანტს - ამ ჭეშმარიტ მებრძოლ მოაზროვნეს, ახასიათებდა საოცარი ვაჟკაცობა, სხვათა წინაშე ემხილებინა საკუთარი თავი, დაენებებინა თავისი პირადი არსებობა სხვისი განსჯისათვის ისე, რომ თავი არ დაეცვა.

პლატონი ეუბნება ტირანს: არავინ შეიძლება იყოს ჩემი მოწაფე, რადგან მე არასოდეს არაფერი დამიწერია, არც ვინმესთვის მისწავლებია რაიმე.

აი, უდავო გამოცანა! პლატონმა ხომ ბევრი რამ დაწერა, მაგრამ დახეთ - არავის შეუძლია იქონიოს პრეტენზია, რომ იგი მისი მოწაფეა, მაშინაც კი, თუ პლატონი მას ასწავლის. საჭიროა ვასწავლოთ სწავლების გარეშე, შიშვლად, უბრალოდ და უშუალოდ.

## დეკარტე და რასტინიაკი

მეტყველებისეულ ცდაში უნდა გავბედოთ არავერბალური მყოფობა, უშუალოდ და უბრალოდ, სიტყვის გარეშე. თუ ფლობთ მხოლოდ ლოგიკურ კონსტრუქციებს გარკვეული ნაპერწკლის გარეშე, შესაძლებელია ნებისმიერი რამის მტკიცება. მაგრამ რა გამბედაობაა საჭირო, გჯეროდეთ ამ



პატარა, ცთომილი ნაპერწკლისა, - რაც თითქოს არც არაფერია - რათა ისაუბროთ რაიმე ნიღბის გარეშე, ისე, რომ ბრძენთა აზრები მოწიწებით არ წარმოაჩინო და გაიმეორო. ყოველთვის შეიძლება დარბაისლური, შთამბეჭდავი ხმით ცოდნის სხაპა-სხუპით, გზნებით დეკლამირება, როგორც ამას კარგი მოწაფე აკეთებს; შეიძლება სხვისი აზრების, მოძღვრებისა და ტრადიციის პატივისცემის გამოხატვა. მაგრამ ფილოსოფია მხოლოდ კარგი მოწაფეების შექმნას ემსახურება? ის, რაც მე მიზიდავს ფრანგული აზრის ისტორიაში, ეს გახლავთ მოაზროვნეთა დიდი რაოდენობა, რომელთაც გაბედეს საკუთარი ნაჭუჭის გამომსხვრევა და გამოსვლა და შეიცნეს სიცოცხლის საფრთხე. მათ გაბედეს, ესწავლათ უმალ სამყაროს წიგნიდან, ვიდრე ელაპარაკათ იმ წიგნების მიხედვით, რომლებიც მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. იცით, როდესაც მე ვკითხულობ ლექციებს რუსეთში ან საქართველოში, დეკარტის მედიტაციების შესახებ, ყოველთვის ვიმოწმებ რასტინიაკს, რომელმაც დაინახა რა პარიზი ბორცვიდან, წამოიძახა: "ჩვენ ორნი პარიზო!" აქ მნიშვნელოვანია არა პირადი ამბიცია, არამედ "ეგოს" (მეს, გაბედული, არავერბალური ევიდენცია (ცხადი ვითარება).

მე მონაწილეობა მივიღე საქართველოს სახალხო ფრონტის შექმნაში, ვარ განმკარგულებელი კომიტეტის წევრი, თუმცა არ ვმონაწილეობ მის ყოველდღიურ საქმიანობაში. ფილოსოფიის პირობა გამორიცხავს პოლიტიკურ ხმაურს, მას ესაჭიროება მარტოობა და სიჩუმე - აი, რა საჭიროება მკარნახობს ჩემი ვალდებულებისა თუ სამსახურის საზღვრებს. ფილოსოფია აუცილებელია თავის კონფრონტაციაში იყოს მარადიულად განახლებადი. პასკალი ამბობდა, რომ სიყვარულს ასაკი არ აქვს და არსებობს უწყვეტლივ, წარმოშობად მდგომარეობაში. ფილოსოფიას შესწევს უნარი, გამოთქვას ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც ეწინააღმდეგება ყოფით მეტყველებას. მეტყველება სასრულია, მაგრამ რადგან კაცობრიობის თვითქმნადობაში არის ისეთი განზომილება, რასაც მე ვუწოდებ უსასრულობას და უხილავს, ეს უნდა იქნეს განმარტებული. როგორ გადმოვცეთ სასრული სიტყვებით უსასრულობა? სწორედ ეს არის ფილოსოფიის უნარი: გამოიყენოს სიტყვები იმგვარად, რომ ამან წარმოაჩინოს გარდუვალი სასრულობები. თუ თქვენ გესმით, რომ სიყვარულს არა აქვს ასაკი, თქვენ ფილოსოფოსობთ და ეხებით სულის სიჯანსაღეს - ეს აქტი აუცილებელია; სხვაგვარად კისერს მოიტეხთ, გადაგვარდებით, დაიბნევით, შეიცნობთ ფარულ სიკვდილს და მაშასადამე, არ შეგვეძლება ერთად ცხოვრება, ე.ი. საზოგადოება არ იარსებებს. უფრო ნათლად და უფრო შორს ხედვას აღწევენ მას შემდეგ, რაც სიტყვების წიაღში, გულში გადალახავენ იმ წერტილს, რომლის იქითაც ხდება სიტყვის პოვნა, გამოგონება. ფილოსოფია გაქვავებულსა და უძრავს გარდაქმნის დინებად, მოძრაობად, რათა იგი დაუბრუნოს თავისივე ცხოველ მდგომარეობას. კავკასიონზე სიკვდილმისჯილი პრომეთე არის ფილოსოფიის სიმბოლო, პირველი ფილოსოფოსი; იგი ცნობიერების მგზნებარე მდგომარეობაა, რომელიც შეუძლებელია დაიჭიროთ ან ჩაიდოთ ჯიბეში, ელვარებაა, რომელიც ხელებს გიდაღავს; იგი აგიზგიზებული ყოფიერებაა!

## არაფერი დიდი არ იბადება არქივებიდან

ფილოსოფოსად ჩემი ჩამოყალიბების დროს რუსული აზროვნება უკვე აღარ არსებობდა და, მრავალი ჩემი თანამედროვის მსგავსად, მეც აღმოვჩნდი წარსულთან რაიმე უწყვეტი გაგრძელების - თუნდაც ფარულის - მიღმა. 1917 წელს რუსეთმა განიცადა დიდი ანთროპოლოგიური კატასტროფა. დაიმსხვრა შინაგანი მიმართება წარსული დროის მოაზროვნეებთან. ორმა დიდმა პოეტმა - მანდელშტამმა და პასტერნაკმა - ეს ისეთი სახით გამოხატეს, რომ დამეხმარნენ, მეცხოვრა ამ უბედურებაში. განგებამ დამიცვა იმ დროს, როდესაც სიცოცხლე საშიში იყო, იმდენად საშიში, რომ სიფრთხილეს აზრი არ ჰქონდა. საუკეთესო გზა იყო - ყოფილიყავით უგუნური, რათა ნორმალურად დარჩენილიყავით, გეცინა, გყვარებოდა, რაღაც გაგეგო. იმისათვის რომ გეარსებათ, საჭირო იყო განდობოდით, გული გაგეხსნათ სხვებისათვის, თუნდაც ისინი დამსმენები ყოფილიყვნენ.

მანდელშტამი და პასტერნაკი ამბობდნენ, რომ თუ რაღაც დიდი უნდა დაიბადოს, მას აღმოაჩენენ არა არქივებში, არამედ იმ ადამიანებში, ჩვენს ირგვლივ რომ არიან. მანდელშტამი წერდა: "სწორედ წითელი არმიის ამ ჯარისკაცებიდან, რომელთაც მე მივყავარ, ამ უბირი, გულქვა და მონურად მორჩილი ჯარისკაცებიდან, რომლებიც მე მიკრძალავენ პუშკინის კითხვას, შეიძლება იშვას რაღაც დიდი რამ. ყოველ შემთხვევაში, უმალ მათგან, ვიდრე პუშკინისაგან, რადგან ძაფები, რომლებიც დიდ პოეტს გვაკავშირებდა, ამიერიდან გაწყვეტილია".

დღეს ვხედავთ, თუ რაოდენ მართალი იყო იგი: ცენზურა მოხსნეს და ბევრს ჰგონია, რომ გადაილახა 1917 წლის კატასტროფა, რომ შეიძლება განახლდეს კავშირი, მაგალითად, ბერდიაევთან; ეს ყველაფერი უპრობლემოდ მოხდეს და თავს საერთოდ არ დაუსვან კითხვა - რატომ დასრულდა ყველაფერი ასე ცუდად. დღეს, ენისა და მეტყველების სოვიეტიზაციის შემდეგ, ჩვენ გვესაჭიროება, ხელახლა ვიპოვოთ თითოეული სიტყვის მნიშვნელობა. კვლავ მანდელშტამს მოვიხმობ; იგი განმარტავს ჩაადაევის ერთ-ერთ ფრაზას, რომელშიც ნათქვამია: რუსეთი არის ისტორიის გარე მოვლენა, მაგრამ არსებობს ენა, დიდი რუსული ენა. თითქოს იგი წინასწარ გრძნობდა საფრთხეს, მანდელშტამი დასძენს: "თუ ამას დაივიწყებენ, თუ ენის ისტორიულობა შეილახება, ნიჰილიზმის უფსკრულში ჩაიძირებიან". ამრიგად, დღეს ძალზე ძნელია გადმოსცე ყველა ტექსტი, რის გაცნობასაც ჩვენ გვიკრძალავდა ცენზურა. ეს იყო კატასტროფის შედეგი. ეს არ არის ცოდნის, უნარის საკითხი, არამედ ეს სივრცის კანონია, სამყაროები შორდებიან ერთმანეთს, საგნები იცვლებიან და ძაფიც, რომელიც ჩვენ დაგვაკავშირებდა ამ თხზულებებთან, საბოლოოდ გაწყვეტილია. ამჟამად მათ (ცენზურის მიერ აკრძალულ თხზულებებს) არაფრის თქმა არ ძალუძთ ჩვენთვის.

## არ მოკვდე სიკვდილამდე

როდესაც დასავლეთში ჩამოვდივარ, ვამჩნევ, რომ ყველაფერი, რაც მე მაწუხებს, ეს არის ის, რაც აწუხებს სიცოცხლეს. მაგრამ ჩვენ იქ აღმოვჩნდებით ხოლმე სიცოცხლის ზღურბლზე. ხდება, რომ კვდებიან სიკვდილამდე. ვინც საკუთარ სულს უფრთხილდება, მას მაინც დაკარგავს და ვინც მას გაიღებს, შემდეგ მოიპოვებს. ჩვენში ისეთი მდგომარეობაა, გეგონებათ ცოცხალი ადამიანები ქმნიდნენ შენობის წყობას. მსგავსი მიდის მსგავსთან და სიცოცხლე სიცოცხლესთან. მაგალითად, ვინმე სახაროვისათვის არსებითი არის აზრის ამბოხი ისეთი საზოგადოების წინააღმდეგ, სადაც ადგილი არ არის აზროვნებისთვის; სადაც აზროვნებისა და პატიოსნების ღირსების სანაცვლოდ, ცხოვრების წესად უგუნურება დადგენილა. ჩვენს სახელმწიფოს სჭირდება მეცნიერები, რომლებიც ფუტკრებივით თავიანთი პატარა საქმით იქნებიან დაკავებული და მეცნიერს სჭირდება დიდი სიმამაცე, რათა გახდეს მოაზროვნე.

*1990 Juillet/dout - L'Autre Journal N3*

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# “დემოკრატია ნაციონალისტურ ლოზუნგებს ვერ დაეფუძნება”

## ინტერვიუ მერაბ მამარდაშვილთან



- საქართველო ემზადება თავისი მომავლის გადამწყვეტი არჩევნებისათვის. თქვენი აზრით, არის იგი მზად დამოუკიდებლობისათვის და დემოკრატიული რეჟიმის დასამყარებლად?

- ყველა რესპუბლიკას დამოუკიდებლობა სურს და ყველა თავს დემოკრატად აცხადებს. მაგრამ ჯერ სანახავია, რა იფარება ამ სიტყვების უკან. საბჭოთა რეჟიმი ჩვენში ბატონობდა სამოცდაათი წლის განმავლობაში. ამ ფაქტის გამო პოლიტიკური ფენა ბევრად უფრო კორუმპირებულია ჩვენში, ვიდრე, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში. საბჭოური ყოფა - სოვიეტიზმი, როგორც ცხოვრების, წარმოების, აზროვნების წესი, კვლავ გაბატონებულია ჩვენს პოლიტიკურ, სოციალურ და განსაკუთრებით მენტალურ სივრცეში. ჩვენ ვიქეცით ორსახოვან ხალხად: ერთი მხრივ, ვართ ნიადაგ უკმაყოფილო, კრიტიკული, საკუთარი ღირსების დამფასებელი, საკუთარი ნაციონალური კულტურის გადასარჩენად შეფარვით მებრძოლი. მეორე მხრივ კი, თვითგადარჩენის მძაფრმა სურვილმა ქართველებს კარგად შეაძლებინა სისტემით სარგებლობა, საკუთარი მიზნებისადმი მისი მისადაგება, რის შედეგადაც ისინი გაებნენ აღნიშნული წყობისათვის დამახასიათებელი კორუფციის, ქრთამის, მაქინაციების ხაფანგში. მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა მთელი საზოგადოებრივი სივრცის ნგრევით სრულდება. სისტემასთან შეგუების ასეთი ფორმა ერთდროულად იწვევს მკვეთრ ზნეობრივ დაცემას და იოლი გზის ძიების კონსერვატიზმს - ჯობია, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის. ასე კი ძნელია დემოკრატიისაკენ გზის გაკვლევა.

**- და მაინც, თბილისის გამოსვლებმა, ნაციონალისტურმა მოთხოვნებმა, პროტესტებმა ხომ ნათელყვეს, რომ ეს იყო პოლიტიკური აქტივობის ერთგვარი აღორძინება?**

- ამგვარი ნაციონალიზმის სახით გვიბრუნდება სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც დაანგრია ტოტალიტარიზმმა. ეს სოციალური ავტონომიის ერთგვარი აღორძინებაა. სამწუხაროდ, ზოგიერთებისათვის პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ ეროვნული ლოზუნგებით შემოიფარგლება, რაც არ არის საკმარისი ნამდვილი დემოკრატიული მოძრაობისათვის. სოვიეტიზმს მხოლოდ ჩვენი ეროვნული ვინაობა არ უარუყვია. მისგან თავსმოხვეულმა ცხოვრების წესმა ღრმა ჭრილობა მიაყენა ჩვენს პიროვნულ ღირსებას. ეს იარები უნდა განიკურნოს, ხოლო ღირსება - აღდგეს. ყოველივე ამის დაყვანა ეროვნული გრძნობების მარტივ მანიპულაციამდე საკმარისი არ არის დემოკრატიული მოძრაობისათვის. ამასთან დაკავშირებით, ქართული ოპოზიციის ერთი პლატფორმა კარგად განსაზღვრავს: საძირკველშივე უნდა მოიკვეთოს ყოველგვარი მცდელობა, რომ ეროვნულმა მოძრაობამ, - დამოუკიდებლობის თუ ეროვნული ინტერესის სახელით, ჩაგვრის ერთი ფორმა სხვა ფორმით შეცვალოს.

**- ეს გაფრთხილება საქართველოში რომელიმე გარკვეული ჯგუფისკენაა მიმართული?**

- ჩვენ არავის გამოვრიცხავთ დემოკრატიული მოძრაობიდან. მაგრამ ვფიქრობ, რომ არიან ნერვიულად აღგზნებულ ადამიანთა ჯგუფები და პიროვნებებიც, რომლებიც ზედმეტ ყურადღებას იქცევენ. მაგალითად, ისეთი პიროვნება, როგორიცაა ზვიად გამსახურდია, არც საქართველოს წარმოადგენს და არც ქართული ოპოზიციის ძალთა რჩეულს. იგი პრიმიტიული აგრესიული ნაციონალიზმის წარმომადგენელია. მართალია, იგი ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფიდან მოდის, მაგრამ იყენებს დაუშვებელ მეთოდებს ოპოზიციის სხვა წევრების მიმართ, აცხადებს რა მათ “ქართველი ერის მოღალატეებად” და ა.შ. მე განსაკუთრებით გამაოგნა იმ სიძულვილმა და აგრესიამ, რაც ზოგიერთ მის ზეპირ თუ წერილობით გამოსვლებში ვლინდება. როდესაც მოვლენებს გარედან ვუყურებთ, ნაციონალისტური აფეთქების მხოლოდ ეს უკიდურესი ფორმები იკვეთება.

**- გსურთ თუ არა, რომ საქართველომ ძირეულად განყვიტოს კავშირი საბჭოთა კავშირთან?**

- ის, რაც ჩვენ გვინდა, ეს არის - ვიყოთ თავისუფალი. თავი დაგვანებონ, რათა ვიმუშაოთ ჩვენებურად, ცენტრიდან განკარგულებების გარეშე. ჩვენ გვინდა დავიბრუნოთ კონტროლი ეკონომიკურ ორგანიზაციაზე. ეს არ ნიშნავს ავტარკიას ანუ იმას, რომ ჩვენს ქვეყანას არ ესაჭიროება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა. რაკი ბოლოს და ბოლოს, დამოუკიდებელნი ვიქნებით, ჩვენ თვითონვე დავამყარებთ საჭირო გაცვლა-გამოცვლასა და თანამშრომლობას ჩვენ მოსაზღვრე სამყაროსთან: რუსებთან, უკრაინელებთან, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან... და ეს მოხდება ორივე მხარის ურთიერთინტერესების შესაბამისად. ტოტალურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. ქართველებს, ისევე როგორც ლიტველებს, ამჟამად არაფერი გააჩნიათ, რათა გავიდნენ ევროპულ ბაზრებზე. მე არ ვიცი, როგორი ფედერაციული მოწყობა დაგვაკავშირებს მოსკოვსა თუ ლენინგრადთან - ამას დრო გვიჩვენებს. გეგმებმა, რომლებიც ამჟამად მუშავდება, რესპუბლიკებს უნდა შეუქმნან მოქნილი მექანიზმები სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან კავშირების დასამყარებლად.

საუბარს უძღვებოდა ჟურნალისტი
ფრანსუა შლოსერი

ჟურნალი “Le Nouvel Observateur”
N1335, 7 ივნისი, 1990 წელი

ფრანგულიდან თარგმნა
დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ

ჟან პიერ ვერნანი

# ქართველი სოკრატე



სოკრატე არ იყო კალამის კაცი. ყველამ კარგად ვიცით, რომ მას ერთი სტრიქონიც კი არ დაუწერია, მაგრამ ყველამ როდი უწყის, რომ იგი კლასიკური ანტიკურობის იმ იშვიათ გამონაკლისებს მიეკუთვნება, რომელთაც ჩვენ "სახეზე" ვიცნობთ. მისმა თანამედროვეებმა ჩვენ სოკრატეს გარეგნობის ზედმიწევნითი აღწერა დაგვიტოვეს... სახე, რომელსაც პლატონი, ალკიბიადეს პირით, სატირ მარსიასს ადარებს: დიდი შუბლი, უბალნო თავი, ბრტყელი ცხვირი ფართო ნესტოებით, ხორციანი ტუჩები, მრგვალი, გადმოკარკლული თვალები და რაც მთავარია - მზერა: უდრეკი, ხარისებური, ალმაცერი თუ ელვისებური; მუდამ გამჭოლი, ყურადღებიანი და ირონიული.

და აი, გასულ წელს, როცა მერაბ მამარდაშვილის სემინარზე ვიჯექი სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, უეცრად გავაცნობიერე ის, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი, რაც მუდამ თვალში მხვდებოდა, მაგრამ მხოლოდ ახლა გახდა ცხადი ქართველი ფილოსოფოსისა და სოკრატეს საოცარი გარეგნული მსგავსება. სწორედ იგივე მზერა იყო, ჯერ კიდევ სამოციან წლებში რომ დამატყვევა, როცა საათობით ვსაუბრობდით, ვხეტიალობდით მოსკოვის ქუჩებში, რათა არავის გაეგონა ჩვენი სიტყვები. მერაბი კითხვას კითხვაზე მაყრიდა, სულის მოთქმას არ მაცლიდა და იძულებულს მხდიდა ყველაზე იდუმალი აზრები გამემხილა, მაგრამ თავად კი არაფერს ამჟღავნებდა; სიარულისას ხან წარბშეკვრით მიცქერდა, ხანაც ალმაცერად - ისე, რომ მე, დაბნეული ჩემთვის ვფიქრობდი ხოლმე: ეს კაცი ან რაღაც მნიშვნელოვანს ხედავს ჩემს პასუხებში, ან პირიქით, არაფრად მაგდებს-მეთქი.

იმ წლებში მერაბს საკმარისზე მეტი საფუძველი ჰქონდა იმისთვის, რათა ფრთხილად ყოფილიყო, სააშკარაოზე არ გამოეტანა საკუთარი პიროვნების ფარული მხარე - ის, რასაც იგი თავის "დაფარულ, უხილავ სამშობლოს" უწოდებდა, "ნებისმიერი მოაზროვნე არსების მეორე სამშობლოს". იგი ამას "აზრსაც" უწოდებს, იმ აზრს, რომელიც, მისი სიტყვით, "ბუნებისგან როდია მონიჭებული, არამედ ზეადამიანურ ძალისმევას მოითხოვს".

"ჩახშული ფიქრი", ასე ჰქვია მერაბ მამარდაშვილთან საუბრების პატარა წიგნს, რომლის ავტორიც ანი ეპელბუანი გახლავთ და რომელიც გამომცემლობა Edition de l□Aube-მ გამოსცა ფილოსოფოსის სიკვდილის შემდეგ. ისევე, როგორც სოკრატე, მერაბიც არ იყო მწერალი და ორივე, მე მგონი, ერთი და იმავე მიზეზის გამო არ წერდა. ორივესთვის აზროვნება ცხოვრებას ნიშნავდა. აზრი - გასულიერებული, სხვასთან შემთხვევით შეხვედრისას შობილი ცოცხალი სიტყვაა, როგორც კითხვა-პასუხი - "რაღაც კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით", "a propo"; ფილოსოფია როგორც სიბრძნე და არსებობის წესი - გვეუბნება ჩვენ მერაბი - მთლიანად თავსდება ფორმულაში "იცხოვრო სათანადოდ", "a propo": ესაა ცოცხალი სიტყვა, logos empsychos, რომელიც დაწერილ სიტყვას, logos gegrammenos-ს უპირისპირდება, რადგანაც ასოები, grammata, ბერძნებისთვის უსიცოცხლო იყო, apsycha. ცოცხალი ხმის ფურცელზე გადატანა ნიშნავს მოვკვეთოთ მას ყველაფერი შემთხვევითი, ინდივიდუალური, მოკლა იგი. "ბუნება, - ამბობს მერაბი, - არ ქმნის ადამიანებს. ნამდვილად ჩვენ მხოლოდ მეორე დაბადებისას ვიშვებით. დანტემ ერთხელ კარგად თქვა, "ახალშობილს სული არა აქვს". "რა ანიჭებს მას სულს?" - კითხულობს ანი ეპელბუანი; "სიტყვა!" - პასუხობს მერაბი.

სოკრატე ფილოსოფიითა და აზროვნებით ცხოვრობდა, აგორაზე, ნებისმიერ შემთხვევით გამვლელთან ერთად არჩევდა ერთი შეხედვით ყველაზე ბანალურ და პროზაულ საკითხებს. "ღმერთებს გეფიცები, - აღშფოთებულია კალიკლოსი, - შენ სულ მუდამ მეწაღეებზე, მთელავებზე, მზარეულებზე, ექიმებსა და სხვა სისულელეებზე საუბრობ ("გორგიასი", 420 e). შემდეგ მოდის ციტატა "ნადიმიდან". "სოკრატე ხომ კურტნიან სახედრებზე, მჭედლებზე, მეჯადაგეებსა და დაბალებზე მსჯელობს ხოლმე და თითქოს ერთსა და იმავეს იმეორებს მუდამ, ასე რომ, ვინმე გამოუცდელსა და რეგვენს, შესაძლოა, სასაცილოდაც არ ეყოს მისი სიტყვები" (222 e).



ხოლო მერაბი? მაშინაც კი, როცა ლექციას უკითხავს სტუდენტებს, იგი ყველაზე ნაკლებად ჰგავს პროფესორს. როგორ ახერხებს ამას? ფილოსოფია მისთვის პროფესია არაა,

---

*პირველად დაიბეჭდა 1991 წლის ნოემბერში, გაზეთ "ლიბერასიონში"*

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ არსებობის წესი. როდესაც საუბრობს, მერაბი თეორიას როდი გადმოგვცემს, არც სისტემას აგებს და არც ცნებათა დანაწევრებითაა დაკავებული. იგი არაა წინასწარმეტყველი, ღვთისმეტყველი, თეორეტიკოსი (თუმცა, ეს არ უშლიდა მას ხელს, ყოფილიყო ლუი ალტუსერის უახლოესი მეგობარი). აუდიტორიაში მერაბი ხმამაღლა გამოთქვამს თავის აზრებს - იმავე თანმიმდევრობით, როგორადაც თავში მოსდის და ყოველი მსმენელი დროგამოშვებით მის ყურადღებიან მზერასაც ამჩნევს ხოლმე, რომელიც გვახსენებს, რომ ეს აზრები სწორედ მისთვისაა განკუთვნილი, მისი ინდივიდუალობისთვის და ამით ამ "უზენაესი"-სკენ ლტოლვისთვის აღგვძრავს. მოდით, თავად მას მოვუსმინოთ: "როცა ლექციას ვატარებ ან მოხსენებას ვაკეთებ, მოხსენებისას ჩემს ცხოვრებას ვთამაშობ, აუდიტორიის წინაშე ვდგავარ ჩემი პრობლემებით, პირად რისკს ვწევ და ვინც მისმენს, ეს მისთვის ნათელია. ამიტომ ისინი მომყვებიან და იმ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში, მე რომ ვახსენებ, თავიანთ პირად გამოცდილებას ამოიცნობენ. ხოლო ამ ტერმინოლოგიის ხმარება მჭიდრო კავშირშია ჩემი საკუთარი ცხოვრების ეგზისტენციასთან".

მახსოვს, როგორღაც ლათინოამერიკელ სტუდენტებს შევხვდი, რომელთაც მერაბი უკითხავდა ლექციებს მოსკოვის ერთ-ერთ ინსტიტუტში - ზუსტად არ მახსოვს, მარქსიზმ-ლენინიზმის თუ მუშათა საერთაშორისო მოძრაობისა - მანამ, სანამ გამოაგდებდნენ ამ ინსტიტუტიდან. ეს ყმაწვილები ახალი ჩამოსულები იყვნენ სსრკ-დან და მათი თავები საზოგადოებრივ ფორმაციათა მარქსისტული თეორიით იყო დამძიმებული, რომლის შესახებაც მერაბი თავის წიგნში ამბობდა: "ეს წმინდა წყლის კრეტინიზმია: უკიდურესობამდე გამარტივებული კონცეფცია, რომელიც იმისთის არსებობს, რომ მთელი სამყარო ერთ პატარა თავში ჩატენონ, იმ ადამიანის ნახევრად ატროფირებულ ტვინში, ვისაც ცხოვრებაში არასდროს უაზროვნია". მაგრამ ლექციებისა და წიგნების ნაცრისფერ ფონზე, რომლის მხოლოდ დაზეპირება და "მრწამსი"-ვით გამეორება შეიძლებოდა, მათ დარჩათ ერთი ნათელი და ყველაფრისგან განსხვავებული მოგონება, სადაც ნახევრად მასხარა-ნახევრად სატირი, თითქოსდა თამაშ-თამაშ, მტკიცედ დაგმანულ სარკმელს აღებდა; არ აშინებდა, როგორც ყველა დანარჩენი, არამედ აღძრავდა, მიმართავდა - აზროვნებისკენ, ცხოვრებისკენ, საკუთარი თავისკენ.



ტოტალიტარულმა სისტემამ შეძლო ნებისმიერი მენტალური აქტივობა შეეჩერებინა. რა საჭიროა აზროვნება? ყველაფერზე, რაც საჭიროა, უკვე იფიქრეს. სამყაროს შესახებ, რომელიც გარს გვარტყია, საზოგადოებაზე, სადაც ვცხოვრობთ, მიმდინარე მოვლენებზე; ყველა თქვენი გრძნობის, სურვილის, თავად თქვენი ყოფიერების საზრისი ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვრა, წინასწარაა მოცემული - თქვენამდე და თქვენს ნაცვლად ეს ვიღაც სხვამ გააკეთა. "ტოტალიტარულ მეტყველებაში ყოველთვის არის უკვე ნაფიქრი, ნაფიქრი შენს მაგივრად, შენთვის ნაფიქრი შენს ადგილსამყოფელში. გრძნობა, რომელსაც ახლა განვიცდი, უკვე ჩაწერილია, დაფიქსირებულია მეტყველებაში, ცნობილია, რასაც მე განვიცდი. თუ გამოცდილებას ვიღებ, მაშინაც კი, როცა ჯერ აზრი არ გამომიტანია, ეს აზრი უკვე გამოტანილია, ხატი 'უკვე' არსებობს". მკვდარი ხატი, აჩრდილი, რეალური არსების, კონკრეტული ინდივიდის სიცოცხლეს მოკლებული - ის, რასაც სოკრატე და პლატონი eidolon apsychon-ს უწოდებენ - უსულო მანეკენად იქცევა. "ჩვენთან ყველაფერი არარეალური იყო, - ამბობს მერაბი, - არარსებული პიროვნებები კამათობდნენ არარსებულ პრობლემებზე და მსჯელობდნენ არარსებობის შესახებ". "არარსებობის" ეს ვითარება სულაც არ ყოფილა მყუდრო: მერაბი იტანჯებოდა, ცდილობდა საკუთარი თავი ეპოვნა და ამ უსიცოცხლობით ხელფეხშეკრული იგი თითქოს ნელ ცეცხლზე დასაწვავად იყო განწირული: "მე ცოცხლად დამწვეს, რკინის ქანდაკებაში გამოკეტილი, რომელიც ჩემივე ხატი იყო. ვიწვოდი იმაში, რასაც ვგრძნობ და ვფიქრობ, რადგან უკვე ჩემს ნაცვლად ყველაფერი მოფიქრებული იყო".



როგორ არ დაილუპა აზროვნება ამ უზარმაზარ, გამყინვარებულ, გაქვავებულ კონტინენტზე, სადაც რევოლუციური ცეცხლი ჩაქრა და თუკი ხანდახან წამოინთება ხოლმე, მხოლოდ იმისთვის, რომ ურჩები შთანთქას? როგორ შეძლო მან აღორძინება ათასობით საბჭოთა ადამიანის გულში, ვისაც მერაბი "self-made"-ებს უწოდებდა და რომელთა რიცხვს საკუთარ თავსაც მიაკუთვნებდა? "მეც ამ გზას დავადექი. ნამდვილად არ მაკლდა არც საკითხავი მასალა და არც ის ფარული ინტელექტუალური ცხოვრება, რომელიც ჩემსა და წიგნს შორის იქმნებოდა, ჩემსა და სიტყვას შორის, რომელიც შორიდან მოდიოდა. მაგრამ თქვენ იცით, რომ ადამიანი არის არსება, რომელიც შორიდან მოდის. ადამიანი არის ძალიან "გრძელი" არსება, ანუ ადამინი თავის თავს დროში ჭედავს"; და კიდევ, "ჩემთვის - თვითგამორკვევა განისაზღვრებოდა უსიცოცხლობის მიმართ დაპირისპირებით, დაპირისპირებით იმ შავი გვირაბის მიმართ, რომელშიც აჩრდილივით, იძულებული ვიყავი, მეცხოვრა ცხოვრების გარეშე - და ჩემთვის ახალგაზრდობა წარმოადგენდა ტრადიციის აღდგენას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: საქმე რომელიღაც კონკრეტულ ტრადიციას კი არ ეხება, არამედ უკვდავების ტრადიციას... უკვდავება ეს არის სიტყვა, ანუ ადამიანში მკვდარი დროის აღდგენის ნაპერწკალი; სიტყვა არის მარადიულობის აქტი, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ როგორც ადამიანები".

თუკი გსურთ გაიგოთ, საიდან გაისმა ის ხმა, რომელმაც აიძულა მერაბი გზას დადგომოდა და მასში ყოფიერების, სიკვდილთან ჭიდილის ლამპარი აანთო; სად იღებს სათავეს ყველასთან დიალოგის მისეული ძაფი, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ცდილობდა სიტყვით გაეცოცხლებინა აზრი და მეორედ შობის საშუალებას გვაძლევდა - მაშინ წაიკითხეთ ეს საუბრები.

თქვენთვის სასიამოვნო იქნება გაიგოთ ის, რომ ეს ხმა ვიიონის, მონტენის, დეკარტის, რასინისა და პრუსტის ფრანგულით ლაპარაკობდა. მიხვდებით, რომ ჩვენი წარმოდგენა ბეტონის "Homo sovieticus"-ის შესახებ, რომელიც მილიონი ერთფეროვანი ეგზემპლარით იყო ტირაჟირებული - მითია, რომლის მიღმაც იმალება საბჭოთა ინტელიგენციის ნამდვილი, ცხოვრებისეული დრამა და რეალური სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ არასდროს შემწყდარა.

აზრი შეუძლებელია მოკლა, - ამბობს მერაბი, - ყველაზე ტოტალიტარული, ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი, საბჭოთა რეჟიმი კი უძლურია სიცოცხლესთან ბრძოლაში, რადგანაც ცხოვრება, თუნდაც სუსტი, როგორც ბალახი, ამოხეთქავს ასფალტის ზედაპირს და გახეთქავს ქვას. მაგრამ ერთმნიშვნელოვან ოპტიმიზმს აქ ადგილი არა აქვს, დიახ, ადამიანი ყოველთვის ილტვის ტრანსცენდენციისკენ (ისწრაფვის უმაღლესისკენ, როგორც ალკიბიადე ამბობდა სოკრატეს შესახებ). ამის გარეშე კაცობრიობას ისტორია არ ექნებოდა. მაგრამ კულტურა, ნებისმიერი კულტურა, იბრძვის ტნასცენდენციის წინააღმდეგ - ამის გარეშე მას არ შეუძლია არსებობა, რადგან მისი არსებობის საწინდარი წესრიგი და სტაბილურობაა. ნებისმიერი კულტურა ცდილობს შეზღუდოს, თავის თავში ჩაკეტოს ადამიანი.

და აი, კიდევ ერთი გაკვეთილი, რომელზეც ღირს დაფიქრება. როცა ათენი გათავისუფლდა ოცდაათი ტირანისგან და აღადგინა დემოკრატია, სოკრატეს სიკვდილი მიუსაჯეს ახალგაზრდობის გარყვნისთვის. მერაბი ბედნიერი იყო, რომ იგი ტოტალიტარული ბორკილების მსხვრევას შეესწრო, მაგრამ ეს სიხარული წუხილმა დაჩრდილა. თავიანთი გულახდილი სურვილით, სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრონ, ადამიანები ხშირად "ფაშიზმის ხაფანგში ებმებიან" ხოლმე - აღნიშნავს იგი ნაციონალიზმისა და ნაციონალური პრობლემების შესახებ ახლადგადემოკრატიულებულ სსრკ-ში. "ჩვენთან, - წერს იგი საქართველოს შესახებ, მისი არაჩვეულებრივად სიცოცხლისმოყვარე ხალხის შესახებ, რომელიც მერაბის თვალში საფრანგეთთან ამჟღავნებს ფარულ კავშირს - პატრიოტიზმით მოხდა განმანათლებლობის ჩანაცვლება, მე კი განმანათლებობის მომხრე ვარ".

წიგნის დასაწყისში ანი ეპელბუანი იხსენებს, რომ სიკვდილამდე ორი კვირით ადრე მერაბი ახალი ქართული მთავრობის შესახებ საუბრობდა: "სამოქალაქო სიკვდილის არ მეშინია, მე უკვე ვიცხოვრე შინაგან ემიგრაციაში, მაგრამ ვეწინააღმდეგები იმათ, ვინც დღეს ახალ მონობას გვპირდება. მე ვიბრძვი არა ქართული ენისთვის, არამედ იმისთვის, რაც ამ ენაზე ითქმება. მე რწმენა არ მინდა, მე სინდისის თავისუფლება მინდა".

ყური მივუგდოთ ამ ცოცხალი ხმის მოწოდებას, დაე, ყოველმა ჩვენთაგანმა ყურადღებით მიმოიხედოს გარშემო, სადაც აზრის ჩახშობის მრავალი ხერხი არსებობს.

თარგმნა **მალხაზ ხარბედიამ**

**არილი**



დავით ანდრიაძე

# ცნობიერების გახმოვანება



თავის დროზე საფრანგეთში გამოსცეს წიგნი, სათაურით "ალფრედ დე მიუსე-შპიონი". თურმე, ნუ იტყვით და, ფრანგი მეტრი ისეთივე "ჩამშვები" ყოფილა, როგორც ნიკოლოზ პირველისდროინდელ რუსეთში - "ივან ვიჟიგინის" ავტორი.

მერაბ მამარდაშვილზეც დადიოდა (და ახლაც დადის) ხმები, როგორც შპიონზე; და ამის საბაბს, გარკვეულწილად, თავადაც იძლეოდა.

მამარდაშვილი მართლაც "შპიონი" იყო, ოღონდ, ეს სხვაგვარი შპიონაჟი იყო, "ფილოსოფიური შპიონაჟი"...

"მე ვარ ქართველი და ფილოსოფოსი, ჭაბუკობიდანვე შინაგან ემიგრაციაში ვიმყოფები, მე კარგად მესმის, რას ნიშნავს იყო შპიონი".

მიაქციეთ ყურადღება - არა "ქართველი ფილოსოფოსი", არამედ "ქართველი და ფილოსოფოსი"...

ეს "აღსარება" 1990 წლის 20 აგვისტოს აქვს ნათქვამი ანნ შევალიესათვის მიცემულ ინტერვიუში. ეს მისი უკანასკნელი ინტერვიუ იყო; ინტერვიუ, რომელსაც "შპიონის ცხოვრება" ერქვა.

1990 წლის 25 ნოემბერს მამარდაშვილს გული გაუსკდა.

მას, სწორედაც, კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა, იყო შპიონი.

"შპიონად ყოფნა" მისთვის, როგორც თავადაც მიანიშნებდა, "შინაგან ემიგრაციაში" ყოფნას მოასწავებდა და იმთავითვე გამორიცხავდა ოპოზიციას: "საეჭვოუეჭველი".

"შინაგანი ემიგრანტობა" შენიღბული ცხოვრებაა. "სხვისთვის" ასეთი ცხოვრება ტანჯვად შეიძლებოდა ქცეულიყო, გაუსაძლის ტანჯვად. აი, მამარდაშვილი კი, ამგვარი "ემიგრანტობით" გახდა, უფრო ზუსტად, ხდებოდა ფილოსოფოსი ანუ "უცნობი ქვეყნის მოქალაქე". ასეთი, კონსპირაციული არსებობა მისთვის "სოვოკის" ცხოვრების ალტერნატიული ფორმა იყო.

ასე აითვისა მერაბ მამარდაშვილმა ფილოსოფოსობა, როგორც აგენტურული პროფესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის "კარტეზიანულ განაზრებებში" დეკარტეს შესახებ შემთხვევით არ წერდა (sic!), იგი ახალი დროის ყველაზე საიდუმლო ფილოსოფოსიაო. ამიტომაც გახდა დეკარტეს დევიზი მისსავე დღიურში ჩაწერილი ერთი ლათინური ფრაზა, რაც ნიშნავს "ნიღბით გამოსვლას".

"დიახ, ასე ცხოვრობდა დეკარტე..."

დიახ, ასე ცხოვრობდა მამარდაშვილი...

ასე ჩაენაცვლა კარტეზიანულ Cogito ergo sum-ს მამარდაშვილისეული "Incognito ergo sum".

მას შეგნებული ჰქონდა, რომ "ცხოვრება მხოლოდ მან შეიძლება კარგად განვლოს, ვინც კარგად ინიღბება".

თავადაც ასე განვლო ცხოვრება; კარგად შენიღბულმა იცხოვრა.

ეს იყო ფილოსოფოსის არტისტული ბიოგრაფია. ფილოსოფოსის საბჭოურ-ბიუროკრატიული დისკურსი მან არტისტულ დისკურსად აქცია. მამარდაშვილის კოლეგის, ასევე, უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიის მქონე გივი მარგველაშვილის თქმით კი, ნამდვილი ფილოსოფოსი - უმაღლესი რანგის არტისტია.

ლიტერატურა და ხელოვნება მამარდაშვილისთვის ფილოსოფიური რეფლექსიის საწვავი იყო. მისთვის, როგორც სპონტანური მოაზროვნისათვის ამიტომაც იქცა მარსელ პრუსტი იმ საჯილდაო ქვად, თუნდაც სიზიფეს ლოდად, რომელიც მწვერვალზე კი არ აჰქონდა, არამედ გზაზე მიაგორებდა.

გაბრიელ მარსელისა არ იყოს, ყოფნა მუდამ გზაში ყოფნას მოასწავებს.

მამარდაშვილიც მუდამ გზაში იყო; და გზაშივე გარდაიცვალა - აეროპორტში.

მოაზროვნეები, რომლებთან ერთადაც იგი "ფიქრობდა" - დეკარტე, კანტი, პრუსტი... ერთ ფიგურაში იყრიდნენ თავს; უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საბოლოო ფიგურა თვით მამარდაშვილიცაა.

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ზეპირ ტექსტებში (თუ ჰიპერტექსტებში) თითქოსდა, ერთსა და იმავეს ამბობს, ერთსა და იმავეს "ატრიალებს", ლამის მანიაკალურად გვთავაზობს ახალ-ახალ ვარიაციებს, ხანდახან "ბოლეროსავით" მეორდება... საერთოდ, იყო რაღაც იმპრესიონისტული მის მეტყველებაში, რაღაც მონესეული მონასმებივით დისლოცირებული აზრები, "პუანტები"... თუმცა, სიკვდილის წინ პრუსტისეული ბერგოტი რომ იგემოვნებდა ვერმერის მიერ დახატული კედლის ყვითელ ფრაგმენტს, მასაც ასევე შეეძლო, დაჟინებით "ეცქირა" ლოკალური აზრობრივი სეგმენტისათვის და უთავბოლო ლაპარაკით ტვინი გამოელაყებინა, თუმცა, ყოველივე ეს სიამოვნებასაც ანიჭებდა, ენით აუწერელ სიამოვნებას; და ამას არც მალავდა.

და მაინც, მისი სტიქია აზრის ასიმეტრიული ტავტოლოგია იყო!

ფილოსოფიური ანალიზის პოსტმოდერნული ტექნიკის მიუხედავად, მამარდაშვილის ფენომენი მაინც კლასიკური ტიპის ფილოსოფოსობას გვახსენებს. ფილოსოფოსი, მისთვისაც - ბრძენია, კანონმდებელი გონების მეუფე, სამყაროს რომ მართავს და ტრანსცენდენტალურ არგუმენტთა შემპარავი გადმოლაგებით ფიქრობს; "სხვათა" მაგიერ ფიქრობს, ანდა "სხვათა" "მაგიერ" აგრძელებს ფიქრს...

იყო რაღაც ანტიკური მის ფილოსოფიურ კულტურაში, არა "დაწერილი", არამედ "ჩაწერილი" კულტურის გამოძახილი!

რაღაც ეროტიულიც იყო გახმოვანებული ფიქრის ამგვარ პერფორმანსში, თუნდაც, ერთგვარ ფენომენოლოგიურ სტრიპტიზში; და სწორედ აქ "იყიდებოდა" მამარდაშვილი-შპიონი. აქ, სურვილის ამ ფონო-ლოგო=გრაფიაში მჟღავნდებოდა დისკურსიულად სტრიპტიზიორი "მამაკაცის საიდუმლო", რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ის... "ქალია".

ნიცშესავით, მასაც შეეძლო საკუთარი თავისთვის ეწოდებინა "სიტყვების ფაბრიკანტი". და საერთოდ, სამეტყველო ორგაზმი თუ ენობრივი ონანიზმი, როგორც გაუთავებელი სალაპარაკო ფრიქციებიც საბჭოური დისკურსი იყო, ენა პერვერსიის ინსტრუმენტად რომ აქცია, თანაც არა თემატურ ასპექტში, არამედ ორ-



გიასტულ-მექანიკურ დონეზე; და ეს "ორგიებიც" გზაში ხდებოდა...

იგი დიახაც, გზადაგზა აბნევდა აზრებს, ფილოსოფიური "ჟანრის" ტოტალობას კულტურული (და არა უბრალოდ, სულიერი) გამოცდილების დისციპლინათშორის სივრცეს ჩაუნაცვლებდა, ტრაქტატული ფორმის მთლიანობას ტექსტუალური ღიაობით ცვლიდა, საავტორო სუბიექტურობის მონოლითურობას იმპერსონალური კომუნიკაციური ლაბილურობით ანაზღაურებდა.

და მაინც, მამარდაშვილისეული დისკურსი სულაც არ მოასწავებდა აზრის კატასტროფას. მისეული რეფლექსია, როგორც გაბნევა (და დაბნევაც!) რეპრეზენტირდებოდა, როგორც მოვლენა, უფრო ზუსტად მოვლენებრიობა, როგორც პროცესი, და არა როგორც შედეგი, "საგანი", ჯამი...

მამარდაშვილის რეფლექსიურ სეანსებში მსმენელი (resp. მკითხველი), ანდა კიდევ უფრო ზუსტად, მაყურებელი ხედავდა საგანს მის ონტოლოგიურ თვითიგივეობრიობაში, ისევე როგორც სეზანისეული ვაშლების ხედვაში მოცემული იყო მხოლოდ და მხოლოდ ვაშლები; ვაშლები და სხვა არაფერი! სეზანის ოსტატობა კი, მამარდაშვილისეული გაგებით, მოვლენის ჩვენებაში აღწევდა სრულყოფილებას, მოვლენისა, რომლის სახელიც - ვაშლებია.

მერაბ მამარდაშვილი იმ დროს გამოჩნდა ე.წ. საბჭოური ფილოსოფიის სივრცეში, როდესაც ერთადერთ "კარგ ტონად" ითვლებოდა ფილოსოფიური ტრაქტატების ინტერპრეტაცია ჰუმანიტარული აზროვნების შკოლარული სქემების ჩარჩოებში, რაც დაკავშირებული იყო ილუზიასთან, რომ ფილოსოფიამ თავისი კლასიკური, "მეცნიერული" ნიმუშების სახით უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი კულტურაში, ჰუმანიტარიის დანარჩენი სფერო კი ამ "ერთადერთ" ფილოსოფიურ ტოპოსთან მიმართებით აღიქმებოდა და კვალიფიცირდებოდა, როგორც "არაფილოსოფიური".

მამარდაშვილმა ფილოსოფოსობის სწორედ ეს, ამქრული პრინციპი შეარყია და შემოიტანა ფილოსოფიის იმგვარი გაგება, რომელსაც ექსტერიტორიალურიც შეიძლება ეწოდოს, რისკიანად დაარღვია აპრიორული წარმოდგენები იმის შესახებ, რომ იზოლირებულად არსებობს "მეცნიერების ტოპოსი", "ფილოსოფიის ტოპოსი", "ლიტერატურის ტოპოსი", "ხელოვნების ტოპოსი"... და ამით ისიც გვიჩვენა, რომ "მკაცრი მეცნიერულობა" და მჭლე "აკადემიზმი" ფილოსოფიისათვის ის ექსსაფრთხობელაა, რომლისაც დასავლეთში კარგახანია აღარავის ეშინია; და საერთოდ, ყავლგასული "კრიტერიალური სქემატიზმი" სულაც აღარ გამოდგება ფილოსოფიურ ნაწარმოებთა (და არა ე.წ. "გამოკვლევათა") ექსპერტიზად.

მამარდაშვილის ექსტერიტორიალურმა ტექსტებმა ასე მოიპოვეს ჟანრული ტოპოსი, ასე გაარღვიეს ინსტიტუციონალური ტერიტორია და ეჭვქვეშ დააყენეს ნება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს "სისტემურობის ნება".

მამარდაშვილისეული დისკურსი კიდევ ერთხელ გვინერგავდა აზრს, რომ ფილოსოფიური აზროვნება ისტორიულია, ანუ იგი ფლობს საკუთარ დროს კულტურაში, რომ იგი სულაც არ გვევლინება მარტოოდენ მარადისობის დროდ და ამიტომაც ძნელია, რომ არ ეთქვათ - შეუძლებელი, მისი დაჯავშნა აზროვნების სტაბილური, სტაციონარული ფორმებით, რომ აზროვნება, ფილოსოფიური იქნება იგი თუ არტისტული (რაც, პრინციპში ერთი და იგივეც კია), მუდამ ორმაგ დროში მანიფესტირდება: ცდილობს რა საკუთარი ისტორიული ფორმის უკვდავყოფას, აზრი "ხელოვნურად" გადალახავს თავის დროით-სივრცულ სასრულობას და ასე ეწერება უცვლელ და უნივერსალურ პრინციპთა ოჯახში. ფილოსოფიაში ესაა დრო, როდესაც ბატონობს ზემოთხსენებული "სისტემურობის ნება", მაგრამ არსებობს სხვა დროც, პირველ, დიდ დროში შემთხვევითი მდგმურის სტატუსით

რომ "ცხოვრობს". ესაა ინდივიდუალური, გაუთვალისწინებელი დრო, "შემთხვევითი" აზრის, როგორც მოვლენის დრო... ესაა პრინციპულად უფორმო, ქმნადი, გან-ვითარებადი დრო, რომელსაც ხანიერების თავისი რეჟიმი აქვს, ხანიერების საკუთარი განრიგი. სწორედ ამგვარ დროს აფიქსირებდა მამარდაშვილი; ევოლუციის, ბერგსონისეული duree-ს დროს...

ასე გვეცხადება ორი დრო, პირველი - მუდმივი, მარადიული, დაუკარგავი, აქრონული, მეორე კი, ქრონომეტრაჟული, დაკარგული... პირველი დრო ისტორიაა, რომელიც იმავდროულად, კლავს მომავალს, ახდენს მოვლენათა ოკუპაციას, ყველაფერს უქვემდებარებს ქრონოლოგიურ და სისტემურ წესრიგს, მეორე დროც ისტორიაა, ოღონდ, როგორი? წარსულს რომ ანადგურებს, მაგრამ იმავდროულად, განადგურების ამ პროცესში თავადაც განიბნევა უამრავ "ჩრდილოვან", ლოკალურ, შემთხვევით "კვანტებად" და გახსენების ფიგურების, როგორც მოვლენების შიგნით მოძრაობს. ესაა, თუ შეიძლება ითქვას, ის "ჩრდილოვანი ფილოსოფია", რომელიც ძირს უთხრის "პირველი ისტორიის" საათივით აწყობილ რეჟიმს.

მამარდაშვილისეული დისკურსი იმაშიც გვაჯერებს (განგებ არა ვწერ, გვარწმუნებს), რომ ისტორიაში, როგორც გახსენებაში კიდევ არსებობს "სხვა" ისტორია - "დავიწყების ისტორია". თუკი "პირველი ისტორია" შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც უწყვეტი ხაზი, დამკვირვებელთან მიმართებით გავლებული უწყვეტი ხაზი, "მეორე ისტორია" მხოლოდ და მხოლოდ კვალია, პუნქტირია, მისი სინკოპირებული რიტმი, სწორედაც გახსენების მყისიერებაში ვლინდება, თუნდაც დაკარგული დროის გახსენების მყისიერებაში, იმ რეაქტიულობაში, დამკვირვებელ სუბიექტს ანუ გა-მხსენებელს მუდმივ ტრანსფორმაციას რომ უქადის და "პირველ ისტორიასთან" არა მხოლოდ ოპონირებისაკენ უბიძგებს, არამედ პრინციპულადაც რთავს აზრს ანამორფოზის, როგორც ისტორია-I-თან მუდმივი დაბრუნების რეჟიმში.

მამარდაშვილმა სხვა სტატუსი შესძინა ფილოსოფიაში "წერა-კითხვის" პროცედურას, რომელიც "შკოლარულ" ისტორიულ-ფილოსოფიურ ანალიზში ფაქტობრივად ანულირებული იყო. ფილოსოფიური თხზულება განიხილებოდა თავისი დასრულებული, სისტემატიზებული ფორმით, რომლიდანაც გამოდევნილი იყო ფილოსოფოსის "შავი ნაწერის" კვალი. ფილოსოფოსად ითვლებოდა ის, ვინც აზროვნებდა, და არა ის, ვინ წერდა. ფილოსოფიური წიგნი (და არა ნაწერი), ელემენტარულად, აზროვნების შედეგთა ჩანაწერი იყო; მეტი არაფერი! აზროვნება იყო აუცილებლობა, მისი გამოხატვა კი, შემთხვევითობა. ამიტომაც იქცა ნორმად, ფილოსოფიური ტექსტის გააზრების რეჟიმი დამთხვეოდა მისი ჩაწერის რეჟიმს. ფილოსოფიური ნაწარმოების (და არა ტექსტის) კომუნიკაციური ღირებულებანი ამიტომაც ემორჩილებოდა "ნათელი", "მწყობრი", "არაწინააღმდეგობრივი" და ამდენადვე, სარწმუნო არგუმენტაციების ლოგიკას. აქედან მომდინარეობდა ფილოსოფიური ტრაქტატის ჟანრი, ტრაქტატისა, რომელიც სწორედაც "განაზრებას" ექვემდებარებოდა და არა კითხვას; ანდა წა-კითხვას, როგორც ასეთს... კითხვის აქტი, განაზრებასთან, ანუ როგორც პეტრიწი იტყოდა, "მიდმოგონებასთან" შედარებით, დიახაც, შემთხვევითი აქტი იყო. მერე და მერე, ამგვარი განაზრებანი ბუხჰალტრულ კალკულაციას გაუთანაბრდა. მამარდაშვილმა სწორედ ამგვარი, სისტემური ჩანაწერის პათოსი დაამიწა ჩვენში, თავის მხრივ, მისი სისტემური დეზავუირება მოახდინა და თანდათან დაგვანახა "წერა-კითხვის ეფექტი, თანაც ისევ და ისევ ფილოსოფიური ეფექტი, გაგვასინჯა გემო ტექსტის გაგების იმ თაფლისა, რომლის დაგემოვნებაც, გამოტანჯული რეფლექსიის წიაღ შეიძლება.

მამარდაშვილის ლაპარაკიც ტექსტი იყო, ტექსტი, რომელსაც ახლდა მოლაპარაკის არტისეული აურა, ხმა, დიქცია, მიმიკა, ჟესტი, ბოლოს და ბოლოს, ჩიბუხი... და ამ "ატრიბუტიკითაც" გვაჯერებდა, რომ "**мысль изреченная...**" მუდამ სიცრუე როდია...

ეს, მართლაცდა, ერთი ფილოსოფოსის თეატრი იყო, თეატრი, რომელიც ხანდახან ფილოსოფიურ მიტინგშიც გადაიზრდებოდა...

და მაინც, ფიქრის წარმოდგენის, ფიქრის რეპრეზენტაციის ამ პროცესში, არსებითი თვით ფიქრის აღმძვრელი, მაპროვოცირებელი სტიმულების ტექნიკა უფრო იყო, მეტაფიზიკა, რომელიც თითქოსდა, ტანის (და "ტანის ხმის") მეშვეობით კომუნიცირდებოდა ანდა ასეთი ტანით კომუნიცირდებოდა, როგორც თითქოსდა მეტაფიზიკა.

იგი უაღრესად მგრძნობიარე გახლდათ იმისადმი, რასაც კანტი "ტრანსცენდენტალურ პარალოგიზმს" უწოდებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ესმოდა, კარგად ესმოდა, თუ რამდენი ნატურალისტური ბილიკი (თუ თემშარა) უნდა გაიარო, სანამ ტრანსცენდენტალური რეფლექსიის დიდ გზას დაადგები ანდა რამდენი ტროპოლოგიური "ფიგურები" უნდა შესწირო ამგვარი რეფლექსიის ერთ, თუნდაც წასაგებად განწირულ პარტიას.

მამარდაშვილისეული "ტექსტების" ანალიზი იოლი საქმე არაა; ანდა, საერთოდ, არაა "საქმე". ესაა ცოცხალი ტანი, ცოცხალი რეფლექსის ცოცხალი ტანი, რომელთან მიკარებაც მტკივნეულიცაა და სასიამოვნოც; მის თითოეულ "ტექსტს" აკრავს ერთგვარი, დერიდასეული "ჰიმენი", ანუ ის მეტაფიზიკური საქალწულე აპკი, რომელიც აზრის საკრალურ ქსოვილთან კიდეც გვააახლოებს და კიდეც გვაშორებს. ამ ტექსტებთან ყოველი "მიკარებისას" ვგრძნობთ, რომ ესაა არა უბრალოდ აზროვნების პროცესის ჩანაწერი, არა შესამეცნებელი ტექსტი, არამედ ფილოსოფიური "ცნობიერების ნაკადისა" და მისი "გახმოვანების"



ერთჯერადი პროცედურა, რომ ეს "ტექსტები", როგორც თავად იტყოდა, "მესამე საგანთა", "გასაგებ ტანთა" სიმულაკრებია, საბოლოო ჯამში კი, ამ "გაგებას" მივყავართ "შეუძლებელ (თუგინდ უძლურ) ტანთან", ანუ შპიონის არსებობის ტოპოსთან, შპიონისა და თავად შპიონაჟისა, რომლის ტანიც ორმაგი ეკრანით, ორმაგი ინვაგინაციით კონსტიტუირდება. ამიტომაცაა, რომ ამგვარი "შპიონი" - არა მხოლოდ რომელიღაც კონკრეტული მამაკაცია, არამედ ის ძალა, რომელმაც იგი აქცია ქალად; იმ ქალად, რომელმაც ეს ბინარული სქესობრივი ტოპოსები დაიყვანა ნაოჭამდე, ამ ლაიბნიც-დელიოზისეულ Le pli-მდე და ასე შექმნა "პორტრეტი" ანტონენ არტოსეული "ტანისა ორგანოთა გარეშე", ეს - ანონიმური "სურვილის მანქანა", რომელიც ამრავლებს ამ ნეობაროკალურ ნაოჭებს; თავად მამარდაშვილის დისკურსშიც იყო რაღაც, ბაროკალურად დანაოჭებული, თუმცა, ეს ნაოჭები სულაც არ მოასწავებდნენ ერთადერთი, "სამყაროთაგან საუკეთესოს" რეპრეზენტაციას. კიდევ მეტი, მამარდაშვილისეული შპიონაჟური დისკურსი, გარდა იმისა, რომ მოასწავებდა საკუთარი ტანის ჯაშუშობას, იმასაც გულისხმობდა, რომ შპიონი, ესაა გარდასახული (გადაცმული) ფორმა (თუ უნიფორმა), თანაც ისე, რომ იგი ახდენს არეპრეზენტატულის რეპრეზენტაციას.

მამარდაშვილისეული ფილოსოფიური შპიონაჟი იმაზეც მეტყველებდა, რომ იგი, ქალის ტანივით ახდენდა წაკითხვის, როგორც გაშიშვლების რეპრეზენტაციას ანუ ისევ და ისევ წარმოუდგენელის წარმოდგენას, არარეპრეზენტირებადის რეპრეზენტაციას, სხვაგვარად, ეს იყო ერთგვარი სექსუალური დეკოდირება, თუნდაც დაკოდვა, თვითდასაჭურისების აქტი, რომლის პროცესშიც იბადებოდა ახალი ტანი - შპიონის ტანი, ახალი კვაზისაგნობრიობა, თავისი ნაოჭებით, თავისი ნეობაროკალური სიმულაკრებით, ფილოსოფიური ლოგოფონოვიზიონერის სექსუალურად კარტოგრაფირებული ტანის დელეგირებას რომ ახდენს და "სანდომიან" ქალურ საიდუმლოებათა დეკოდირებისაგან იღებს სიამოვნებას. ასე იცავენ "ქალური საიდუმლოებანი" თავს მამაკაცურ სურვილებისაგან, ასე ემალება ქალი - კაცს, ხოლო როგორც კი, მოიხსნის ამ "სამოსს", მამაკაცის ფანტაზიას სხვა ალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფერი რჩება, გარდა საკუთარი აუტოეროტიზმისა.

აი რატომ ყოფილა ქალის ტანი სიგნიფიცირებული მამაკაცის ფანტაზიებით; აი, რატომ ყოფილა ქალის ტანი მამაკაცურ სურვილთა ენა... და ამ ენის ექსცესი; აი, თურმე რატომ ლაპარაკობს ენა ტანის ტრანსგრესიის მეოხებით, და პირიქით, რატომ იმოსავს ტანს ანატომიურ-ბიოგრამატული ბირთვის სახით, რატომ გვეცხადება სექსუალურ ლანდშაფტად თავისი ეროგენული ზონებით; ბოლოს და ბოლოს, იქნებ სწორედ ამიტომაა ქალის ტანი - შპიონის ტანი ესთეტიკური?!

ხედავთ, ენაც და ტანიც, მართლაცდა ურთიერთფიგურატიულნი, ურთიერთინფრასტრუქტურულნი ყოფილან და ერთიც და მეორეც, იმაზეც მეტყველებენ, რომ ენის ანუ მნიშვნელობათა ჰორიზონტს მიღმა შეუძლებელია ტანის რაიმენაირი ნატურალური არსებობის რეპრეზენტაცია, რომ ტანი არც ენა-"მდე" არსებობს და არც ენის - "შემდეგ"; რომ ენაცა და ტანიც ასიმეტრიული გაორების ერთდროულ აქტში იბადებიან...

აი, ასეთ ენასა და ასეთ ტანს, ქალური ტანისა და მისი (ჰეტ)ეროგენული ზონების სიგნიფიკატიურ ატლასს გადაგვიშლის ფილოსოფოსის ვაგინალური თვალი, თანაც ისე, რომ სურვილის (ნდობის) გრაფია არ გადაიზრდება პორნო-გრაფიაში, თუმცა სამეტყველო თვალის ანატომიის მასკულინური დომინაცია მაინც გულისხმობს ნდობის ობიექტზე ვიზუალურ-ვერბალურ ძალადობას.

ასეა თუ ისე, "ხედვის სურვილი" - "სურვილის ხედვასაც" მოასწავებს, ანუ გულისხმობს ნიშანთა გაორმაგებას და ამდენადვე, წერის წესების თანახმად, ტანისეული მარკერებითაა მონიშნული. თუმცა, "მუმუს დუმილის" ავტორის შენიშვნით, მამარდაშვილი უარს ამბობს სურვილის სემიოტიკაზე, რითაც მამაკაცურ პრიორიტეტზეც აღარ დებს თავს. ესეც, მისი შპიონური (ქალური) პოზიციის კიდევ ერთი დასტურია, დასტური იმისა, რომ ფილოსოფოსი (მამაკაცი?) ამჯობინებს, საკუთარი თავი (და ტანი) დასახოს გრაფიის ობიექტად და გაორების სარკიდან გაუჩინარდეს, ვიდრე სტაგმატური იარებით დაიდაღოს ტანი და საკუთარი სურვილების რეპრესიების რეპრეზენტანტი გახდეს. ამიტომ ხომ არ ამბობს მამარდაშვილი ინტერვიუ-აღსარებაში: "მე არ მინდა ვიყო იქ, სადაც სურთ ჩემი ნახვა. სურვილის არქონა - შპიონის ცხოვრების ერთი ყველაზე დიდი კანონთაგანია".

ერთ-ერთ ლექციაში მას მოჰყავდა პრუსტის ბრწყინვალე დაკვირვება კრებულიდან "სენტ-ბიოვის წინაალმდეგ". ეს დაკვირვება ეხება "სხვა მე"-ს საკუთარ თავში: "მე არ ვიცი, ეს რა არსებაა. იგი კვდება, როცა ჰარმონია წყდება; და აღდგება, როცა შეხვდება სხვა ჰარმონიას, იკვებება მხოლოდ ზოგადით და კვდება კერძოში. ოღონდ, სანამ არსებობს, მის სიცოცხლეს მოაქვს ექსტაზი და ბედნიერება და მხოლოდ მან უნდა წეროს ჩემი წიგნი"...

ეს "სხვა მე" იყო მამარდაშვილისათვის იგივე პრუსტი. დიახ, მამარდაშვილში ჩასახულმა ამ "სხვა მე"-მ დააწერინა "ლექციები პრუსტის შესახებ" ("გზის ფსიქოლოგიური ტოპოლოგია"), 33 ლექცია - ეს, დანტესეული ოცდაცამეტი!

ლექციის კითხვა მისთვის წერის ნაირსახეობა იყო, ნაწერის წინასწარი არტიკულაცია, თანაც შემთხვევითი "წერის" ანუ შემთხვევითი რეფლექსიის, აუდიტორიის წინაშე ცოცხალი რეფლექსიის აქტი.

ჟილ დელიოზი თავის წიგნში "პრუსტი და ნიშნები" ამგვარ "შემთხვევითობაზე" წერდა, ჭეშმარიტება რაღაცასთან "შეხვედრაზეა" დამოკიდებული, იმასთან "შეხვედრაზე", რაც გვაიძულებს, თანაც გარანტირებულად გვაიძულებს, ვეძებოთ ჭეშმარიტი... ამასთან, სწორედ შეხვედრის "შემთხვევითობაა", აზრის გარდაუვალობის გარანტიას რომ იძლევა. ესაა "შეხვედრის" პრინციპული ერთადერთობა. შემთხვევითი კი ეს "შეხვედრა" იმიტომაა, რომ იგი ერთადერთი, განუმეორებელი, არამეთოდოლოგიზებადია. ამიტომაც უწოდებს დელიოზი ამ ფენომენს "მომხდარის ერთეულს". ამიერიდან ამიტომაც აღარ არსებობს ფილოსოფოსობის მეთოდი; და თუ არსებობს, ყოველ შემთხვევაში - მამარდაშვილისათვის, ესაა "მეტაფიზიკური ტოპოლოგია" ანუ სამეტყველო თვალით - ამ კვაზიორგანოთი ხედვა, "ხედვა" - "ლაპარაკით".

ესეც შენიღბული დისკურსია, მამარდაშვილისეული შპიონაჟური დისკურსი, რომელსაც ზეპირი ფილოსოფიური ნარაციის ეს მაესტრო ვირტუოზულად ფლობდა. თეატრალიზაციის ამგვარი პროცედურის პროცესში იბადებოდნენ მისეული აზრობრივი კენტავრები, უცნაური კონცეპტები, სინთეზურ-ანალიტიკური ფიორიტურები... არტისტული არტიკულაციის შემდეგ რომ იწერებოდნენ... იწერებოდნენ და გადაიწერებოდნენ, "სხვათა" მიერ გადაიწერებოდნენ...

ასე მრავლდებოდა მამარდაშვილის ხმა, სახელმწიფოსა და "სახელმწიფო ფილოსოფიის" ანონიმურ-აბსტრაქტული ხმის ალტერნატიული ხმა!

ეს იყო "შპიონის" ხმა; ხმა "კაცისა", თანაც ვაგინალური თვალით, საკუთარ თავს "სხვებთან" რომ ასმენს; ხმა ჯიუტად მოაზროვნე ტრავესტისა, ვისთვისაც ფილოსოფია ცნობიერების სინტაქსური ძვრა იყო, გამგებ ტანთა ტოპოსში გადაადგილება, მარგინალური ხეტიალი. ამასთან, ეს იყო უჩვეულო ვერბალურ-რეჩიტატიული პრაქტიკა, სამეტყველო დისკურსიულობის გასაოცარი აქტი, აზროვნების ონტოლოგიზაციის წარმოდგენა, რომელიც თავად ამ დიდმა "შპიონმა" და მისტიფიკატორმა განსაზღვრა, როგორც "ცნობიერების გახმოვანება".

ეს "ხმა" დღესაც ჩაგვესმის...

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა კვერცხიშვილი

# პიროვნული - ეროვნული - უნივერსალური

## ვარიაციები მამარდაშვილის თემაზე

1989 წელს ერთ-ერთ რუსულენოვან გაზეთში გამოქვეყნდა მერაბ მამარდაშვილის ინტერვიუ. მასში არის პიროვნულის, ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებული უაღრესად საინტერესო ფრაგმენტი, რომელიც იმითაც არის ღირებული, რომ საშუალებას იძლევა მსჯელობა ამ საკითხზე სხვადასხვა მიმართულებით გაიშალოს.

ერთი ასპექტით ეს უკვე გააკეთა ზურაბ კიკნაძემ, რომელმაც ფრაგმენტი თარგმნა და განიხილა სტატიაში "რამეთუ იყო იგი სხვა ჩემი". თარგმანს სწორედ მას დავესესხები:

"მას შემდეგ, რაც არსებობს სახარებისეული ათვლის წერტილი, მას შემდეგ, რაც არსებობს მსოფლიო ისტორია, არსებობს ერთი მარტივი კანონზომიერება: რეალური კულტურა და ადამიანის სულიერება არ შეიძლება შემოიზღუდოს იმ ეთნიკური მასალით, რომელშიც ისინი ხორციელდება. ნებისმიერი სოციალური და ნაციონალური ერთობა, რა დიდიც არ უნდა იყოს იგი, იყოს თუნდაც ერთადერთი, მაინც ცალკეულად, ნაწილებად დარჩებოდა და მოკლებული იქნებოდა უნივერსალობას. პიროვნული საწყისები, რომლებიც სწორედ უნივერსალურს არის მოჭიდებული (зацеплены), წარმოადგენენ ნაციონალური ნიშნების ნორმალური არსებობისა და სრულფასოვანი, ცოცხალი ფუნქციონირების პირობებს... ვერავითარი ეროვნული ხასიათი ვერ შენარჩუნდება და ვერ იარსებებს თავის საუკეთესო თვისებებში პიროვნული საწყისების გარეშე საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურაში. თუ ეროვნებაში (ერში, ნაციაში) განადგურდება პიროვნული საწყისები, რომლებიც ეროვნულობის გარეშეა (вненациональны) და წარმოადგენენ ადამიანის, როგორც ასეთის ისტორიულ საწყისებს, ეთნიურობისგან დამოუკიდებლივ, მაშინ ეროვნების საუკეთესო თვისებები გაქრება. ეს საწყისები კი ყოველი სულიერების საფუძველია, რადგან მისი არსი ის არის, რომ სამშობლოზე მაღლა ყოველთვის დგას ჭეშმარიტება (ეს ხომ ქრისტიანული მცნებაა); მხოლოდ პიროვნებას შეუძლია ეძებოს იგი და უკიდურესი პირდაპირობით გამოხატოს. მე ჭეშმარიტებას ვაყენებ სამშობლოზე მაღლა და მებადება კითხვა: ბევრ ქართველს შეუძლია ჭეშმარიტების დაყენება თავისი სამშობლოს მოჩვენებით ინტერესებზე მაღლა? თუ არ შეუძლიათ, ცუდი ქრისტიანები ყოფილან" ("ზარია ვოსტოკა", 1989 წ. 25 ივლისი).

"მას შემდეგ, რაც არსებობს სახარებისეული ათვლის წერტილი, მას შემდეგ, რაც არსებობს მსოფლიო ისტორია, არსებობს ერთი მარტივი კანონზომიერება: რეალური კულტურა და ადამიანის სულიერება არ შეიძლება შემოიზღუდოს იმ ეთნიკური მასალით, რომელშიც ისინი ხორციელდება."



* * *

ამ ნაწყვეტში, ერთი შეხედვით, ოდნავ ბუნდოვანი ჩანს, რატომ გაქრება ეროვნების საუკეთესო თვისებები იმ შემთხვევაში, თუ განადგურდა პიროვნული საწყისები - ისინი ხომ, მამარდაშვილის თქმით, ეროვნულობის გარეშეა და ეთნიურობისგან დამოუკიდებლივ არსებობს.

ბუნდოვანი ჩანს, რადგან აზროვნება მეტისმეტად მიეჩვია სამყაროს დანაწევრებულ აღქმას და ამის გამო თვით თავისი არსით განუყოფელი მოვლენების ერთიანობად წარმოდგენაც კი უჭირს. ზოგჯერ ისე მსჯელობენ პიროვნულზე, ეროვნულსა და ზოგადსაკაცობრიოზე, თითქოს ისინი ერთმანეთისგან იზოლირებულ, უფრო მეტიც - დაპირისპირებულ ფენომენებს წარმოადგენდეს. უხეშად რომ ვთქვათ, თითქოს არსებობდეს ადამიანურ არსებათა რაღაც სამი სახეობა, რომელთაგან ერთი პიროვნულ თვისებათა მატარებელი იქნებოდა, მეორე - ეროვნული თავისებურებების, ხოლო მესამე - უნივერსალური ფასეულობების.

სინამდვილეში კი, პიროვნული საწყისებიც, ეთნიკური თავისებურებებიცა და უნივერსალური ფასეულობებიც არსებობს მხოლოდ ადამიანში, ინდივიდში და უკვე ამის შემდეგ და მხოლოდ ამის წყალობით - ინდივიდთა მეტ-ნაკლებად დიდ ერთობლიობაში, ოჯახი იქნება ეს, ეთნოსი (ტომი), ერი თუ კაცობრიობა. ინდივიდუალურს, ეროვნულსა და უნივერსალურს (ზოგადსაკაცობრიოს, ზოგადადამიანურს) ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნიათ. ისინი ერთიანი პიროვნული არსის სხვადასხვა მხარეს წარმოაჩენენ.

* * *

პიროვნულის, ეროვნულისა და უნივერსალურის ურთიერთმიმართების, მათი ერთიანობის მეტად რელიეფური დახასიათების საშუალებას გვაძლევს ომის (ბრძოლის) მეტაფორა.

ქვემოთ მოყვანილ მეტაფორასა თუ შედარებაში დავეყრდნობი შუა საუკუნეების რეალიებს, რადგან ომმა XX საუკუნეში, - მასობრივი ჟლეტის ერთგვაროვანი იარაღის გლობალური გავრცელების გამო, - დაკარგა არა მხოლოდ რეგიონული თავისებურებები (რელიეფისა თუ კლიმატის სახეობიდან და აგრეთვე ეროვნული მენტალიტეტიდან მომდინარე ბრძოლის წარმოების ხერხები თუ საჭურვლის ტიპი), არამედ, - საერთოდ, ადამიანური სახეც. იგი სულ უფრო ნაკლებად არის ვაჟკაცობისა და თავდადების გამოვლენის ასპარეზი. ომი ადამიანების მექანიზებულ ჟლეტად იქცა.

1. **უნივერსალურის მეტაფორა - სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში გამოვლენილი გმირობა, სიმამაცე.**

სამშობლოს დასაცავად თავდაუზოგავი ბრძოლა, ამ საქმეში გამოვლენილი გმირობა, სიმამაცე ყველა დროში და ყველა ხალხში ითვლებოდა ერთ-ერთ უმთავრეს ადამიანურ დანიშნულებად და იგი ყოველგვარი შეღავათის გარეშე შეიძლება დასახელდეს უნივერსალურ ფასეულობად (გმირობას არც ჩვენს დროში დაუკარგავს ფასი, უბრალოდ, ტექნიკამ ადამიანური ფაქტორის გამოვლენის შესაძლებლობა შეზღუდა).

ამასთან, უნივერსალური პოზიტიური ღირებულებაა სწორედ სამშობლოს დაცვისას გამოვლენილი გმირობა. მეკობრის თავგანწირულ სიმამაცეს უნივერსალურ სიკეთედ არავინ ჩათვლის.

2. **ეროვნულის მეტაფორა - საჭურვლის ტიპი და**

ბრძოლის წარმოების წესები.

ბრძოლას სხვადასხვა რეგიონში აწარმოებდნენ სხვადასხვაგვარი, ამ რეგიონის შესაფერისი საჭურვლით, იარაღით, რომლის მასალა და ფორმები საუკუნოვანი გამოცდილებით იყო შემუშავებული. საჭურვლის ნაწილი ადგილობრივ მზადდებოდა, ნაწილი კი სხვადასხვა ახლო თუ შორეული ქვეყნიდან შემოჰქონდათ. ამასთან, იარაღის არჩევისას მის საშინაო თუ საგარეო წარმოშობას მნიშვნელობა თითქმის არ ჰქონდა - პრიორიტეტი ენიჭებოდა იმ იარაღს, რომელიც ბრძოლაში უფრო გამოსადეგი იყო. საუკუნეთა განმავლობაში დროის მოთხოვნათა შესაბამისად საჭურვლის სახეობები თანდათანობით იცვლებოდა.



სამშობლოს, სახელმწიფოს დასაცავად იბრძოდა ძირითადად ამ ქვეყნის მკვიდრთაგან შემდგარი ლაშქარი. ბრძოლის შედეგი დიდად იყო დამოკიდებული ლაშქრის საჭურველზე, მის ორგანიზებულობასა და ბრძოლაში გაწაფულობაზე.

3. პიროვნულის (ინდივიდუალურის) მეტაფორა - გმირობა, როგორც პიროვნების არჩევანი.

გმირობა, როგორც უნივერსალური (ზოგადსაკაცობრიო) აბსტრაქტული ეთიკური ფასეულობა, ბრძოლის შედეგზე უშუალო ზემოქმედებას არ ახდენს. აქ მნიშვნელოვანია თითოეული მებრძოლის თავგანწირვა და სიმამაცე, ე.ი. კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტული ადამიანის მიერ გამოვლენილი გმირობა. ეს კი ინდივიდუალური აქტია. გმირობა მხოლოდ პიროვნებამ შეიძლება ჩაიდინოს. მაშინაც კი, როცა ხდება ე.წ. კოლექტიური გმირობა, - ერთდროულად წირავს თავს მრავალი ადამიანი, - ეს თითოეული მათგანის ინდივიდუალური არჩევნის შედეგია.

4. მცირე შენიშვნა.

შესაძლოა, ეს მეტაფორა ამომწურავად ვერ გამოხატავდეს პიროვნულის, ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ურთიერთმიმართებათა ურთულეს სისტემას, მაგრამ არის რაღაც მნიშვნელოვანი და მოვლენის სიღრმისეული ფენების წარმომჩენი იმაში, რომ ეროვნული თვითცნობიერება და თავისებურებები სწორედ საჭურვლის სახით წარმოვიდგინოთ მარად ათასი საფრთხით აღსავსე და საბრძოლოდ შემართულ მსოფლიოში.

* * *

ამგვარად, უნივერსალური ფასეულობები პიროვნების გარეშე არ არსებობს, ისინი სიცოცხლეს მხოლოდ ინდივიდში იძენენ. მაგრამ, მეორე მხრივ, იმის თქმაც უაზრობა იქნებოდა, თითქოს უნივერსალურთან მხოლოდ პიროვნული საწყისები იყოს დაკავშირებული, ხოლო ეროვნული მეობა მოკლებული იყოს მათ - ერი ხომ სწორედ ამ საწყისების მატარებელ პიროვნებათა ერთობლიობას წარმოადგენს და შეუძლებელია უნივერსალურ ფასეულობებს არ მოიცავდეს.

აქ მნიშვნელობა აქვს იმას, რას აღვნიშნავთ ამა თუ იმ ტერმინით: ერთ შემთხვევაში, რამდენად დავტოვებთ ცნებაში საყოველთაოს, უნივერსალურს, ხოლო მეორე შემთხვევაში, რამდენად გამოვიყენებთ მას განსხვავებული, განუმეორებელი, უნივერსალურისგან გამოცალკევებული თავისებურებების აღსანიშნავად.

კუთხის, "თემის" იერარქიულ "დაბლამდგომობას" ერთან შედარებით სწორედ ის განაპირობებს, რომ ამ ცნებით აღინიშნება უნივერსალურისგან განსხვავებული კერძო ვიწროჯგუფური თავისებურებები. მაშინ როცა, ერის ცნება გულისხმობს უნივერსალურ ღირებულებათა ტრანსფორმაციას ადგილობრივი პირობებისა და განვითარების თავისებურებების შესაბამისად. ერის ცნებაში მეტია საყოველთაო, უნივერსალური. ამასთან, ეს ხდება ადამიანთა ერთსა და იმავე ჯგუფებთან დაკავშირებით. მოვიყვან ასეთ მაგალითს: ერთია, როცა ვლაპარაკობთ კახეთზე, სამეგრელოზე, იმერეთზე, გურიაზე, სვანეთზე, ხევსურეთზე, როგორც საქართველოს კუთხეებზე, ქართულ "თემებზე". და სულ სხვაა, როცა ვლაპარაკობთ ქართველ ერზე, თუმცა ქართველი ერი სწორედ ამ კუთხეთა შვილებისგან შედგება და მას სხვა არსებობა არ გააჩნია.

* * *

ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს ერთი და იგივე ნაკლი აქვთ: ისინი მთლიანი პიროვნული განცდიდან გამოჰყოფენ მის ერთ შემადგენელ ნაწილს და ახდენენ მის აბსოლუტიზებას.

არადა, ეს ელემენტები, ვიდრე დავანაწევრებდეთ, ადამიანში ჰარმონიულად თანაარსებობენ. პიროვნული მთლიანობისთვის ორივე აუცილებელია.

კოსმოპოლიტურის აბსოლუტიზება ნიშნავს უარის თქმას ეროვნულზე, რაც პიროვნული სრულფასოვნების, სისხლსავსე ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ეროვნულის (უფრო სწორად, ჯგუფურის) აბსოლუტიზება და ამის გამო უნივერსალურ ფასეულობებზე უარის თქმა ნიშნავს ზოგადსაკაცობრიო კონტექსტიდან ამოვარდნას, ე.ი. უარის თქმას ზოგადადამიანურზე და ქცევის ისეთ წესებზე, ისეთ ზნეობრივ ნორმებზე გადასვლას, რომლებიც მიღებული არ არის სხვაგან. ამავე დროს, ეს არის უარის თქმა საკუთარ ეროვნულ ტრადიციაზეც, რომელიც ზოგადადამიანურ კონტექსტში ზის, ეს კი ეროვნული მეობის უარყოფის ტოლფასია.

ეროვნულის (უფრო სწორად, ჯგუფურის) აბსოლუტიზება და ამის გამო უნივერსალურ ფასეულობებზე უარის თქმა ნიშნავს ზოგადსაკაცობრიო კონტექსტიდან ამოვარდნას, ე.ი. უარის თქმას ზოგადადამიანურზე და ქცევის ისეთ წესებზე, ისეთ ზნეობრივ ნორმებზე გადასვლას, რომლებიც მიღებული არ არის სხვაგან. ამავე დროს, ეს არის უარის თქმა საკუთარ ეროვნულ ტრადიციაზეც, რომელიც ზოგადადამიანურ კონტექსტში ზის, ეს კი ეროვნული მეობის უარყოფის ტოლფასია.

* * *

დასასრულ, მოვიყვან კიდევ ერთ ვარიაციას ზემოთ უკვე დამუშავებულ თემაზე. პიროვნება მით უფრო ღირსეულია, რაც უფრო მეტად და ძლიერად არის მასში წარმოდგენილი უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები. ამ თვისებათა გარეშე ღირსეული პიროვნების არსებობა წარმოუდგენელია. ერის ძლიერებას ქმნის არა მისი სხვათაგან განმასხვავებელი თავისებურებების სიმრავლე და მკაფიოობა, არამედ სწორედ უნივერსალურ ფასეულობათა მატარებელი პიროვნებების სიმრავლე და საზოგადოებრივი გავლენა. სწორედ მათში ვლინდება ერის საუკეთესო თვისებები, მხოლოდ ისინი სძენენ ფასს ყველაფერ განსხვავებულს - პიროვნულ და ეროვნულ განუმეორებლობას.

„არილის“ რედაქცია მადლობას უხდის ქალბატონებს, იზა მამარდაშვილსა და ლალი ცერცვაძეს გაწეული დახმარებისთვის.

ზვიად რატიანი

# მოხეტიალე ნერგები



მე შენ ჩემს შიშებზე გელაპარაკები, შენ კი გაუთავებლად მიმეორებ: მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ... უკვე ეგეც კი შიშად მექცა, ეგ შენი "მიყვარხარ". ვიცი, რომ ეს უბრალოდ სიტყვაა და იმაზე მეტს არაფერს ნიშნავს, რაც აქამდეც იყო და ცოტა ხანს, სულ ცოტა ხანს, კიდევ გაგრძელდება, ვიდრე დავშორდებით. ეს ვიცი, მაგრამ მაინც ვნანობ, რომ თავიდანვე არ ავკრძალეთ სიტყვა "სიყვარული". სიყვარული თითქოს ავკრძალეთ, სიტყვა კი - არა. არა უშავს, აწი მალე დავშორდებით, მე უკვე დავიღალე, შენც ბევრი არაფერი გიკლია. უბრალოდ, ჩემზე ძლიერი ხარ და ნაკლებად გემჩნევა დაღლა. თანაც მე ეს შიშები დამეწყო. მგონი, არც გჯერა და ფიქრობ, რომ შიშების ამბავი მხოლოდ შენს დასაფრთხობად გამოვიგონე. კარგიცაა, თუ ასე ფიქრობ. კარგია, თუ თვითონვე ხვდები, რომ წასვლა მინდა. როცა გეტყვი, ეს შენთვის მოულოდნელი არ იქნება და უფრო ადვილად მოთავდება ყველაფერი. თქმით კი, ვნახოთ, ალბათ ამ დღეებში გეტყვი.

იცი, როდის მერე გადავწყვიტე შენგან წასვლა, როდის მივხვდი, რომ დავიღალე და აღარ შემიძლიხარ? მას მერე, რაც იმ საავადმყოფოში დავიწყეთ სიარული შენს ბიძაშვილთან, უფრო სწორად, რაც ლუბლიანას ქუჩაზე თითქმის ყოველდღე გვიწევს ავლა-ჩავლა. შენ ხომ პირველად ამ ქუჩაზე დამელაპარაკე. ოღონდ ამას ჯერ არ ერქვა გაცნობა, არც არაფერი ერქვა, მხოლოდ დამელაპარაკე. ნახვით მანამდეც განხულობდი სკოლაში და მერეც, გაცნობით კი, რასაც გაცნობა ქვია, რამდენიმე წლის შემდეგ გაგიცანი, მე ჯერ კიდევ შკოლნიკი ვიყავი, შენ - მეორე წრეზე გასული აბიტურიენტი. დღემდე ვერ ვხვდები, როგორ მოახერხე, რომ სკოლის აქტივისტკომკავშირელმა გოგომ მთელი სამი წელი ხეხე უმაღლესის მისაღები და ვერ ეწყობოდი. მაგრამ შენ ხომ სამედიცინოზე აბარებდი, - როგორც ყველა, ვისი სურათიც ფრიადოსანთა სტენდზე იყო გამოკრული, - იქ კი, როგორც შენ ამბობ, მხოლოდ აქტივისტობა არ კმაროდა. სამი წელი უშედეგოდ აბარე და მეოთხე წელს რიხინრიხინით მოეწყე ბიოლოგიურზე. ჩემზეც ხომ რაღაც ეგეთი მოგივიდა: ჯერ ვიღაც უძველბიჭესი ნაძირალა გიყვარდასავით, ბოლოს კი მე შეგრჩი ხელში. სამედიცინოზე რომ ჩაგებარებინა, ვინ იცის, ახლა შენც იქ იმუშავებდი, ლუბლიანას ქუჩაზე, საავადმყოფოების კვარტალში, ქუჩაზე, სადაც ოდესღაც პირველად დამელაპარაკე. წარმოდგენა არ მაქვს, მაინც რატომ დამამახსოვრდა ასე ის პირველი ხმისგაცემა? წესით, არ უნდა დამმახსოვრებოდა, არაფერი მომხდარა მნიშვნელოვანი: მაშინ ხომ არანაირად არ არსებობდი ჩემთვის, მაშინ შენზე უმცროსიც კი ვიყავი, მე - მეექვსეში, შენ - მეცხრეში, მთელი სამი წლით უმცროსი; სამი წლით და კიდევ იმით, რომ შენ სკოლის კომკავშირის მდივნის მოადგილე ბრძანდებოდი, ანუ სრულიად სხვა ჩამოსხმის არსება. ისეთიც არაფერი გითქვამს იმ დღეს, რომ სამუდამოდ ჩამბეჭდოდა მეხსიერებაში. დღეს უკვე ისიც კი მიკვირს, რომ ოდესმე შეიძლებოდა შენზე უმცროსი ვყოფილიყავი.

დღეს ზოგიერთებს ცოლ-ქმარიც კი ვგონივართ, მაგალითად, შენი ბიძაშვილის თანაპალატელებს. შენ ამაზე იცინი, მე კი ნერვები მეშლება. იმათზე კი არა, შენზე მეშლება ნერვები. როგორ შეიძლება გაგამხიარულოს იმან, რომ ვიღაცას, შენთვის სრულიად უცხო და უმნიშვნელო ადამიანს, შენი ქმარი ვგონივარ? თუმცა რაა გასაკვირი, შენ ხომ დღემდე "საყვარელს" მეძახი. გეუბნები, რომ ვერ ვიტან მაგ სიტყვას, მაგრამ ვერ მოგაშლევინე. არადა, გაიხსენე, რამდენი ხანია, რაც საერთოდ არ შეგხებივარ. მართლა რომ გინდოდეს ჩემი ცოლობა, კიდევ მესმის, მაგრამ ხომ ვიცი, არც გინდა და თვითონვე ხვდები, რომ სადაცაა დავშორდებით. თითქმის ათი წელი ვიყავით ერთად, მორჩა, ხვალ-ზეგ გეტყვი, რომ მივდივარ. ეს იმაზეა დამოკიდებული, ხვალ შეგხვდები თუ ზეგ. ზეგ ჯობია, რადგან იქ ვიქნებით, ლუბლიანას ქუჩაზე, საავადმყოფოში ვართ მისასვლელი. იქ უფრო სიმბოლური იქნება: სიტყვა პირველი - სიტყვა უკანასკნელი, ადგილი - იგივე, დრო კი... რამდენი წელი გავიდა მას მერე? მეექვსეში ვიყავი, ახლა ოცდაექვსის ვარ, ესეიგი... მეზარება ანგარიში.

ლუბლიანას ქუჩაზე სკოლიდან წამოგვიყვანეს ღონისძიებაზე. წინა დღეს, ბოლო გაკვეთილზე, სასწავლო ნაწილი და დამრიგებელი შემოვიდნენ კლასში და გამოგვიცხადეს, ხვალ ჩანთების გარეშე მოხვალთო, მაგრამ მინიშნებითაც კი არაფერი უთქვამთ - რატომ. სულ ასე იცოდნენ, მთავარს არასოდეს გვეტყოდნენ, ყველაფერი გასაიდუმლოებული ჰქონდათ. ხვდებოდნენ, რამხელა სიხარული იყო ჩვენთვის სკოლაში უჩანთებოდ მისვლა ანუ გაკვეთილების არჩატარება, ხვდებოდნენ და ამიტომაც მალავდნენ მიზეზს, რომ გაურკვევლობით ოდნავ მაინც განელებულიყო ჩვენი სიხარული. სასწავლო ნაწილმა მერხებს შორის აიარ-ჩაიარა, ჩემს მერხთან წამით შეყოვნდა, ცუდად შემომხედა, მერე სწრაფი ნაბიჯით წავიდა კარისკენ. გასვლამდე ერთხელაც მოგვიბრუნდა და ბრძანა: "ხვალ ყველანი უნდა იყოთ - მისმენთ? - ყველანი უნდა იყოთ მაქსიმალურად მოწესრიგებულები, ყელსახვევები დაუთოებული, გასაგებია?" ეს თქვა და მე გადმომხედა, თითქოს მხოლოდ მე მეკეთა დაკუჭული ყელსახვევი. არ შეუმჩნევია, თორემ ერთი-ორი უყელსახვევოც კი იჯდა კლასში, მაგრამ ისინი გოგოები იყვნენ, - გოგოებს ყოველთვის უფრო ნაკლებად ემჩნევათ "დარღვევები", ვიდრე ბიჭებს. ბოლო წამამდე იმედი გვქონდა, რომ გაგვიმხელდა, რატომ უნდა მოვსულიყავით სკოლაში ჩანთების გარეშე, მაგრამ ხომ ვთქვი, რატომმაც არ ამბობდა, არ ემეტებოდა ჩვენთვის ის სიხარული და, ძალიანაც რომ არ გავბედნიერებულიყავით, დაგვიტოვა თავსატეხი: მაინც რა ხდებოდა ხვალ?

ხვალ გეტყვი, რომ თავი უნდა დამანებო, ან ზეგ, თუ ხვალ ვერ შეგხვდი. ზეგ ნამდვილად გნახავ, საავადმყოფოს დღეა. ნეტა რას დამათრევ იმ შენი ბიძაშვილის სანახავად ან მე რატომ დაგყვები კრავივით? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ის, როგორც შენ ამბობ, ჩვენი მესაიდუმლეა? ჯერ ერთი, ჩვენი კი არა, შენი. მეორეც, დარწმუნებული ვარ, მაგასაც შენი საქმრო ვგონივარ. შეიძლება შენ ატყუებ, საქმროაო. ანდა თვითონვე დაასკვნა, რომ ჩვენი ამდენწლიანი ხეტიალი ბოლოს და ბოლოს ოჯახის ზღურბლთან უნდა დასრულდეს. კი, სწორედ ასეთი ფრაზებით უყვარს ლაპარაკი. ცუდი გოგო არაა, მაგრამ, აი, ისეთია, თავიანთი გადამეტებული კეთილშობილებით თავს რომ გაბეზრებენ. მაგიჟებს ეგეთი ხალხი, სულ სხვისი ცხოვრებითა და ამბებით რომ იკმაყოფილებენ თავიანთ სულიერ და ლამის სექსუალურ მოთხოვნილებებს, საკუთარი არაფერი გააჩნიათ. თავისთავზე იმის ნახევარი რომ ეფიქრა, რამდენსაც ჩვენზე ფიქრობს, ახლა იქ არ იწვებოდა; თუ იწვებოდა და, ქმარი ედგებოდა თავზე, ასე სამათხოვროდ არ ექნებოდა საქმე. ფულნაშოვნ და გაქალაქელებულ სოფლელებს აწყობთ ეგეთი ცოლები, თან თბილისელი და თან პატიოსანი, ზომიერად ფერხორციანი, ოცდახუთს გადაცდენილი გოგოები. მოკლედ, როგორღაც ჩვენს საქმეში გასული გოგოა და ამიტომ თურმე ვალდებულები ვართ, მის სანახავად ერთად ვიაროთ. მაგრამ ზეგ ნამდვილად მარტო მოგიწევს მისვლა. ლუბლიანას ქუჩას ერთად ავუყვებით, საავადმყოფოს გადასახვევთან კი დავშორდებით: სა-მუ-და-მოდ! ვნახოთ, შეიძლება საავადმყოფოში კიდეც ამოგყვე და უკანგზობაზე გითხრა ყველაფერი, შეიძლება ასეც აჯობოს, შებინდებული იქნება და უფრო გამიადვილდება.

სულ ეჭვი მაქვს, რომ მთელი ჩემი ბოლოდროინდელი შიშები როგორღაც ბავშვობიდან იღებენ სათავეს, როგორ - არ ვიცი, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ასეა. შენ კი ნამდვილად ბავშვობიდან მომყვები. მართალია, გაცნობით ბავშვობის ბოლოს გაგიცანი, მაგრამ მანამდეც ხომ თითქმის ყოველდღე გხედავდი სკოლაში, - ამიტომ ბავშვობიდან მომყვები! ჰოდა ჯობია, ორივე ერთად მოგიშოროთ, შენც და შიშებიც, და ჯობია ზეგ, ლუბლიანას ქუჩაზე, სადაც მართლა სიმბოლური იქნება განშორება. ქუჩის ერთ მხარეს დილმის ტყეა, მეორე მხარეს - კინოსტუდიის უცნაურად პირქუში ბეტონის გალავანი, ისეთი პირქუში, ციხისა გეგონება; წინ კი, წინ საავადმყოფოების კვარტალია. უკეთეს ფონს ვერც ინატრებ განშორებისთვის, ამაზე უკეთეს და სევდიან ფონს, სამუდამოდ რომ ჩაგრჩება მეხსიერებაში.

იმ დღეს, ძალიან ბევრი წლის წინ, სწორედ ამ ქუჩაზე წამოგვრეკეს სკოლაში ჩანთების გარეშე მისული უმცროსკლასელების ლეგიონები, მიზანი კი დილითვე, ჯერ კიდევ სკოლის ეზოში გაირკვა. დამრიგებელმა კლასი შეგვკრიბა, სია ამოიკითხა და რომ დარწმუნდა - ყველანი ვიყავით, გამოგვიცხადა, რომ ძალიან სერიოზულ ღონისძიებაში უნდა მოგვეღო მონაწილეობა, კერძოდ, ჩვენ და კიდევ სამი სხვა სკოლის ბავშვებს ჩვენი წვლილი უნდა შეგვეტანა დედაქალაქის გამწვანების საშვილიშვილო საქმეში. ამ ხმამაღალი და თითქმის საზეიმოდ წარმოთქმული სიტყვებით მოათავა აუცილებელი მაღალფარდოვნებები და შემდეგ მშვიდად, გასაგებად გვითხრა, რომ ლუბლიანას ქუჩაზე ნერგები უნდა დაგვერგო. მაშინ პირველად გავიგე ამ ქუჩის სახელი, არადა ჩემი სახლიდან სულ რაღაც ორასიოდე მეტრში იყო. შენ, როგორც წარჩინებული აქტივისტი, ღონისძიების ორგანიზატორთა შორის ტრიალებდი და, ახლა რომ ვიხსენებ, მაგარი გულისამრევი იყავი. სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის სახელით მოკლე სიტყვაც კი წარმოთქვი და მოგვიწოდე პიონერებს, კარგად გაგვესიგრძეგანებინა ის უზარმაზარი პასუხისმგებლობა, რომელსაც "ჩვენსავით ნორჩი ნერგების" დარგვა აკისრებდა თითოეულ ჩვენგანს. შემდეგ კლასებისდამიხედვით ჩაგვამწკრივეს და მძიმე, მაგრამ ხმაურიანი სვლით დავიძარით ლუბლიანის ქუჩისაკენ. გზად თითქმის შევუერთდით რუსული სკოლის პიონერულ კოლონას, რომელიც იმავე მიზნით მიიწევდა გასამწვანებელი ობიექტისკენ, მაგრამ ორგანიზატორებმა, ყოველი შემთხვევისთვის, ჩვენს შერწყმა-შეერთებას ხელი შეუშალეს და "რუსები" მოპირდაპირე ტროტუარზე გადარეკეს. როცა მივედით, იქ უკვე გველოდა კიდევ ორი სხვა სკოლის პიონერული კოლონა, განათლების ხალხი და ორი სატვირთო მანქანა, რომელთა საბარგულები ნერგებით იყო სავსე. ტროტუარის ჩაყოლებით ჯგუფ-ჯგუფად ეყარა ბარები. ნერგები ერთობლივი ძალებით ჩამოვაწყვეთ საბარგულებიდან და სატვირთო მანქანებმა ქუჩა თავსა და შუაწელში გადახერგეს; სანაპიროს მხრიდან ლუბლიანას პარალელური ქუჩა მიდიოდა საავადმყოფოებისკენ და ინსპექტორებმა მანქანების ნაკადი იქით გადაისროლეს.

ლუბლიანას ქუჩის ორივე ტროტუარს საკმაოდ მჭიდრო რიგებად მიუყვებოდნენ გოლიათი ალვები და ცოტა უცნაური იყო, რაღა გამწვანება უნდოდა იქაურობას. ბარები ყველასათვის სამყოფი არ იყო და ერთმანეთს ხელიდან ვგლეჯდით, რომ მოგვესწრო და რამდენჯერმე მაინც დაგვეკრა მიწისათვის, ვიდრე სხვა წაგვართმევდა. თავიდან კი ძალიან გაგვახალისა საქმემ, მაგრამ სულ რაღაც ოციოდ წუთში ჩვენმა ენთუზიაზმმა ერთბაშად იწყო ვარდნა, თითქოს ყველამ ერთდროულდად ვიგრძენით მობეზრება. "ძალიან ღრმად არ გინდათ", გვარიგებდა ვიღაც უცნობი მამაკაცი, ასე ორმოცამდე წლის, რომელიც, როგორც დამრიგებელმა გვითხრა, განათლებიდან იყო ჩვენს სკოლაზე მომაგრებული. სწორედ მას არ მოუვიდა თვალში ჩემი მუშაობა, ბარი გამომართვა და მიჩვენა - ასე უნდაო, მერე ისევ დამიბრუნა და გამომცდელად მომაჩერდა. მისი დაჟინებული მზერა კიდევ უფრო მაბნევდა, სულ უფრო მოუხერხებლად ვთხრიდი. თანაც, თითქოს ჩემს ჯიბრზე, მიწაში რაღაც მკვრივი საგანი აღმოჩნდა, ალბათ ქვა იყო, მე კი სამჯერ ზედიზედ და გამეტებით რომ დავკარი ბარი და, როგორც შემდეგ კლასელები მიმტკიცებდნენ - ნაპერწკლებიც რომ გავაყრევინე, იმ კაცმა ველარ მოითმინა და ამიყვირდა:



- რას აკეთებ, რას? მამაშენის კი არაა ეგ ბარი, რო მოსპე და გაარხრე!

მამაჩემის ხსენებამ გველის ნაკბენივით იმოქმედა. პრინციპში, მასზე ცუდი არც არაფერი უთქვამს, მაგრამ მაინც ისე გავმწარდი, თითქოს შევეგინებინე. ბარი დავაგდე და, რამდენადაც შემეძლო, თავზეხელაღებულის გამომეტყველება მივიღე. პირში მიხლა ვერ გავბედე და დამრიგებელს გადავუსისინე, მაგის საყვირალი ვინ არის მეთქი. ეს რომ გაიგონა, შევატყვე, გინება ძლივს შეიკავა, მაინც განათლების კაცი ერქვა და ასე სახალხოდ ამის უფლება არ ჰქონდა. სულ რაღაც წამში მოერია თავს და თითქმის მშვიდად ალაპარაკდა:

- ან სოფელი არ გაქ, შვილო, ან... ხვალ-ზეგ კაცი უნდა იყო და ბარის ჭერა არ უნდა იცოდე?!

- ვიცი! - დაუფიქრებლად, ჯიბრიანად მივახალე და მაშინვე მივხვდი, როგორი სასაცილო და ბავშვური პასუხი გამომივიდა. ამან კიდევ უფრო გამამწარა.

- აი ჯიუტი! - თქვა და ხელები აქეთ-იქით გადაასავსავა. - აიღე ახლა



ეგ ბარი, რო მოისროლე მანდა, აიღე და გააგრძელე თხრა. ნიჩევო, ცოდნა გამოცდილების ამბავია. - მერე დამრიგებელს გადახედა, - ისწავლის, ქალბატონო, იწვალებს და ისწავლის. - ისე უთხრა, თითქოს ჩვენს დამრიგებელს ამაზე დიდი სადარდებელი არ ჰქონდა და ამშვიდებსო. მერე ისევ მე მომიბრუნდა, - აიღე, ბიჭო, ეგ ბარი და ნუ ანერვიულებ ამ ადამიანებს, შვილებივით რო ყავხართ, რა, თავზე უნდა წამოაჯდეთ? - თქვა და ისე შებრუნდა, თითქოს არნახული გმირობა ჩაედინა და ოვაციებს არ უცდისო, წავიდა. ვერ გაიგო ან გაიგო და არ შეიმჩნია, როგორ ბოლმიანად მივაყოლე ზურგში - არაფერსაც არ ავიღებ მეთქი. სამაგიეროდ, შენ გაიგონე ჩემი სიტყვები, შენ, უფროსკლასელმა კომკავშირელმა გოგომ, გაიგონე და სწორედ მაშინ იყო, პირველად რომ დამელაპარაკე:

- არ უპასუხო.

მე შემოგხედე და კიდევ ერთხელ გავიმეორე, არ ავიღებ მეთქი.

- ნუ აიღებ, ოლონდ არ უპასუხო. ხომ ხედავ, შეგეშვა.

აი, სულ ეს იყო ჩვენი პირველი დალაპარაკება. მერე მე დიდხანს ვფიქრობდი, რას ნიშნავდა ეგ შენი "არ უპასუხო", ანუ ჩემსკენ იყავი თუ იმისკენ. ერთხელ, დიდი ხნის შემდეგ, როცა უკვე ერთად ვიყავით, გკითხე კიდეც, მაგრამ გასაგები პასუხი არ გაგიცია; რაღაც სისულელეები იბოდიალე ბავშვის ფსიქოლოგიაზე და იმაზე, თუ როგორი "ნიშანდობლივია" ბავშვის მიერ ადამიანების დაყოფა ჩემიანებად და სხვისიანებად. რა შუაშია ბავშვის ფსიქოლოგია, დიდობაშიც იგივეს არ ვაკეთებთ?

იმ დღის შემდეგ, სკოლის დერეფნებში შეხვედრისას, ზოგჯერ გამარჯობასაც გეუბნებოდი; ყოველთვის არა, მხოლოდ მაშინ, როცა ჯერ თვითონ მომესალმებოდი. მაგრამ რატომ ვიხსენებ ამ ყველაფერს? ხო, იმ დღეს პირველად დამელაპარაკე და იმიტომ. ზეგ კი უკანასკნელად დავილაპარაკებთ, თანაც ისევ იქ, ჩვენს მიერ დარგული ალვების ჩრდილში. გუშინწინ, საავადმყოფოდან რომ ვბრუნდებოდით, დავაკვირდი და ვერაფრით მივხვდი, რომელი ხე იყო ჩვენი დარგული და რომელი მანამდელი. ტროტუარის ჩაყოლებით ყოველი ალვა დაახლოებით ერთი სიმაღლისაა, ახლებს ძველებისგან ვერც გამოარჩევ. უცნაურია, ნუთუ ასე სწრაფად დაიზარდნენ ჩვენი ნერგები? ისე, ჩვენც კაი სწრაფად გავიზარდეთ, განსაკუთრებით მე. აბა დღეს სცადე და მიხვდი, რომ მე შენზე უმცროსი ვარ. პირიქით, ყველას უფროსიც კი ვგონივარ. არა მგონია, ამის მიზეზი მხოლოდ ჩემი ქრონიკული გაუპარსაობა იყოს. ჩვენს ნერგებსაც რაღაც ეგეთი დაემართათ.

ბოლო კლასში ვიყავი, როცა კიდევ ერთხელ და ამჯერად უკვე საფუძვლიანად შევხვდით ერთმანეთს. რასაც გაცნობა ქვია, მაშინ გაგიცანი. აგერ უკვე ათ წელს აღარაფერი უკლია, რაც ერთად ვართ, რაც ერთად დავეხეტებით და, როგორც შენ ამბობ, ვსაყვარლობთ. საყვარელი... თითქოს ამ სიტყვის წარმოთქმაც კი სიამოვნებას განიჭებს, ჩემთვის კი, ვერ შეგაგნებინე, როგორ არაბუნებრივად და უხერხულად ჟღერს. ხომ ხდება ზოგჯერ, ტვინში რაღაც ჩაგეჭედება და ველარ ამოიგდებ. ასეა ჩემთვის ამ სიტყვის მნიშვნელობაც. ჩემთვის საყვარელი იმას ქვია, ვისაც ცოლიანი კაცი ან ქმრიანი ქალი გაიჩენს, მხოლოდ და მხოლოდ ცოლიანი ან ქმრიანი, უოჯახოებთან ამ სიტყვას ვერ ვაკავშირებ. ამიტომ მაღიზიანებს ასე. და კიდევ ეს: წამდაუწუმ რომ მიმეორებ, მიყვარხარო. ეს საერთოდ მაცოფებს. გუშინწინ გითხარი, რომ ბოლო დროს ცუდად ვარ, რომ რაღაც არანორმალური შიშები დამჩემდა, დღისით არა მიჭირს, ღამით კი, დავხუჭავ თუ არა თვალებს, ვხედავ, ვთქვათ, უზარმაზარ ტალღებს, ჩვეულებრივი ზღვის არაჩვეულებრივად მაღალ ტალღებს, რომლებიც მოსრესვას მიპირებენ. ან უარესი: ამეკვიატება ფიქრი სიკვდილებზე, იმათ სიკვდილებზე, ვინც მიყვარს. თუმცა ფიქრი ის სიტყვა არაა, პირდაპირ ამ სიკვდილების სცენები მიდგას თვალწინ. თანდათან ეს ყველაფერი, ეს ტალღები და სიკვდილები, აუტანელ კოშმარში გადადის. ვდგები, შუქს ვანთებ, რამის გაკეთებას ვცდილობ. ბოლო დროს კითხვა აღარ მშველის, მექანიკურად მივყვები სტრიქონებს და ორი-სამი გვერდის შემდეგ ვხვდები, რომ წაკითხულიდან არაფერი შესულა თავში, რომ ისევ იქ ვარ, იმ შიშებში. აივანზე გასვლა და მოწევა რომ უარესს მიზამს, ვიცი. ერთადერთი, რაც ჯერჯერობით მშველის, ჭამაა. მაცივარს ვაღებ და ვფიქრობ, რა ვჭამო, მერე იმას ვფიქრობ, სად ვჭამო, სამზარეულოში თუ ლოჯში, და თანდათან გამოვდივარ იმ სიგიჟიდან, ვლეჭავ და ვგრძნობ, რომ მომეშვა. ჭამა მშველის, მაგრამ როდემდე? ადრე ხომ კითხვასაც გამოვყავდი, მაგრამ მალევე დაკარგა ძალა. ალბათ ჭამასაც იგივე მოუვა, მერე რაღა ვქნა? გუშინწინ ამ შიშებზე გელაპარაკებოდი, შენ კი მოულოდნელად მკითხე - რამდენმეტრიანიო. თვითონვე მიხვდი, რომ ვერაფერი გაგიგე და დაუმატე - რამდენმეტრიანი ტალღები გიპირებენ მოსრესვასო. გამწარებაც ვერ მოვასწარი, მაშინვე ხელები მომხვიე და დაიწყე: მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ... შენ რა იცი, რა არის შიში. თუ მანქანამ ზედ საჯდომთან არ დაგიმუხრუჭა, მანამდე არ იცი, შიში რა არის. შენ არ გეშინია მეძახო "საყვარელი" და ყოველდღე მიმეორო "მიყვარხარ, მიყვარხარ". საერთოდ, როგორ გამიცანი, გახსოვს? სახედასისხლიანებული და ტალახში ამოთხვრილი.

მეცხრე კლასში ვიყავი, როცა ჩემმა კლასელმა ერთი სარფიანი ხელობა აითვისა. როცა ეს ამბავი გამიმხილა, თავიდან ვერაფერი გავიგე. ნოლ-შესტის აჩკებს ვიპარავ და ვყიდიო. კი მრცხვენოდა ჩემი უვიცობის, მაგრამ მეტი გზა არ იყო და ვკითხე, "აჩკები" რა არის მეთქი.

- აჩკები არ იცი? აი, ნოლ-შესტის წინა ფარებს რო აქვს წამოცმული. პლასტმასის რაღაცეები როა, მართკუთხედები...

ამიხსნა ისიც, რომ "აჩკები" არსებობდნენ ორი სახის, შავები და მოვერცხლისფროები. შავები ათ მანეთად გადიოდა, მოვერცხლისფროები კი "დაჟე" თხუთმეტად. ყველაფერი ადვილად გავიგე, არც ისეთი უვიცი ვყოფილვარ, მშვენივრად მცოდნია, რა იყო "აჩკები", მხოლოდ ის არ ვიცოდი, რომ იმ რაღაცას, რითიც ნოლ-ექვსებს ნოლსამებისგან ვანსხვავებდი, "აჩკები" ერქვა. მოკლედ, ჩემმა კლასელმა საქმეში შესვლა შემომთავაზა. რატომღაც დაუფიქრებლად დავთანხმდი. ეტყობა, მას უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა და ძალიან ოსტატურად მუშაობდა, მანქანას წინიდან აეყუდებოდა და თითქმის შეუმჩნევლად ხსნიდა "აჩკებს", მერე ქურთუკში შეიცურებდა და სწრაფად შორდებოდა იქაურობას. მოპარვა და გაყიდვა ერთსა და იმავე დღეს სასტიკად ჰქონდა აკრძალული, ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მარტო მოსაპარად გადიოდა, მეორე დღეს მარტო გასაყიდად. მე სწორედ გაყიდვაში თანამონაწილეობა შემომთავაზა. არ ვიცი, მაინც და მაინც მე რატომ შემარჩია, ასეთ საქმეებში არასოდეს ვიყავი შემჩნეული. ალბათ უფრო ჩემი შავი ქურთუკის გამო, რომელსაც ზურგზე უზარმაზარი ჯიბე ჰქონდა, სადაც სამი-ოთხი წყვილი "აჩკი" ისე ჩაიდებოდა, ვერაფერს შეამჩნევდი. მთელი ზურგი ჯიბე იყო, "ზმეიკა" კი სარჩულიდან ჰქონდა და არ ჩანდა. საჭირო კაცი ვიყავი. თითქმის ყოველდღე გავდიოდით საქმეზე, ძირითადად დილმის ბაზრის ტერიტორიაზე ვმუშაობდით. ჩამოვათვალიერებდით იქ მდგარ 06-ებს და რომელსაც "აჩკები" არ ეკეთა ან ეკეთა, მაგრამ დაბზარული, მის მძღოლთან ვიწყებდით ვაჭრობას: მამაჩემს უჭირს, ავადაა, ესენი გასაყიდად გამომატანა და ასე შემდეგ. შემოსავლიანი საქმე იყო, დღეში მინიმუმ 20-20 მანეთი გვრჩებოდა თითოეულს. ახლა მომცა ეგ ფული!

სულ ველოდი, რომ ადრე თუ გვიან ჩავვარდებოდით, მაგრამ არა, არ ჩავვარდნილვართ. უფრო სწორად, კი ჩავვარდით, ოღონდ იმ ორმოში არა, რომლისაც მეშინოდა, ანუ მილიციის ორმოში. სულ სხვანაირად და დიდი ხნის დაგვიანებით გვიწია ცოდვამ. მე რომ მეგონა, ჩვენს გარდა ამ საქმისა არავინ არაფერი იცოდა, ეგრე არ ყოფილა, - "აჩკებზე" თურმე სხვებიც მუშაობდნენ, და საერთოდ, საკმაოდ გავრცელებული შემოსავლის წყარო ყოფილა იმდროინდელ წვრილფეხობაში. ცოდვამ კი მაშინ გვიწია, როცა ამ საქმეზე უკვე საბოლოოდ გვქონდა ხელი აღებული. ყოველ შემთხვევაში, მე აღარ დავდიოდი და ჩემი კლასელიც ამტკიცებდა, მეც შევეშვიო. უკვე მეათეში ვიყავით, როცა ერთი ჩვენი უბნელი და ჩვენზე უფროსი ძველი ბიჭი მთელი თავისი საძველბიჭოთი მობრძანდა სკოლაში და ეზოში გამოგვიძახა. თურმე ვიღაცას ბოლო ერთ კვირაში ორჯერ აუწაპნია მამამისის მანქანის "აჩკები", მასაც გაუკითხავს და გაუგია, თუ ვინ მუშაობდა ამ საქმეზე; კვალს ჩვენამდეც მოუყვანია. მართალია, მამამისის "აჩკების" ცოდვა ჩვენს კისერზე არ იყო, მაგრამ ბაზარმა ისე მოიტანა, რომ ხელის გარტყმა მაინც გახდა აუცილებელი. გავარტყი და გავიქეცი. ჩემი კლასელი ეზოშივე ჩაწიხლეს, მე კი ოთხი კაცი გამომედევნა. სკოლასთან ახლოს ერთი ძალიან მაგარი ტიპი ცხოვრობდა, რომელიც რატომღაც მეახლობლებოდა, თითქოს რაღაც მოსწონდა ჩემში, მაგრამ რა, ვერ ვხვდებოდი. მისი სახლისკენ გავიქეცი. სადარბაზოში რომ შევრბოდი, წამით მოვიხედე და დავინახე, მდევრები შორიახლოს შეჩერდნენ, მიხვდნენ, ვისთანაც მივრბოდი და შემოყოლა ველარ გაბედეს. საუბედუროდ, ჩემი მშველელი სახლში არ დამიხვდა. მესამე სართულის სადარბაზოს აივნიდან ვხედავდი, მდევრები ქვემოთ იცდიდნენ, თანაც ოთხს დანარჩენი ოთხიც შემომატებოდა, ეტყობა, მოეთავებინათ ჩემი კლასელის ჩაწიხლვა და აქეთ გამოქცეულიყვნენ. ჯერ ლიფტით ბოლო სართულზე ავედი, ვფიქრობდი, სახურავიდან სხვა სადარბაზოში გადავალ და ასე გავიპარები მეთქი, მაგრამ სხვენში ასასვლელი კარი ჩაკეტილი დამიხვდა. ისევ ქვემოთ გადმოვიხედე, მაგრამ ველარავინ დავინახე. რა თქმა უნდა, ეს ჯერ არ ნიშნავდა, რომ შემეშვნენ, შესაძლოა, სადარბაზოში შემოსულიყვნენ, მით უფრო, რომ დილიდან დაწყებულმა წვიმამ იმ დროისთვის საკმაოდ უმატა. ერთხანს მოცდა ვამჯობინე, შემდეგ კი ლიფტით ქვემოთ დავეშვი, ოღონდ ისევ მესამე სართულამდე. მესამე სართულზე სმენა დავძაბე, ქვემოთ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. მაინც ფრთხილად და შეძლებისდაგვარად უხმაუროდ დავუყევი კიბეს, მეორე სართულს ის-ის იყო ჩავცდი და გავიგონე კიდეც მათი ჩურჩული. ეტყობა, მათაც ჩაესმათ ჩემი ფეხისხმა და ორი მათგანი კიბეს ამოუყვა, - ასე შევრჩით ერთმანეთს პირისპირ. ერთ-ერთმა ხელკავი გამომდო და უსიტყვოდ ჩამიყვანა ქვემოთ, ყველანი იქ იყვნენ. გარეთ უკვე კოკისპირულად წვიმდა და ჩემმა მტრებმა სადარბაზოშივე არჩიეს საქმის მოთავება: ჩავედი თუ არა, მეცნენ. დაუნდობლად მირტყამდნენ წიხლებს, ძირითადად თავში და მუცელში. ზოგი ჭირი მარგებელიაო: კიდევ კარგი, ბევრნი იყვნენ და ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, თურმე სამი კაცი რომ ყოფილიყო და ასე სასტიკად ერტყა, იქიდან ცოცხალი ვერც გამოვაღწევდი. ასე ცემა-ტყეპით მაინც გამოვედით გარეთ, წვიმაში, - ალბათ მე ვიწევდი გასაქცევად და მომყვნენ. კინაღამ ჩამმარხეს წიხლებით ტალახში. წვიმა რომ არა, კიდევ დიდხანს არ შემეშვებოდნენ, მაგრამ თვითონაც უტალახდებოდათ შარვლები და მაკმარეს. კორპუსიდან მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ გამოვიდა ხალხი და ისევ სადარბაზოში შემათრიეს. ვიღაცამ თქვა, ჯობია გარეთ იყოს, ტალახი ჩამოერეცხებაო. მუხლებზე ვიდექი და პირიდან სისხლს ვაფურთხებდი, მერე თავი ავწიე და ჩემს ირგვლივ შეკრებილ ხალხს ავხედე, ძირითადად ქალები იყვნენ. მათგან ერთ-ერთი, რომელიც ბუნდოვნად მეცნო და რომელმაც წამომაყენა, შენ იყავი. ჩემი სახელი რომ ახსენე (თურმე გცოდნია ჩემი სახელი), სხვები მიხვდნენ, ნაცნობი ყოფილაო და ჩემი პატრონობა შენ მოგანდეს. სახლში ამიყვანე, სისხლი მომაბანინე, ტანსაცმელი შეძლებისდაგვარად გამაწმენდინე. მერე იყო სპირტიანი ბამბები და მოკლე შეკითხვები: გტკივა? გეწვის? წამოწოლა ხომ არ გირჩევნია? შენს გარდა სახლში მხოლოდ ბებიაშენი იყო, რომელიც არაფერში ერეოდა, იდგა და უსიტყვოდ გვიყურებდა. მერე გამომაცილე, ოღონდ ბოლომდე არა, შუაგზაზე დარწმუნდი, რომ მარტოც შევძლებდი სიარულს, ტელეფონის ნომერი გამომართვი და უკან მიბრუნდი. სახლში რომ მივედი, დაახლოებით ერთ საათში გადმორეკე. მე არ დაგელაპარაკებივარ, ყურმილი დედაჩემმა აიღო და მას ჰკითხე ჩემი ამბავი. მეორე თუ მესამე დღესაც დამირეკე. ერთი კვირის შემდეგ, როცა ცხვირ-პირი ასე თუ ისე მოვიშუშე და გარეთ გამოვისვლებოდი, გესტუმრე. თითქოს ძალიან გაიხარე ჩემი მოსვლით. მერე იმდღევანდელი ამბები დაწვრილებით გამომკითხე და მითხარი, რომ ისინი აღარაფერს მერჩოდნენ და კარგი იქნებოდა, თუ მეც აღარ ვიფიქრებდი შურისძიებაზე. შენ რა იცი, მერჩიან თუ არა მეთქი. გცოდნია, ყველაფერი გცოდნია. ერთ-ერთი მათგანი ადრე გყვარებიასავით და მასთან მოგიგვარებია საქმე, გითქვამს, ჩემი ახლობელია და შეეშვითო. ამაზრზენი ტიპი იყო ის შენი "ძველი", მახინჯი და ცივსისხლიანი. ნეტა რატომ ხდებოდა, რომ შენისთანა ფრიადოსან კომკავშირლებს სულ ეგეთი დამპალი ძველი ბიჭები უყვარდებოდათ? როცა მე მცემეს, თქვენი ამბავი უკვე მოთავებული ყოფილა. თუმცა რა ამბავი, - როგორც შენ ამბობ, მას მხოლოდ რამდენჯერმე უსარგებლია შენს მიერ დაუნანებლად გაღებული მსხვერპლით - შენი უბიწობით, მერე კი რაღაცის შეშინებია და დაგმალვია. ალბათ მეც მის ჯიბრზე დამიახლოვე, აგრძნობინე, რომ მისი მაგარ-ბიჭობა არაფრად გიღირდა და მის მიერვე ნაცემი ბიჭი გერჩივნა მის თავს. ჩვენი დაახლოების მიზეზი რომ ეს იყო, ამას საკმაოდ გვიან მივხვდი. თავიდან მეგონა, რომ შენ უბრალოდ შეფობა აიღე ჩემზე, - ეს ხომ ასეთი კომკავშირული საქციელი იყო, შეფობის აღება. ასე მეგონა მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი გაცნობიდან ერთი წლის თავზე, შენი ხელით არ გამხადე. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერს იმ ტიპის ჯიბრზე აკეთებდი, მაგრამ ამაში ვერაფერი დავინახე ცუდი. მაშინ ჯერ კიდევ ვგრძნობდი, რომ შენზე უმცროსი ვიყავი.



საავადმყოფომდე ისე მივედით, ხმა თითქ-

საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის არ გაგვიცია ერთმანეთისთვის. მე უკვე საბოლოოდ მქონდა გადაწყვეტილი, რომ უკანგზობაზე ყველაფერს გეტყოდი და დავშორდებოდით. შენი ბიძაშვილი ძალიან ბედნიერი და აღელვებული დაგვიხვდა, ექიმს უთქვამს, ორ დღეში გაგწერთო. გვებოდიშებოდა, როგორ გაგაწვალეთო, კარგ ამბავში გადამეხადოსო. მე განსაკუთრებული მადლობები მიხადა, რომ არ დავიზარე და ხუთჯერ მოვინახულე. დაუთვლია. ისეთი გახარებული იყო, თითქმის მეც კი გადმომედო მისი სიხარული, ვგრძნობდი, როგორ შემომიცოცდნენ გულში რაღაც ამაღლებული და ნაზი განცდები, მაგრამ მალევე მოვეგე გონს: დღეს არანაირად არ მქონდა გულაჩვილების უფლება, რადგან სულ მალე, უკანაგზობაზე, ყველაფრისათვის წერტილი უნდა დამესვა, უნდა მეთქვა, რომ გტოვებ. ამიტომ ავდექი და პალატიდან გამოვედი, მოვწევ მეთქი. დერეფნის ბოლოს პატარა აივანი იყო და იქ გავედი. ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული, შენც გამომაკითხე, მოკიდებული სიგარეტი ხელიდან გამომაცალე და მანიშნე, შენ ახალი დაიწყეო.



აივნიდან მოჩანდა ორი საავადმყოფო, მიონის ქარხანა; მტკვარი, ცოტა მოშორებით - ბასეინის შენობა. ბავშვობაში იქ ხშირად დავდიოდი საცურაოდ.

- ცურვა იცი? - გკითხე.

გაკვირვებულმა გადმომხედე და მაშინვე გამახსენდა, რომ მილიონჯერ ვყოფილვართ ერთად თბილისის ზღვაზე, ჩემზე გაცილებით უკეთ ცურავდი.

- რამ გაგახსენა ცურვა?

- აი ის, აქეთა კედელი ლურჯი მინის ბლოკებით რომ აქვს ამოშენებული, ბასეინია. ადრე სულ დავდიოდი. - გითხარი და ზურგიდან მოგიდექი, მარცხენა ხელი ყელზე შემოგხვიე, მარჯვენა კი წინ გავიშვირე და საჩვენებელი თითი რაც შეიძლება ზუსტად დავუმიზნე ბასეინის შენობას. შენ ჩემს თითს თვალი გააყოლე და თითქმის ჩურჩულით თქვი:

- მეც დავდიოდი.

- სად, მაგ ბასეინზე?

- მანდ არა, დიდუბეში. ოღონდ ადრე, ბავშვობაში. დიდხანს ვიარე, ცხრიდან სადღაც თერთმეტ წლამდე.

- არ ვიცოდი. გითქვამს? - შენ პასუხი არ გამეცი. - ცურვაზე დადიოდი თუ ისე, საბანაოდ?

- წყალში ხტომაზე.

- აუ, თავით?

- არა, ტრაკით!..

- ხოო, აი თურმე რისი ბრალი ყოფილა... - ვთქვი და სახეზე ხელები ავიფარე, მეგონა, დამაყრიდი. სულ ასე იცოდი, როცა რაღაც მწარეს გეტყოდი, ეგრევე მუშტებით მოდიოდი. მაგრამ ამჯერად არც განძრეულხარ, არც არაფერი გითქვამს.

- არ წავიდეთ? - გკითხე და მოწეული სიგარეტი წკიპურტით მოვისროლე.

- ხო. დავემშვიდობები და წავიდეთ.

- პირდაპირ რომ წავიდეთ, დაუმშვიდობებლად, რა, გული მოუკვდება?

- ჩანთა არ ავიღო?

- კარგი, შენ შედი და მე ჩავალ. ქვემოთ ვიქნები.

ჩავედი. ძალიან მალე ჩამომყევი. ორ-სამ წუთში უკვე ლუბლიანას ქუჩას მივუყვებოდით; შებინდებულიყო, ძალიან მშვიდი და სასიამოვნო საღამო იდგა. ნელა მივდიოდით. ხელი გადაგხვიე.

- რაღაცის თქმას აპირებდი, - მითხარი შენ.

- როდის გითხარი, რომ რამის თქმას ვაპირებ? - გკითხე და გონება დავძაბე, იქნებ მართლა ვუთხარი მეთქი.

- არ გითქვამს, მაგრამ გეტყობა. შენ არასოდეს არაფერს ამბობ, მაგრამ ყოველთვის ყველაფერი გეტყობა.

- ესეიგი შემატყე. მაგარი ხარ.

- მომეჩვენა? კარგი, ალბათ მომეჩვენა.

ოდნავ ჩამოგრჩი და უკან მოგყვებოდი. ერთხანს ჩუმად ვიარეთ, მერე გითხარი:

- ვაპირებდი.

ისე დაბნეულმა გადმომხედე, თითქოს აღარც გახსოვდა, წუთის წინ რაზე ვლაპარაკობდით.

- მართლა ვაპირებდი რაღაცის თქმას. და ვაპირებ. გითხრა?

- აბა რა უნდა ქნა, მითხარი.

- ცოტა ქვემოთ გეტყვი, ჯერ ვიაროთ. ასი მეტრიც და გეტყვი.

- კარგი, ქვემოთ მითხარი, - თქვი და მაშინვე მიხვდი, რას ნიშნავდა "ქვემოთ", - რას ჩააცივდი იმ დღეს, მეტი მოსაგონარი არაფერი გაქვს ცხოვრებაში?

- რომელ იმ დღეს?

- ვითომ ვერ მიხვდა ბიჭი. ნერგების დღეს.

არაფერი მითქვამს. მერე იდაყვზე ხელი მოგკიდე და შეგაჩერე.

- მე და შენ უნდა მოვათავოთ ყველაფერი.

- რა უნდა მოვათავოთ?

- ყველაფერი. უნდა დავშორდეთ.

თითქოს ელოდი, რომ ამას გეტყოდი. რამდენიმე წამი ხმა არ გაგილია, აქეთ-იქით იხედებოდი, მერე თვალებში მომაჩერდი და გაღიმებულმა მკითხე:

- მე რომ მიყვარხარ?

- არა.

- რა არა, ძალიან მიყვარხარ.

- არა!

- ძალიან და სიგიჟემდე მიყვარხარ!

- მორჩი! - თითქმის დაგიყვირე და წამით, სულ რაღაც ერთი წამით, ძალიან მომინდა ხელი გამერტყა შენთვის.

- კარგი, დაწყნარდი, არ მიყვარხარ, - თქვი და გაიცინე. მერე სერიოზული სახე მიიღე და დაამატე - იცი რა, ცოტა ხანში მოგენატრები და მომადგები.

უცნაურია, ამაზე რატომღაც აქამდე არ მეფიქრა. მართლა ხომ შეიძლება მომენატრო? შეიძლება კი არა, ალბათ ასეც იქნება.

- არ მომენატრები. რომც მომენატრო, მაინც არ მოვალ, დავშორდეთ?

- იმ რაღაცეების კიდევ გეშინია ძილის წინ? ტალღების და ეგეთების?

- მეშინია. დავშორდეთ? რა გინდა, რომც მომენატრო, არ მოვალ.

- კარგი, დავშორდეთ. ოღონდ ეგრე არ მაწყობს. თუ მოგენატრო, მოდი.

- მასე იყოს, თუ მომენატრე, მოვალ. ახლა დავშორდეთ? - ვთქვი და დავაყოლე - ნეტა რაში გჭირდები?

- გამოგიყენებ რამეში. დავშორდეთ. შენ იარე, მე აქ დავრჩები და მარშრუტკას გავაჩერებ. თუ გინდა, პირიქით ვქნათ. პირიქით ჯობია, შენ დაელოდე მარშრუტკას და მე წავალ, - თქვი და დაიძარი, ხუთი-ექვსი ნაბიჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადადგი და ისევ მობრუნდი, - მარშრუტკის ფული გაქვს?

- მაქვს, წადი.

- კაი, კარგად, - მომაძახე, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულხარ, თითქოს რაღაც გაგახსენდა, ჩაფიქრებული იდექი. მერე ისევ გამომხედე და მითხარი - შენ, მე რომ მომენატრო?

- წადი რა, წადი!

- რომ მომენატრო მეთქი, მე რომ მომენატრო, მოვიდე?

- ხო, მოდი, ოღონდ ახლა წადი, გეხვეწები.

წახვედი. გიყურებდი. ნელა მიდიოდი. მალე მეც უკან მოგყევი. არ მოგიხედავს. დაახლოებით ათი მეტრის დაშორებით მოგყვებოდი. თითქმის ლუბლიანას ბოლოში იყავი გასული, როცა დაგიძახე. მობრუნდი. ხელი დაგიქნიე. ჩემსკენ წამოხვედი. მე ხეს მივეყუდე და დაგელოდე. როცა მომიახლოვდი, მიწას ფეხი დავკარი და გითხარი:

- აი, აქ ვთხრიდით მაშინ.

- საიდან გახსოვს?

- მახსოვს.

- მერე რა?

რა თქმა უნდა, სინამდვილეში არაფერიც არ მახსოვდა, ან როგორ მეხსომებოდა ასე ზუსტად ის ადგილი? უბრალოდ, ასეთი განშორება არ მომეწონა, ძალიან ადვილად მოხდა ყველაფერი და, რაც მთავარია, მომეჩვენა, თითქოს შენ უფრო გინდოდა ჩემგან წასვლა, ვიდრე მე შენგან. აკი თვითონვე ჩამეძიე, რაღაცის თქმას აპირებდიო. ყველაფერი ისე მოხდა, თითქოს ჩემი ნებით კი არა, შენი სცენარით დავშორდით. ეს უკვე აღარ მომეწონა. ერთხელ, ერთადერთხელ გავბედე შენზე მაგარი ვყოფილიყავი და ამ ერთხელაც შენ მჯობნიდი. ამიტომაც მოგაბრუნე, მიზეზიც მოვიგონე, თითქოს ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც მაშინ ვთხრიდი. მოგაბრუნე, იქნებ რაიმე შემეცვალა.

- მერე რა, რომ ეს სწორედ ის ადგილია? - გამიმეორე კითხვა.

- არაფერი. მოდი, თავიდან დავიწყოთ. აქ ჯობია.

- რა უნდა დავიწყოთ თავიდან?

- როგორ თუ რა, განშორება.

- არ ხარ ნორმალური. დავიწყოთ.

ზემოთ ავიხედე, ხეს თვალი ავაყოლე, რამსიმაღლე იყო! სხვა ალვებსაც გავხედე, ყველანი თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ. მაინც როგორ გათანაბრდნენ ასე ძველები და ახლები? ასეა, ადრე მეც შენზე უმცროსი ვიყავი, მაგრამ მერე და მერე დაგეწიე. ისევ "ჩემს" ხეს ავხედე. მართლა რას ჩავაცივდი იმ დღეს? კარგი, პირველად მაშინ დამელაპარაკე, მერე რა? ნერგები დავრგეთ, დიდი ამბავი! ჯერ ერთი, მე არაფერიც არ დამირგავს, მხოლოდ ორმოს ვთხრიდი და ეს საქმეც ბოლომდე ვერ მივიყვანე, ვიღაც კრეტინს გავებუტე და ბარი მოვისროლე, სულ ეს იყო. რომც დამერგო, მერე რა?



- გაშტერდი?

ეს რომ არ გეთქვა, კიდევ დიდხანს ვიქნებოდი ასე, თავაწეული და ხეს მიჩერებული. შემოგხედე და თავის ოდნავი დაქნევით განიშნე, დავიწყოთ მეთქი. შენც ზუსტად ჩემსავით დააქნიე თავი და სულ სხვა რაღაც თქვი:

- რა, შენ გგონია, ეს შენი დარგული ხეა?

- მართლა რა სწრაფად გაიზარდა, არ გიკვირს? ზუსტად რომ არ მახსოვდეს, ვერც დავიჯერებდი, რომ ეს ის ნერგია.

- ეს ის ხე არ არის. აქ არცერთი ხე არ არის მაშინდელი, - თქვი და ძალიან მკაცრად დაამატე, - და დაანებე თავი მაგ სისულელეებს, აგერ მაქვს, აი, ამოსული! - საჩვენებელი თითი ყელზე მიიდე, მერე კი თითქმის ზიზღით ჩაილაპარაკე, - ხეები, ტალღები... შეეშვი მაგ სისულელეებს და... შვილს თუ გავაჩენთ, არ იქნება ცუდი.

გაოგნებული მოგაჩერდი.

- რას მოგენგრა სახე, რა ვთქვი ისეთი, ან დავშორდეთ და ან შვილი გავაჩინოთ. ყველაფერს აჯობებს, გავაჩინოთ და მერე დავშორდეთ. გაწყობს?

- რა გინდა? - ძლივს ამოვღერღე, თითქოს ვიგუდებოდი.

- ვერ გაიგე?

- გავიგე, - ვთქვი და შენსკენ გადმოვიხარე, ყურში ჩაგჩურჩულე, - რომ გავაჩინოთ კიდეც და არც დავშორდეთ?

- ეგეც შეიძლება. ეგ იქნებ უკეთესიც იყოს. მაგრამ არა, მაინც ჯობია, ახლა დავშორდეთ და, თუ გადაწყვიტე, მოდი. თუ არა და, საერთოდ ნუ მოხვალ.

უკვე სრულიად ჩამობნელებულიყო. ნელ-ნელა ჩავუყევით ტროტუარს, ლუბლიანას ქუჩა ჩავათავეთ და კორპუსებთან გავედით. გაჩერებაზე დაგემშვიდობე. შენ მაკოცე. მე იქვე ვცხოვრობდი, შენ ერთი კვარტლით ზემოთ. ავტობუსში ახვედი. ავტობუსი ცარიელი იყო და განათებული, შენ უკანა ფანჯარასთან დადექი. ვიდრე ავტობუსი თვალს არ მიეფარა, გიყურებდი. უფრო სწორად, შენს სილუეტს ვუყურებდი, რომელიც სწრაფ-სწრაფად პატარავდებოდა.

ძალიან გვიანი იყო, როცა გადმოგირეკე, მინიმუმ 3 საათი მაინც იქნებოდა. ნამძინარევი ხმა არ გქონდა.

- რა მოხდა, ისევ შიშები?

- არა, ნორმალურად ვარ.

- აბა რატომ რეკავ, უკვე გადაწყვიტე?

დავიბენი, თავიდან ვერც მივხვდი, რას მეკითხებოდი. მერე გამახსენდა.

- არა, მაგიტომ არ ვრეკავ.

- აბა?

- ის ხეები... რას ნიშნავს, არცერთი მაშინდელი არ არისო? ორი მანქანა ნერგები დავრგეთ და...

- ა, ხეები? ხო, ხეები მოთხარეს.

- ვინ? რატომ მოთხარეს?

- ვინ და, ვინც მოიტანა და დაგვარგვევინა, იმათვე მოთხარეს.

- რატომ?

- რატომ და წაიღეს. მერე სხვა უბნის ბავშვებს დაარგვევინებდნენ, მერე კიდევ მოთხრიდნენ და სხვებს დაარგვევინებდნენ, მიხვდი? მოკლედ, სალონისძიებო ნერგები იყო.

ერთხანს ორივე ვდუმდით. მერე მკითხე:

- კიდევ გაინტერესებს რამე?

- არა, მეტი არაფერი. თუ რამეს გადავწყვეტ, დაგირეკავ. იცი რა, ხვალ დაგირეკავ, ხვალამდე გადავწყვეტ. დილით დაგირეკავ.

- დილამდე მოასწრებ? ვერ არის ადვილი გადასაწყვეტი, თანაც გვიანია. ახლა დაიძინე და მერე ქენი.

- მოვასწრებ. ბევრიც აღარაფერი მაქვს მოსასწრები. კაი, ხვალამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანა ვაჩნაძე

# DIANA ვა

* * *

ვერ გავიგე,
რატომ მაწერინებს
ეს ჩემი სხეული ამდენ ლექსს.
ვერც ის გავიგე,
რატომ ემახიან
ჩემი სხეულის მიერ დაწერილ ლექსებს
ჩემს სულს.
გ. ხომ უბრალოდ დაიკარგა და
მე მისი ძებნა რომ დავიწყე,
ხან ჩემს მელნიან თითებში ვიპოვე,
ხან საშოში,
ხანაც იმ ყურის ბიბილოებში,
რომლებზეც მისი ნაჩუქარი საყურეებია
ჩამოკონწიალებული.

ვერ გავიგე,
რატომ მეფერება
დღეს ზ. ასე მონდომებით.
ვერც ის გავიგე,
რატომ ემახიან ასე შეთანხმებულად
ჩვენს ურთიერთობას სიყვარულს.
ზ. ხომ უბრალოდ გამოჩნდა
და როცა მე ის აღმოვაჩინე,
მელნიანი თითები,
საშო და ყურის ბიბილოები
ჯერ კიდევ მგრძნობიარე მქონდა...

* * *

ცაში როცა ვიხედები,
გ-ს თვალებს ვხედავ,
მიწას როცა ჩავჩერებივარ,
გ-ს ნაკვალევებს,
ხოლო როცა ჩვეულებრივ მივაბიჯებ
და მზერა წინ მაქვს მიმართული,
სახე გ-ს გულში მეფლობა
და მგონია, რომ
წითელი სათვალეთი დავდივარ
ამ სამყაროში -
წითელი, ვითომმოდური სათვალეთი
და საკმარისია,
მოვიხსნა იგი, რომ
ფეხი მომეკვეთოს,
შემცივდეს,
შიშმა ამიტანოს... -
გაუწითლებელი სამყარო ხომ
წარმოუდგენელია ჩემთვის და
იმითი ვარსებობ, რომ
დაახლოებით 1 მ. 65 სმ. სიმაღლეზე
თითქმის ყველგან,
სადაც არ უნდა წავიდე,
გ-ს გულის სისხლია, -
ჩემი თმის საღებავი,
ჩემი ტუჩის პომადა,
ჩემი თაფლისფერი თვალების
უცნაური ცრემლი...

* * *

რაკი გუშინ შენს გვერდით ვიწექი,
რაკი დღეს ვნახე წყვილი, რომელიც ცეკვავდა
სიყვარულს,
რაკი ხვალ ჩემს ჭიქაში ჩასხმული ცივი წყალი
მზისგან და ლოდინისგან გათბება,
ვიყიდი ოდესმე ბატიბუტს და მის ერთ ნახევარს
ჩიტებს დავუყრი,
მეორე ნახევარს კი ჩემს მეორე ნახევარს ვუწოდებ
და ბოლომდე, სიკვდილამდე შევინახავ,
რადგან ეტყობა, სჭირდება ყველა ადამიანს
ეს გაურკვეველი მეორე ნახევარი, -
თუნდაც ბატიბუტის,
თუნდაც ჩიტების ნისკარტს გადარჩენილი...

* * *

დიანა ვაჩნაძე, დიანა ვაჩნაძე, დიანა ვაჩნაძე, -
ვთქვი სამჯერ,
მაგრამ ვერ ვიპოვე საკუთარი თავი.
ცა, ცა, ცა, ცა, -
ვთქვი ოთხჯერ,
მაგრამ ვერსად ჩავეჭიდე მარადისობას.
სიყვარული, სიყვარული, სიყვარული, სიყვარული,
სიყვარული, -
ვთქვი ხუთჯერ და
გონება დავკარგე.

ხოლო როცა ცნობიერება დამიბრუნდა,
ჩემს თავთან დახრილი დედაჩემი დავინახე.
დავინახე,
დედა! - ვიყვირე ერთადერთხელ და
ისევ იმ დედობას წამოვედე,
რომელიც თავის დროზე არ მაღირსა გ-მ.

## ვარდის სახელი - II

ბავშვობაში ვარდის მურაბა მერჩივნა ვარდს.
მერე, 16-დან 30 წლამდე,
ვარდი ვარდის მურაბას.
ახლა კი ისევ მურაბას ვანიჭებ უპირატესობას.
თუკი ვინმეს გავახსენდი და მაჩუქა,
ვზივარ სახლში ბედნიერი და გემრიელად ვთქვლიფავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვების სინაზე ჩემს გაუხეშებულ ორგანოებს
თანდათან ანატიფებს და
ლამის ისეთივე ვხდები,
როგორიც პაემნებზე სიარულის პერიოდში ვიყავი.
მაგრამ თუ სასწაული მოხდა და
ვარდების თაიგული მიძღვნეს,
საშინელება ხდება.
ვალაგებ მათ ლარნაკში,
წინ ვუჯდები,
საათობით შევცქერი და ვცოფდები.
ისე ვცოფდები, ჯობს, არ აღგიწეროთ.

სამაგიეროდ, თუ გაინტერესებთ,
სიამოვნებით აღგიწერთ ჩემს დღევანდელ ბინას.
მაგიდებზე, სკამებზე, წიგნის თაროებზე, პიანინოს თავზე,
ყველგან,
ვარდის გამხმარი ფურცლებია გაშლილი.
საცაა მურაბის მოდულებას დავიწყებ.
რაკი მაინცდამაინც მასაც არავინ მჩუქნიდა,
გადავწყვიტე, თავად მომეგვარებინა ეს საკითხი.
და აი, შევყურებ ვარდის დაპუტული ფურცლებით
მოფენილ
ჩემს ოთახებს და თვალწინ მიდგას,
როგორ ვხუფავ ვარდის მურაბით სავსე ქილებს.
ეს ქილები აწი ჩემი ძუძუები იქნება.
ხუფები - ლიფები,
და როცა მათ მოვიხსნი ხოლმე,
ყველა მოიხიბლება ჩემით.
ბავშვებით დაწყებული, მოხუცებით დამთავრებული,
ყველა ჩემს ძუძუებზე იოცნებებს.
რა დედის რძე, რის ჰიპის ჩაი ან არაყი,
მაშინ, როცა ასეთი კალორიები არსებობს დედამიწაზე.
ჩემი ძუძუები - ვარდისმურაბიანი ქილები
ყველას გააძღობს და გაანაზებს.
მათ შორის, ცხადია, მეც, რომელსაც
ბავშვობაში ვარდის მურაბა მერჩივნა ვარდს,
16-დან 30 წლამდე - ვარდი ვარდის მურაბას,
ახლა, იცით, ისევ მურაბას ვანიჭებ უპირატესობას,
აი, სიბერეში კი, ვარდის მურაბით გასიებულს,
როცა აღარც ერთი მექნება და აღარც მეორეს თავი,
ალბათ ვარდის სახელის ბუტბუტით
გავიფერადებ დღეებს.

პრილი



## ტედ ჰიუზი



*ტედ ჰიუზი (1930-1998) XX საუკუნის II ნახევრის ბრიტანულ პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და მკვეთრად ინდივიდუალური პოეტია. ამასთან, ტედ ჰიუზისა და სილვია პლათის რთულმა, ტრაგიკულმა ქორწინებამ ისინი თანამედროვეობის ყველაზე ცნობილ პოეტურ წყვილად აქცია. ჰიუზის განსაკუთრებული ნიჭი გამოიხატება მის უნარში - სამყარო წარმოაჩინოს როგორც ბუნების შინაგანმა, განუყოფელმა ნაწილმა. დღევანდელი პუბლიკაცია ეძღვნება ტედ ჰიუზის დაბადებიდან 70 წლისთავს და მასში წარმოდგენილი ლექსები სწორედ პოეტის მიერ ბუნების უჩვეულოდ აღქმისა და გადმოცემის მაგალითებია.*

მთარგმნელი

### ვუდვო

*ვუდვო არის ტყის დემონი*

რა ვარ მე? აქ რომ ვიქექები, ფოთლებს ვყნოსავ,
ჰაერის ბაც ლაქას მივყვები მდინარისაკენ,
წყალში შევდივარ. რა ვარ მე ახლა - წყლის მინას რომ
ვამსხვრევ და რომ ვიცქირები კალაპოტიდან -
ზემოთ, სადაც კამკამა ლურჯი მიედინება;
რას ვაკეთებ შუა ჰაერში? რითი არის
ეს ბაყაყი საინტერესო, შიგნეულს რომ
ვუთვალიერებ გულდასმით და თვითონ ვიტენი?
ეს ბალახები თუ მიცნობენ, თუ ჩურჩულებენ ჩემზე,
უწინ თუ ვუნახივარ, იმათ სამყაროს თუ ვეკუთვნი? მგონი -
ცალკე ვარ მიწისაგან და არა მაქვს ფესვები, მე ვარ
ამოსროლილი არსაიდან და ძაფებიც
არ მამაგრებს რამესთან და შემიძლია
საითაც მინდა იქით წავიდე, თითქოს მე ვარ
თავისუფალი ამ ადგილას, მაგრამ - იქით? და რომ
ვაქერცლი მერქანს ამ დამპალ კუნძს, თუკი
არც მსიამოვნებს, რატომ ვაკეთებ ამას?
რაც რჩება ამ კუნძიდან - ასე რატომ მგავს?
და რა მქვია, ან პირველი თუ ვარ,
ან თუ მყავს მე პატრონი, ან რა ფორმის ვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა თუ მაქვს, გიგანტური თუ ვარ, თუ ვივლი
ამ მხარეს კიდევ, ბოლომდე და თუ გავივლი
ამ ხეებს და ამ ხეებს ვიდრე არ დავიღლები
და შევჩერდები და დავჯდები ერთი წუთით
ჩუმად და თვალებს თუ მომაცილებს
ყველაფერი, რაც მაშტერდება? მგონი მე ვარ ამისი ცენტრი;
მაგრამ ისევ ეს ყველაფერი, ეს რა არის - ფესვი,
კიდევ ფესვები, ფესვი და ისევ წყალი
და ძალიან უცნაურია, მაგრამ მე კიდევ იქითაც ვნახავ.

## გუდასტვირი

ზღვა ყვირის თავის უაზრო ხმაზე
და თავის მკვდრებს და თავის ცოცხლებს ერთნაირად ინახავს,
იმას ალბათ მობერზრდა ზეცის სხეული,
მილიონობით თეთრად ნათევი ღამის შემდეგ
აღარც მიზანი აქვს და აღარც თავს არ იტყუებს.

და ქვაც ასეა. კენჭი არის გამოკეტილი
ისე, როგორც არაფერი - ამ სამყაროში.
შავი ძილისთვის გაჩენილი.
ზოგჯერ მზის წითელ ლაქას შეამჩნევს
და ჰგონია რომ ჩამჯდარია ღმერთის საშოში.

ქვას ეჯახება ქარი.
იგი ვერ ეწყვილება ისე ვერაფერს,
როგორც ბრმა ქვის დაძაბულ სმენას.
ტრიალებს, ცდილობს ქვის გონებას
მოძრაობის წარმოსახვა გააბედვინოს.

ზღვას სვამს და ქვას ჭამს
ხე და წვალობს ფოთლის გამოსხმას -
ბებერი ქალი, კოსმოსიდან ჩამოვარდნილი,
დედამიწის პირობებისთვის სამზადისი რომ არ ეჭირა;
ის ეჭიდება მიწას, რადგან მთლად შეიშალა.

წუთი-წუთს მისდევს, მარადისობა - მარადისობას
და არაფერი არ ნებდება და არც იცვლება.
და ეს არ არის ცუდი მცდელობა და არც - იმედის გაცრუება.
აქ დაცურავენ მოკაშკაშე ანგელოზები.
აქ ილევა ყველა ვასრკვლავი.

## ქორის საგუდარი

ხის კენწეროზე ვზივარ. თვალებდახუჭული.
უმოძრაოდ. ცრუ სიზმრების გარეშე -
ჩემს მოკაკვულ თავსა და ბრჭყალებს შორის,
ან - ძილშიც სრულვყოფ ჩემს მკვლელობებს და
მსხვერპლის ჭამას.

მჭუდროება მაღალი ხისა!
ჰაერის ტალღა და მზის სხივი
თავზე მევლება.
და მიწის სახე ამოჰყურებს ჩემს მზვერავ თვალებს.

ჩემი ფეხები საკეტებია ტოტის მერქანზე.
მთელი ქმნილება დასჭირდა -
ბრჭყალის, თითოეული ბუმბულის შეთხზვას.
ახლა ამ ბრჭყალით მიკავია მე ეს ქმნილება.

ან - ავფრინდები და ნელ-ნელა გავუშვებ:
იქ ვკლავ - სადაც მწადია, რადგან ჩემია ეს ყველაფერი.
ორი აზრი ამ სხეულში არ ბუდობს:
ჩემი ერთადერთი ჩვევა - თავების წაგლეჯვაა -

სიკვდილის ხვედრი.
საფრენი გზა პირდაპირი მაქვს -
ცხოვრების ძვლებით ამოვსებული.
ჩემს სურვილს განსჯა ვერ შეეხება:

მზეა ჩემს უკან.
არაფერი არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც ყოფნა დავიწყე.
ამ თვალს უფლება არ მიუცია რამე ცვლილების.
ყველაფერი ასეც დარჩება.

ინგლისურიდან თარგმნა
**ლელა სამნიაშვილმა**

**არილი**


ტედ ჰიუზი შვილებთან, ფრიდასთან და ნიკოლასთან ერთად



იტალიელი პროზაიკოსი და დრამატურგი ლუიჯი პირანდელო დაიბადა სიცილიაში 1867 წელს, როცა კულტურულ ატმოსფეროს პოზიტივისტური თვალსაზრისები დაუფლებოდნენ და პიროვნებას გარშემო სინამდვილის დაუფლების იმედით ავსებდნენ. მწერლისა და მოაზროვნის სულიერი განვითარება ამ იდეალების თანდათანობითი რყევისა სრული დამხობის პარალელურად მიმდინარეობდა. პირანდელომ გამოაღწია მშობლიური კუნძულის ვიწრო და კუთხური ატმოსფეროდან, სწავლა ჯერ რომის უნივერსიტეტში დაიწყო, შემდეგ კი გერმანიაში, ბონში დაიცვა დისერტაცია 1891 წელს.

პირანდელოს დებიუტი 1889 წელს შედგა ორი პოეტური კრებულით. პირველი რომანი "განდევნილი" (1901) ვერისტული ტრადიციებით, განსაკუთრებით კი სიცილიელი ლუიჯი კაპუანას გავლენით იყო განმსჭვალული. ამას თან მოყვა რომანები "განსვენებული მატია პასკალი" (1904), "მოხუცები და ახალგაზრდები" (1909), "მისი ქმარი" (1911), "ერთი, არავინ და ასიათასი" (1926) და სხვა.

მსოფლიოს მრავალ თეატრში იდგმება პირანდელოს დრამატურგიული ნაწარმოებები: "ასეა, თუ თქვენ გგონიათ", "ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი", "ანრი IV" და სხვა.

მწერალმა ნოველის ჟანრშიც მრავალი საინტერესო ნაწარმოები შექმნა. საქართველოში, ალბათ, ყველაზე ცნობილია მისი მოთხრობა, რომლის მიხედვით გადაღებულია ტელეფილმი "ქვევრი". თუმცა პირანდელოს სათაური, ალბათ, სხვანაირად უნდა ითარგმნოს, რადგან ქართული ქვევრის იტალიური პროტოტიპი მიწაში ჩასაფლობად არ არის გათვალისწინებული.

სიკვდილამდე ორი წლით ადრე, 1934 წელს ლუიჯი პირანდელოს ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურის დარგში.

თავისი შემოქმედებითი მრწამსის განსახორციელებლად, პირანდელო აუცილებლად უნდა დაშორებოდა ენისადმი ვერისტულ მოთხოვნებს, ჯერაც რომ პოზიტივისტურ დებულებებს მორჩილებდნენ და სინამდვილის პუნქტუალური აღწერისთვის იყვნენ გათვალისწინებულნი, და გამოეგონებინა ახალი ენა, პირდაპირი და უშუალო, რომელიც ყოველგვარი გაფილტვრის გარეშე ასახავდა პერსონაჟის სულიერ არამდგრადობასა და წუხილს.

ამ ასპარეზზე პირანდელოს ექსპერიმენტები საოცარ გაქანებას აღწევდა: მის ნაწარმოებთა ენა სძლევს სემანტიკურ რანგსა და მნიშვნელობაზე დამყარებულ ყოველგვარ იერარქიას, ერთმანეთში ურევს დახვეწილ ლიტერატურულ ლექსიკას, ჟარგონულ თუ დიალექტურ ელემენტებს, სპეციალურ ტერმინოლოგიას, გაცვეთილსა და ბანალურ გამოთქმებს, რადგან, ავტორის აზრით, სწორედ ასე შეიძლება მაქსიმალური სისრულით გამოიხატოს ის სასოწარკვეთილი ძალისხმევა, რომელსაც პერსონაჟი მიმართავს საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციისას.

ამგვარი ენობრივი "პოლიტიკა", იტალიურ ლიტერატურაში თავის ბუნებრივ მწვერვალამდე კარლო ემილიო გადამ აიყვანა.

*მთარგმნელი*

## ლუიჯი პირანდელო

# ტყვეობა

გვარნოტა ტანის რხევით აჰყოლოდა სახედრის ნაბიჯს, თითქოს თვითონაც მიაბიჯებსო. მართლაც ცოტაღა აკლდა, რომ უზანგებიდან ამოღებული ფეხები გზის მტვერში არ გაეთრია.

როგორც ყოველი დღის ამ დროს, იგი ახლაც შინ ბრუნდებოდა ზეგნის კიდეში, თითქმის ზღვის ნაპირზე გაშლილი თავისი ადგილ-მამულიდან. პატრონზე უფრო ნაღვლიანი და დაქანცული ბებერი სახედარი უკვე კარგა ხანია ქოშინებდა აღმართში, რათა ბოლოსდაბოლოს დაეძლია გაუთავებელი შარაგზის უკანასკნელი მოსახვევები, გარშემო რომ შემოტმასნოდა მაღლობს, რომლის მწვერვალზე თითქოსდა ერთმანეთს მიტყუპებოდნენ პატარა სოფლის დანაოჭებული სახლები.

ამ დროს გლეხები უკვე დაბრუნებულიყვნენ ყანებიდან. შარაგზაც ცარიელი იყო. თუკი ვინმე მაინც შეხვდებოდა გზაზე, გვარნოტა დარწმუნებული იყო, რომ სალამს მიიღებდა მისგან, რადგან, მადლობა ღმერთს, ყველა პატივს სცემდა.

ამ შარაგზასავით უდაბური იყო უკვე მის თვალში მთელი ქვეყნიერება; და თვით ცხოვრებაც - იმ ადრეული საღამოს ჰაერივით ფერფლისფერი. ჩამონგრეული ყორეების მიღმიდან გამოშვერილი ხეების უფოთლო ტოტები, აქა-იქ ეკლიანი ოპუნციების მაღალი დამტვერილი ტევრი, ხრეშის გროვები, რომლის ოღრო-ჩოღრო და ორმოებით მოფენილ გზაზე მიმობნევას არავინ ფიქრობდა - ეს ყველაფერი, თუკი ერთ შეხედვას მაინც აღირსებდა გვარნოტა, მათი უძრაობის, დუმილისა და მიტოვებულობის გამო, რაღაც უსასრულო და ამაო ტკივილით მასავით შეპყრობილი მოეჩვენებოდა. ამაოების ამგვარი შეგრძნების ზრდასთან ერთად, თითქოსდა თვით სიჩუმეც მტვრად ქცეულიყო, სახედრის ჩლიქების ჩქამიც კი არ ისმოდა.

ამ შარაგზის რამდენი მტვერი მოჰქონდა გვარნოტას შინ ყოველ საღამოს! როგორც კი გაიხდიდა, ცოლი მაშინვე ხელს დაავლებდა ქმრის ქურთუკს, წინ გაშვერილი ხელებით მთელ ბინას მოატარებდა, თითქოს სკამების, კარადების, ლოგინისა და სკივრების წინაშე იოხებდა გულს:

- შეხეთ, შეხეთ! თითით წერა შეიძლება ამაზე.

დაეჯერებინა მაინც და ადგილ-მამულში სასიარულოდ შავი მაუდის კოსტუმს ნუ გააფუჭებდა! ამისათვის ხომ სამი ხელი ტილოს სამოსი იყო შეკვეთილი.

პერანგის ამარა დარჩენილი გვარნოტა, რომ დასცლოდა, დიდი სიამოვნებით ჩაავლებდა კბილებს იმ სამ კოტიტა თითს, ცოლი ლამის თვალში რომ ატაკებდა ხოლმე რაღაცნაირი ბრაზიანი მოძრაობით. ოღონდაც ზარმაცი ძაღლივით იმას სჯერდებოდა, რომ ერთ-ორ ალმაცერ მზერას ესროდა დედაკაცს და მერე წუწუნს ანებებდა. თხუთმეტი წლის წინათ, ერთადერთი ვაჟის

სიკვდილზე დაიფიცა, რომ სულ მუდამ ძაძებში ივლიდა. ჰოდა...

- ყანაშიც, კაცო, ყანაშიც? მკლავზე შავი ნაჭერი შეიბი და ტილოს ტანსაცმელი ჩაიცვი. თხუთმეტი წლის მერე შავი ყელსახვევიც საკმარისია!

გვარნოტა წუწუნს ანებებდა. განა ყოველ ცისმარე დღეს იმ თავის ზღვისპირა ადგილ-მამულში არ ატარებდა დილიდან დაღამებამდე? წლების მანძილზე სოფელში აღარავის ენახვებოდა, ჰოდა...

- ჰოდა რა?

ჰოდა თუ სოფლად არ ჩაიცვამდა, მაშ სადღა უნდა ჩაეცვა ძაძები თავისი შვილის სიკვდილზე? შენი ღმერთიც არ იყოს, დაფიქრდი მაინც სანამ პირს დააღებ და წუწუნს დაიწყებ. - გულში? აბა, როგორ გეკადრება! გულში ვინ არ ატარებს ძაძებს? მაგრამ უნდოდა, რომ გარეთაც გამოჩენილიყო... - თუნდაც მხოლოდ ხეებს დაენახათ! ან ჩიტებს. რადგანაც საკუთარი ძაძების დასანახად მას თვითონ აღარ ჰქონდა თვალები. ცოლს კი რაღა ანუწუნებდა? განა თვითონ მას უნდა გაეწმინდა ჯაგრისით და გამოეფერთხა ყოველ საღამოს ეს ტანსაცმელი? ამისთვის ხომ მოახლეები ჰყავდათ. ორ პატრონზე სამი მოახლე. მომჭირნეობა? ერთი შავი სამოსი წელიწადში - ოთხმოცი ან ოთხმოცდაათი ლირა. ჯანი გავარდეს. ცოლი უნდა მიმხვდარიყო ამასობაში, რომ ამდენი ლაპარაკი ნამდვილად არაფერს არგებდა. მეორე ცოლი! გარდაცვლილი ვაჟი კი პირველი სარეცლისა იყო! სხვა ნათესავები, თუნდაც შორეული, არ ჰყავდა, ასე რომ მთელი მისი ქონება (ეს კი არ იყო ცოტა) სიკვდილის შემდეგ მეორე ცოლისა და მისი ძმისშვილების ხელში გადავიდოდა. ჰოდა, უნდა გაჩუმებულიყო, თუნდაც კეთილგონიერების ხათრით... ჰო, რა თქმა უნდა! ცოლს ამდენის მიხვედრა რომ შესძლებოდა, მის კაიქალობას ხომ ნამდვილად ხინჯი გაუჩნდებოდა!

გვარნოტაც ამიტომ ატარებდა ყოველ დღეს თავის მამულში. იქ მარტო იყო ხეებს შორის და თვალწინაც თითქოსდა უსასრულო შორეთიდან ზღვის თვალუწვდენელი ტრამალი გადაშლილიყო. ასე და ამგვარად, იმ ხეების ხანგრძლივ და მსუბუქ შრიალში, იმ ზღვის ყრუ და ნელ გუგუნში მიჩვეოდა გვარნოტა საყოველთაო ამაოებისა და სიცოცხლის შემაწუხებელი მოწყენილობის დათმენას.

სოფელს უკვე ერთი კილომეტრიღა თუ აშორებდა. მწვერვალზე მდგომი ადოლორატას ეკლესიიდან უკვე მწუხრის ზარების სუსტი და ნელი ხმა აღწევდა, როცა უეცრად შარაგზის მკვეთრი მოსახვევიდან მოისმა:

- დაწექი და არ გაინძრე!

ჩრდილიდან სამი ნიღბიანი ყაჩაღი გამოხტა, თოფებით შეიარაღებული. ერთმა სახედარს სტაცა ხელი სადავეში, დანარჩენებმა თვალის დახამხამებაში უნაგირიდან ჩამოიღეს გვარნოტა და მიწაზე დააგდეს. სანამ ერთი ფეხზე მუხლს აჭერდა და ხელებს ზურგსუკან უკრავდა, მეორე ხელსახოცს უნასკვავდა კეფაზე.

ისღა მოასწრო, ეთქვა:

- შვილებო, მე მიშვრებით ამას?

წამოაყენეს, უბიძგეს, მკლავებში ხელჩაჭიდებული გამოაგდეს შარაგზის მიღმა, ქვემოთ, ქვიანი ბილიკით ხეობისაკენ.

- შვილებო...

- ჩუმად, თორემ გაგათავეთ!

ბიძგებსა და დარტყმებზე მეტად მძიმე სუნთქვა, ჩადენილი ძალადობის



გამო იმ სამის მძიმე სუნთქვა აშინებდა. ეს მხეცური ქოშინი აფიქრებინებდა, რომ ნამდვილად საშინელი რამ განიზრახეს.

ოღონდაც მისი მოკვლა, ყოველ შემთხვევაში მალე, ნამდვილად არ უნდა სდომოდათ. ვინმეს მიერ მოგზავნილები რომ ყოფილიყვნენ, ან სისხლის ასაღებად მოსულნი, შარაგზაზევე მოკლავდნენ, იმავე ჩრდილში, სადაც ჩასაფრებულნი უცდიდნენ. მაშასადამე გამოსასყიდის ასაღებად გაიტაცეს.

- შვილებო...

კვლავ მაგრად მოუჭირეს მკლავები, შეანჯღრიეს და უბრძანეს, გაჩუმებულიყო.

- სახვევი მაინც მოუშვით ცოტათი. თვალებზე მაჭერს, აღარ შემიძლია...

- იარე!

ჯერ ქვემოთ, მერე ზემოთ, წინ, უკან, მერე ისევ ქვემოთ, მერე კვლავ ზემოთ, ზემოთ და ზემოთ. ნეტა სად მიათრევდნენ?

აზრებისა და გრძნობების მორევში, როცა გონებას შავბნელი წარმოდგენები უტევდა, გული კი ამოვარდნას ლამობდა ამ ბრმა სიარულის გამო, როცა უჯიკავებდნენ და მიათრევდნენ ქვებსა და ჯაგებში, წინ დაუდგა (რა უცნაურია!) სინათლეები - მაღლობის თავზე მდებარე ჯერ კიდევ ნავთით განათებული სოფლის, მისი სახლებისა და ქუჩების პირველი სინათლეები - ისევე ხედავდა მათ, როგორც მანამდე, სანამ თავს დაესხმებოდნენ, როგორც მრავალგზის უნახავს ადრეც ადგილ-მამულიდან დასაბრუნებელ გზაზე, ახლაც (რა უცნაურია!) ასევე ნათლად და ზუსტად მოჩანდნენ თვალებზე შემოჭერილი ხელსახოცის მიღმიდან, თითქოს ახლაც იმ მხარეს იყურებოდა და მზერაც თავისუფალი ჰქონდა. ასე ხელფეხშეკრული მიდიოდა წინ ბარბაცით, ყოველ ნაბიჯზე ფეხს წამოჰკრავდა ხოლმე რაღაცას, თანაც გულში ჩასაფრებულ შიშთან ერთად ის მშვიდი და ნაღვლიანი სინათლეებიც მიჰქონდა მთელ მაღლობსა და მასზე გაშენებულ სოფელთან ერთად, სადაც არავინ იცოდა ახლა, რა ძალადობის მსხვერპლიც გახდა იგი და ყველანი წყნარად ელოდნენ თავიანთი ცხოვრების ჩვეულებრივ დინებაში დარწმუნებულნი.

მერე თავისი სახედრის აჩქარებული ნაბიჯის ხმაც გაიგონა.

- აჰ!

მის ბებერ დაღლილ სახედარსაც თან მიათრევდნენ. რა ესმოდა საბრალო პირუტყვს? იქნებ უჩვეულო მრისხანებას ამჩნევდა თავის ირგვლივ, იქნებ უჩვეულო ძალადობასაც, მაგრამ მორჩილად და შეუგნებლად მიჰყვებოდა სადაც მიათრევდნენ. წამით რომ შეჩერებულიყვნენ, ლაპარაკი რომ ეცლიათ, გვარნოტა მშვიდად აუხსნიდა, რომ მზად იყო ყველაფერი მიეცა, რასაც კი ისურვებდნენ. მისი დღეები ისედაც დათვლილი იყო და არ ღირდა ცოტაოდენი ფულისათვის, იმ ფულისათვის, რომელიც უკვე არავითარ სიხარულს აღარ ანიჭებდა, ამგვარი წამების გადატანა.

- შვილებო...

- ჩუმად-მეთქი! იარე!

- აღარ შემიძლია! რატომ მიკეთებთ ამას? მზად ვარ...

- მოკეტე! მერე ვილაპარაკებთ... იარე!

თითქმის მარადისობა ატარეს ასე. რაღაც დროის შემდეგ, იმდენად იყო დაღლილი, იმდენად მძიმე იყო იმ ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახოცის ატანა, რომელიც თვალებზე ჰქონდა შემოჭერილი, რომ გონება დაკარგა და აღარაფერს გრძნობდა უკვე.

დილისკენ ვიწრო გამოქვაბულში მოეგო გონს. ირგვლივ ობის ისეთი სუნი იდგა, თითქოს თვით დილის უბადრუკი შუქი ყარსო.



ეს მოლურჯო შუქი ოდნავ-ოდნავ აღწევდა შიგნით გამოქვაბულის თიხოვან შემოსასვლელში და გადატანილ უბედურებას უმსუბუქებდა: ეს ტანჯვა ახლა სიზმრადღა ახსოვდა. ბრმა და პირუტყვული ტანჯვა მიაყენეს: მის გონდაკარგულ სხეულს ხან ერთი მოიკიდებდა მხრებზე და ისე მიათრევდა, ხან მეორე, ზოგჯერ მიწაზე აგდებდნენ, მერე მკლავში ან ფეხში დაავლებდნენ ხელს და წამოსწევდნენ ხოლმე, რომ კვლავ ეთრიათ.

ახლა სადღა იმყოფებოდა?

დააყურადა. მოეჩვენა, რომ გარეთ მაღალი მთის სიჩუმე გამეფებულიყო. ერთხანს ჰაერში გამოკიდებულად იგრძნო თავი. ოღონდაც მოძრაობა არ შეეძლო. ხელფეხშეკრული ეგდო მიწაზე მკვდარი ცხოველივით. საკუთარი სხეული ზედ აწვებოდა, თითქოსდა ტყვიისა გამხდარიყო. თავიც დამძიმებოდა. იქნებ დაჭრილი იყო? იქნებ მკვდარი ეგონათ და იმიტომ მიატოვეს.

არა: მათი ჩურჩული მოისმოდა გამოქვაბულის გარედან. ესე იგი მისი ბედი ჯერაც არ იყო გადაწყვეტილი. ოღონდაც განცდილის მოგონება ახლა უკვე თავს დატეხილ უბედურებად აღარ ეჩვენებოდა, არც თავის დაღწევისკენ უბიძგებდა. არა. იცოდა, რომ ვერ შეძლებდა, ამიტომაც თითქმის არც უნდოდა. უბედურება ახლა დიდი ხნის წინათ, თითქოსდა სხვა ცხოვრებაში მომხდარიყო, ცხოვრებაში, რომლის გადარჩენას იქნებ მოინდომებდა კიდეც, მთელი სხეული ასე ერთიანად რომ არ დამძიმებოდა და ეს თავის ტკივილიც რომ არა. ახლა უკვე აღარაფერი ედარდებოდა. ის ცხოვრება - ისიც საცოდავი და უბადრუკი - დაბლა დაეტოვებინა, აქედან შორს, იქ, სადაც დაიჭირეს. აქ კი ახლა სიჩუმე სუფევდა, მაღალი და ამაო, მეხსიერებას სრულიად მოკლებული.

რომც გაეშვათ, უკან დასაბრუნებლად და იმ თავისი ცხოვრების გასაგრძელებლად აღარც ღონე ექნებოდა და იქნებ აღარც სურვილი.

მაგრამ არა: გული აუჩუყდა, საკუთარი თავის მიმართ უდიდესი სიბრალული მოერია შიშის ყრუანტელის მსგავსად, როგორც კი დაინახა, რომ გამოქვაბულში სამთაგან ერთ-ერთი შემოდიოდა ხოხვით, სახეზე წითელი ხელსახოცი აეფარებინა თვალების სიმაღლეზე ამოჭრილი ნახვრეტებით. ეგრევე ხელებზე დააშტერდა. არავითარი იარაღი არ ჰქონია. მხოლოდ ახალი ფანქარი ეჭირა, ერთი სოლდო რომ ღირს, ჯერაც გაუთლელი. მეორე, მიწაზე დაყრდნობილ ხელში კი - უხეში და დაჭმუჭნილი საფოსტო ქაღალდის ფურცელი და ერთიც კონვერტი. უნებურად გულზე მოეშვა და გაიღიმა. ამასობაში გამოქვაბულში ორი სხვა შენიღბულიც შემოდიოდა ხოხვით. ერთი მათგანი მიუახლოვდა და ხელები გაუხსნა. პირველმა თქვა:

- აზრზე მოდით და წერეთ!

მოეჩვენა, რომ ხმაზე ცნობდა. როგორ არა, ეს ხომ მანუცა იყო. ასე იმიტომ შეარქვეს, რომ ერთი ხელი მეორეზე მოკლე ჰქონდა. მერე... ნუთუ მართლა ის იყო? ხეიბარ ხელზე დააცქერდა. ნამდვილად ის იყო. დანარჩენებსაც იცნობდა, ნიღბები რომ მოეხადათ. მთელ სოფელს იცნობდა. მაშინ თქვა:

- მე მოვიდე აზრზე? თქვენ უნდა მოხვიდეთ აზრზე, შვილებო! ვის გინდათ, რომ მივწერო? რითი გინდათ, რომ დავწერო? ამით?

- რატომ, განა ფანქარი არ არის?

- ფანქარია, კი. მაგრამ არც კი იცით, როგორც ხმარობენ მას.

- რატომ?

- ჯერ უნდა გაითალოს.

- გაითალოს?

- ჰო, აქ გაითალოს, წვერში. დანით.

- დანით კი არა...

და მანუცამ გაიმეორა:

- აზრზე მოდით! თქვენი ღმერთიც არ იყოს!

- სწორედ რომ აზრზე უნდა მოხვიდე, ჩემო მანუცა...

- აჰ, - იყვირა მან, - მიცანით?..

- აბა, რა გეგონა, სახეს იმალავ, ხელს კი აჩენ? მოიხსენი ეგ ხელსახოცი და თვალებში შემხედე. მე მიკეთებ ამას?

- ნუ ლაყბობთ, - დაიყვირა მანუცამ და ბრაზით მოიგლიჯა ხელსახოცი, - აზრზე მოდით-მეთქი და წერეთ, თორემ მოგკლავთ!

- კი ბატონო, მზადა ვარ, - დაუთმო გვარნოტამ, - როგორც კი ფანქარს გათლით. ოღონდაც ერთი რამ მათქმევინეთ... ფული გინდათ, ხომ, შვილებო? რამდენი?

- სამი ათასი უნცია!

- სამი ათასი? ცოტა არ გდომებიათ.

- თქვენ გაქვთ ეს ფული! არ გვინდა ახლა ზედმეტი ამბავი!

- სამი ათასი?

- მეტიც გაქვთ, მეტიც!

- კი, მეტიც მაქვს. ოღონდ შინ არა და არც ნაღდი ფული. სახლი უნდა გავყიდო, მიწები. და თქვენ გგონიათ, ეს შესაძლებელია ასე ორ დღეში, თანაც უჩემოდ?

- ისესხებენ!

- ვინ?

- თქვენი ცოლი და ძმისშვილები!

გვარნოტამ მწარედ გაიღიმა და იდაყვზე წამოწევა სცადა.

- სწორედ ამის თქმა მინდოდა მეც, - მიუგო. - თქვენ შეცდით, შვილებო. ჩემი ცოლის და მისი ძმისშვილების იმედზე ხართ? ჩემი მოკვლა თუ გინდათ, ეს სხვა საქმეა. აქა ვარ, მომკალით და ნუღა ილაპარაკებთ ამაზე. მაგრამ ფული თუ გინდათ, ჩემს გარდა ვერავისგან მიიღებთ. თანაც იმ პირობით, შინ თუ გამიშვებთ.

- რას ამბობთ? შინ? გიჟები ხომ არა ვართ?! გეხუმრებათ კიდეც!

- აბა... - ამოიოხრა გვარნოტამ.

მანუცამ რისხვით გამოსტაცა ხელიდან მეგობარს საფოსტო ქაღალდის ფურცელი და გაიმეორა:

- ნუღა ლაყბობთ, ხომ გითხარით, დაწერეთ-მეთქი! ფანქარი... ჰო, ჯერ უნდა გაითალოს. როგორ უნდა გაითალოს?

გვარნოტამ აუხსნა როგორ. სამივემ ერთმანეთს გადახედეს და გამოქვაბულიდან გავიდნენ. როცა დაინახა, როგორც გადიოდნენ ხოხვით, ცხოველების მსგავსად, გვარნოტამ ერთხელაც ვერ შეიკავა ღიმილი. იფიქრა, რომ ახლა სამივენი ამ ფანქრის გათლას შეუდგებოდნენ და თავს ვერ გაართმევდნენ, რადგან ყველა ვაზის ლერწივით ჩამოჭრას მოუნდომებდა. იღიმებოდა კი, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ამ წამში მისი სიცოცხლე სწორედ იმ სასაცილო სიძნელეზე იყო დამოკიდებული, რომელსაც ეს სამი კაცი მათთვის ახალი და ჯერ გამოუცდელი ქმედე-

ბისას წააწყდა. იქნებ გაბრაზებულნი იმის გამო, რომ ფანქარი ნაჭერ-ნაჭერ შემოელიათ ხელში, შემოვიდოდნენ და შეამოწმებდნენ, ფანქრის გასათლელად უვარგისი მათი დანების ვარგისიანობას გვარნოტას ყელის გამოსაჭრელად. თვითონაც შეეშალა, საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა გაამხილა, რომ მანუცა იცნო. აჰა, ესმოდა, როგორ ეკინკლავებოდნენ ერთმანეთს, ხვნეშოდნენ, იგინებოდნენ... რა თქმა უნდა, ერთმანეთს აწოდებდნენ იმ საბრალო ერთსოლდიან ფანქარს, რომელიც სულ უფრო და უფრო მოკლდებოდა. ვინ იცის რა დანები ეკავათ ხელში, მათ დაკოჟრილ და წვირიან ტორებში.

აჰა, ერთმანეთის მიყოლებით ბრუნდებოდნენ დამარცხებულნი.

- უვარგისი ხეა! - თქვა მანუცამ. - საზიზღრობაა! თქვენ ხომ იცით წერა-კითხვა, ნუთუ სხვა უფრო კარგი არ გიდევთ ჯიბეში?

- არა მაქვს, შვილებო, - მიუგო გვარნოტამ, - თანაც სულ ამაო იქნება, დამიჯერეთ. საწერი რომ მოგეცათ, დავწერდი. მაგრამ ვის? ჩემს ცოლს და იმ ძმისშვილებს? ის ძმისშვილები მისია და არა ჩემი, ხომ გესმით? არც არავინ მიპასუხებდა, არხეინად იყავით. თავს მოიკატუნებდნენ, რომ არავითარი მუქარის წერილი არ მიუღიათ, მორჩა და გათავდა. თუ მათგან გინდოდათ ფულის აღება, ჩემზე არ უნდა მოსულიყავით თავიდანვე. ჯერ მათ უნდა შესთანხმებოდით ჩემს მოკვლას ასე, ათას უნციად. მაგრამ არც ამას მოგცემდნენ. ჩემი სიკვდილი კი უნდათ, მაგრამ მე მოხუცი ვარ. ჰოდა ჩემს სიკვდილსაც ახლა ღვთისგან ელოდებიან უფასოდ და უდანაშაულოდ. ორ დღეში. მართლა გგონიათ, რომ ჩემი სიკვდილისათვის ერთ გროშს გაიმეტებენ? ცდებით. ჩემი სიცოცხლის საკითხი მხოლოდ მე თუ მაწუხებს. მაგრამ მეც აღარ მაწუხებს, გეფიცებით. მართალია, ასეთი ძაღლური სიკვდილი არ მესიამოვნება. ჰოდა, ასე რომ არ მოვკვდე, გპირდებით და ჩემი შვილის წმინდა სულს ვფიცავ, რომ როცა შევძლებ, სამ ან ოთხ დღეში, მე თვითონ მოგიტანთ იმ ფულს, სადაც მეტყვით.



- თანაც ჯერ განაცხადებთ, არა?

- არა! არავისთან კრინტსაც არ დავძრავ! სიცოცხლეს ეხება საქმე!

- ახლა კი ასეა. მაგრამ როცა თავისუფალი იქნებით? შინ დაბრუნებამდე განაცხადებთ.

- გეფიცებით, არა! მართალია, სიტყვაზე უნდა მენდოთ. მაგრამ იფიქრეთ, რომ ყოველდღე დავდივარ ჩემს მამულში. ჩემი სიცოცხლე იქ არის, თქვენს ხელში; მე ხომ ყოველთვის მამასავით ვიყავი თქვენთვის. ყოველთვის პატივს მცემდით, ღმერთმანი, ახლა კი... ფიქრობთ, რომ თქვენგან ვენდეტას არ შევუშინდები? მენდეთ, გამიშვით შინ და მერწმუნეთ, რომ ფულსაც მიიღებთ.

აღარ უპასუხიათ. კვლავ ერთმანეთს გადახედეს და ხოხვით გამოვიდნენ გამოქვაბულიდან.

მთელი დღის განმავლობაში აღარ უნახავს ისინი. ერთხანს ესმოდა, როგორ კამათობდნენ გარეთ. მერე კი აღარაფერი ესმოდა.

ელოდა. თან გონებაში ატრიალებდა ყველა სავარაუდო გადაწყვეტას. ერთი რამ კი ნაღდი ეჩვენა: სამი ბრიყვის ხელში ჩავარდნილიყო, სამი ახალბედისა, იქნებ, მათი პირველი დანაშაული იყო ეს.

ბრმად ეძგერნენ საქმეს, თავიდან არ გაუთვალისწინებიათ მისი ოჯახური მდგომარეობა, მხოლოდ თავიანთ ფულზე ფიქრობდნენ. ახლა, როცა დარწმუნდნენ ჩადენილ შეცდომაში, აღარ იცოდნენ, რა ექნათ, და გამოსავალს ვერ ხედავდნენ. იმის ფიცს, რომ გვარნოტა არ განაცხადებდა, არც ერთი მათგანი არ ენდობოდა. სხვებზე ნაკლებად მანუცა, რომელიც იცნეს. და მაშინ?

მაშინ აღარაფერი რჩებოდა იმ სურვილის გარდა, რომ სამიდან რომელიმეს თავში არ მოსვლოდა სინანული ამაოდ ჩადენილი სისულელის გამო და მასთან ერთად მისი სამუდამოდ წაშლის სურვილი კეთილ გზაზე დასაბრუნებლად; რომ სამივეს, თუკი ყოველგვარი კანონის გარეშე ცხოვრება გადაწყვიტეს და სხვა ავკაცობების ჩადენა, ამასობაში არ მიეჩნიათ სავალდებულოდ ამ წარუმატებელი დასაწყისის ყოველგვარი კვალის განადგურება და, ამგვარად, კიდევ უფრო არ დაემძიმებინათ სინდისი. რადგან თუ აღიარებდნენ შეცდომას და მაინც განიზრახავდნენ ყაჩაღობის გაგრძელებას, შეეძლოთ შეენარჩუნებინათ მისთვის სიცოცხლე და არ ენაღვლად იმაზე, განაცხადებს თუ არა; მაგრამ თუ მოინანიებენ და კეთილ გზაზე დაბრუნებას გადაწყვეტენ, მაშინ მათთვის სრულიად აშკარა დაბეზღებისგან თავის დასაცავად იძულებულნი იქნებოდნენ მოეკლათ.

აქედან კი გამომდინარეობდა, რომ ღმერთი უნდა დახმარებოდა მათთვის გონების გახსნაში, რათა შეეგნოთ, რომ არავითარი სარგებელი არ ეყარა კეთილშობილების შენარჩუნებაში. ეს კი ძნელი არ იქნებოდა, რადგან მისი დაჭერით წარწყმედაში ჩავარდნის კეთილი განზრახვა უკვე საკმაოდ დაამტკიცეს. მაგრამ საშიში რჩებოდა იმედგაცრუება, რომელიც შეიძლებოდა სინანულში გადაზრდილიყო და ასე მარცხიანად დაწყებული გზიდან შემობრუნების სურვილად გადაქცეულიყო. უკან დასაბრუნებლად და ყველა კვალის წასაშლელად კი ლოგიკა, რა თქმა უნდა, ახალ დანაშაულს კარნახობდა; მაგრამ თუ მისი თავიდან აცილების საშუალებებს განიხილავდნენ, განა იმავე ლოგიკას არ უნდა ეკარნახა, რომ ამის ერთ-ერთი ხერხი სხვა დანაშაულთა საძებნელად მოლიპულ გზაზე გასვლის ცდა იქნებოდა? ამიტომაც აჯობებდა ეგ ერთი და სამუდამოდ გაუმხელელი და უკვალოდ დარჩენილი ჩადინათ დასაწყისშივე, ვიდრე მის არჩადენას მოყოლილი მრავალი სხვა - საქვეყნო და აშკარა. ამ ერთი დანაშაულის ფასად კიდევ რჩებოდათ გადარჩენის იმედი, თუ თავიანთი სინდისის არა, კაცთა წინაშე მაინც. და თუ მის თავიდან აცილებას მოინდომებდნენ, ნაღდად დაიღუპებოდნენ.

ამ მტანჯველი მსჯელობის ერთადერთი დასკვნა ის იყო, რომ დღეს ან ხვალ, იქნებ, ამაღამვე, ძილში მას აუცილებლად მოკლავდნენ.

ელოდებოდა, სანამ გამოქვაბულში არ ჩამობნელდა.

მაშინ მოუვიდა აზრად, რომ ეს სიჩუმე და დაღლილობა მასზე დაძინების შიშზე უფრო მეტად იმძლავრებდა, ამიტომაც ცხოველურმა ინსტინქტმა თავით ფეხამდე აკანკალა და ასე ჯერაც ხელფეხშეკრულს უბიძგა გამოსასვლელისკენ გახოხებულიყო მატლივით. ძალიან დიდ წვალებად დაუჯდა ამ თავისი თავზარდაცემული ინსტინქტის დარწმუნება, რომ რაც შეიძლება ნაკლებად ეხმაურა. ოღონდაც მერე, ნეტა რისი იმედი უნდა ჰქონოდა, თავს გარეთ ხვლიკივით რომ გამოყოფდა სოროდან? არაფრის! ცას მაინც დაინახავდა და სიკვდილსაც ღია ცის ქვეშ გაუსწორებდა თვალს. ქურდულად ძილში მაინც არ მიეპარებოდნენ.

აჰა... ჩუმად! მთვარის შუქი იყო? ჰო, ახალი მთვარე და უთვალავი ვარსკვლავი... რა საღამოა! სად იმყოფებოდა? მთის წვერზე... რა ჰაერია და რა სხვანაირი სიჩუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე! ის იქნებ კალტაფარაჩის მთაა, ან სან ბენედეტო... ის კიდევ? კონსოლიდას ზეგანია თუ კლერიჩის? აი ის კი, დასავლეთის მხარეს, ნამდვილად კარაპეცას მთა უნდა იყოს. მაშინ ეს მოფრთხიალე სინათლეები რაღაა, ციცინათელების გუნდებს რომ გვანან მთვარის ქაშანურისფერ შუქში? ნუთუ ჯირჯენტია? ესე იგი... ღმერთო ჩემო, ესე იგი შორს არ წაუყვანიათ? მას კი ეგონა, რომ იმდენი იარა, იმდენი რომ...

გარშემო მიმოიხედა, თითქოსდა იმის იმედი აშინებდა, რომ ისინი წავიდნენ და იქ მიატოვეს მარტო.

სამთაგან ერთ-ერთი, შავი და უძრავი მთის თიხოვან შვერილზე ვეება ჭოტივით დაყუდებულიყო და მკაფიოდ იკვეთებოდა მთვარეული ცის სიბაცეში. ეძინა?

ოდნავ წინ წაიწია, მაგრამ მკლავებში ღონემ იმწამსვე უმტყუნა იმის ხმის გაგონებაზე, ვინც ადგილიდან გაუნძრევლად ეუბნებოდა:

- გხედავთ, დონ ვიჩე! უკან გაბრუნდით, თორემ გესვრით.

გაინაბა, თითქოს ცდილობდა თავის მეცნიხოვნეში შეცდომის შეგნება განემტკიცებინა. გაუნძრევლად უთვალთვალებდა. მაგრამ ყარაულმა გაიმეორა:

- გიყურებთ.

- მაცალე, ჰაერი ჩავისუნთქო, - უთხრა მაშინ, - თორემ დავიხრჩობი. ასე გინდათ დამტოვოთ? მწყურია.

ყარაული მუქარით წამოიწია.

- ჰოდა, ასე დარჩენა თუ გნებავთ, კრინტიც არ უნდა დაძრათ! მეც თქვენსავით მშიერ-მწყურვალი ვარ. ჩუმად იყავით, თორემ უკან დაგაბრუნებთ.

დუმილი. მხოლოდ მთვარე ამჟღავნებდა ზეგნებისა და მთების სიმშვიდეს... და კიდევ ეს ჰაერი რაღაცნაირ ნუგეშს სცემდა... და მისი სოფლის სინათლეების შორეული კვნესა...

ორი დანარჩენი კი სადღა წავიდა? ნუთუ ამას დაავალეს ღამით მისი მოკვლა? და რატომღა აყოვნებს? რას უცდის? იქნებ იმ ორის მოსვლას ელოდა ღამით?

ერთხელაც დააპირა ლაპარაკი, მაგრამ თავი შეიკავა. მით უმეტეს, თუ მაინც ასე გადაწყვიტეს...

ისევ იმ შვერილს გახედა, სადაც ყარაული იჯდა: მას კვლავ წინანდელი მდგომარეობა მიეღო. ვინ იყო? ხმაზე მოეჩვენა, რომ ერთი იყო გროტედან - გოგირდის მაღაროების იქით მდებარე დიდი სოფლიდან. ნუთუ ფილიკოა? კარგი კაცი, ერთგული, მშრომელი და სიტყვაძუნწი... ვაი გვარნოტას, თუ მართლა ის იყო! ამ მკაცრსა და მდუმარე კაცსაც თუ დაუცდა ფეხი, მაშინ მართლა ვაი გვარნოტას!

თავის დაჭერა ველარ შეძლო და თითქმის უნებური, ყოველი განზრახვისგან დაცარიელებული ხმით, რომელიც ყარაულამდე ისე უნდა მიეღწია, თითქოს არავის პირიდან არ გამოსულიყო, ისე წარმოთქვა, რომ არ უკითხავს:

- ფილიკო...

ყარაული არ განძრეულა.

გვარნოტამ ერთხანს დაუცადა, მერე კი წარმოთქვა იგივე ხმით, თითქოს ვიღაც სხვა ლაპარაკობდა და ქვიშაზე რაღაც ნიშნების გამომყვან თითს უთვალთვალებდა:

- ფილიკო...

ახლა კი ზურგზე ჟრუანტელმა დაუარა როცა წარმოიდგინა, რომ თითქმის უნებურად ამ სახელის წარმოთქმის დაჟინება შეიძლება ტყვიის ფასად დასჯდომოდა.

მაგრამ ყარაული არც ამჯერად განძრეულა. მაშინ გვარნოტამ უკიდურესი დაღლილობის ერთ ოხვრაში მოაქცია თავისი მწვერვალამდე ასული სასოწარკვეთა და მიწას მიანდო თავის მკვდარი სიმძიმე, თითქოსდა მის დასაჭერად უკვე არც ძალა გააჩნდა და არც სურვილი. და ასე, ქვიშაზე დადებული სახით, ისე რომ პირში ქვიშა შესდიოდა, როგორც მკვდარ ცხოველს, აღარაფრად ჩააგდო ხმის ამოღების აკრძალვა და ლაპარაკი დაიწყო, - გაუთავებელი მეოცნებე ბოდვა. ლაპარაკობდა მშვენიერ მთვარეზე, რომელიც მალე ჩაესვენებოდა, ლაპარაკობდა ვარსკვლავებზე, რომლებიც ღმერთმა შექმნა და ასე შორს განალაგა, რათა პირუტყვებს არ სცოდნოდათ დედამიწაზე ბევრად დიდი ზომის ურიცხვ ქვეყნიერებათა არსებობა; დედამიწაზეც ილაპარაკა, რომ მხოლოდ პირუტყვებმა არ იციან, რომ იგი დოლაბივით ბრუნავს და თავისი გულის მოსაოხებლად ისიც თქვა, რომ ახლა არიან ადამიანები, რომლებიც თავდაღმა ჰკიდიან, მაგრამ მაინც არ ვარდებიან ცაზე იმ მიზეზთა გამო, რომელთა ცოდნისათვის ყოველი ქრისტიანი უნდა გაისარჯოს, თუკი მთლად თიხისგან და ტალახისგან არ არის მოზელილი, იმ ჭუჭყისგან, რომელსაც ღვთის წმიდა სული არ მობერვია.

და ამ ბოდვაში მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მართლაც ასტრონომიაზე ლაპარაკობდა, როგორც პროფესორი ელაპარაკებოდა მას, ვინც ნელ-ნელა მიუახლოვდა, გვერდზეც კი დაუჯდა გამოქვაბულის შესასვლელთან და რომელიც სწორედ რომ ფილიკო იყო გროტედან, რომელსაც უკვე დიდი ხანია რაც ამეების გაგება უნდოდა, თუმცაღა კარგად ვერ ხვდებოდა და არც მთლად მართალი ეგონა ეს ყველაფერი: ზოდიაქო... ირმის ნახტომი... ნისლოვანება...

ჰო. ასეც ხდება. რატომ არის, რომ, როცა უკვე აღარ შეგიძლია, როცა სასოწარკვეთილებაში ყოველი ღონე დახარჯე, ამაზე უფრო სასაცილო რამეც შეიძლება მოგივიდეს?! დამიზნებული თოფის ქვეშ შეიძლება სულ უბრალოდ საგულდაგულოდ დაუწყო წმენდა ფრჩხილებს ჩალის ღერით, თან ყურადღება დაატანო, რომ არ გატყდეს და არ გაილუნოს. ან პირში თითს ჩაიყოფ, - დიახ, ბატონებო, - დარჩენილი კბილების მოსასინჯად: იმ სამი მჭრელისა და ერთადერთი ეშვისა. ან კიდევ, ბატონებო, იმაზე დაიწყებ ფიქრს, სამი თუ ოთხი შვილი რომ ჰყავს შენს მეზობელ მეკასრეს, რომელსაც ორი კვირის წინ ცოლი მოუკვდა.

- სერიოზულად ვილაპარაკოთ. მითხარი ერთი, სინდისს გაფიცებ, რა გგონია რომ ვარ, - ბალახის ღერო?.. აი, ამნაირი ბალახის ღერო, რომელიც ასე ადვილად შეიძლება ამოგლიჯო? აბა ერთი ხელი დამადე! ღმერთმანი, ხორცისგან ვარ მეც! და სულიც ღმერთმა მომცა, როგორც შენ. რა, გინდათ, რომ ძილში დამკლათ? არა... მოიცა... გამიგონე... რა, მიდიხარ უკვე? ჰო, სანამ ვარსკვლავებზე გიყვებოდი... გამიგონე, რას გეტყვი: დამკალი, აქ დამკალი, სანამ თვალები ღია მაქვს, ქურდულად ნუ დამადგები ძილში... რას ამბობ? არ გინდა მიპასუხო? რაღას უცდი? რაღას უცდით, შეიძლება ვიცოდე? ფულს ვერ მიიღებთ. აქ ჩემს რჩენას ვერ შეძლებთ. ჩემი გაშვება არ გინდათ... გინდათ მომკლათ? ჰოდა, მომკალი, შენი ღმერთიც არ იყოს, და აღარ იფიქრო მეტი ამაზე!

ვის მიმართავდა? მისი ყარაული ისევ კლდის შვერილს დაუბრუნდა და ზედ მოიკალათა ჭოტივით იმის საჩვენებლად, რომ კმარა, ამაზე ლაპარაკიც არ სურს.

ისე, კაცმა რომ თქვას, გვარნოტას რაღა უნდოდა! თუ მაინც კლავდნენ, განა არ ჯობდა ძილში მოეკლათ? უფრო მეტიც, თუ გვიან მოვიდოდნენ გამოქვაბულში, როცა მლვიძარი იქნებოდა, როგორც კი გაიგონებდა მათი ხოხვის ჩქამს, თვითონვე დახუჭავდა თვალებს და თავს მოიმძინარებდა. ისე კი რა თვალები, რის თვალები! სიბნელეში რად უნდოდა თვალების დახუჭვა! საკმარისი იქნებოდა უძრავად ყოფილიყო, როცა მოვიდოდნენ და თითებით დაიწყებდნენ მისი ყელის ძებნას, თითქოს ცხვარი ყოფილიყოს.

- ღამე მშვიდობისა, - წარმოთქვა.

და უკანვე გახოხდა.

ოღონდაც არ მოუკლავთ.

მიხვდნენ შეცდომას და არ ისურვეს მისი გაშვება. არც მოკვლა. იქ დატოვეს.

როგორ, სამუდამოდ?

სანამდე ღმერთი ინებებდა. ღმერთს მიანდეს თავიანთი თავი: ადრე თუ გვიან, იმისდა მიხედვით, როგორ ინებებდა იგი მათ დასჯას ჩადენილი ცოდვისთვის.

რას გულისხმობდნენ ნეტავი? რომ გვარნოტა იქ მოკვდებოდა, მთაში, ბუნებრივი სიკვდილით? ამას გულისხმობდნენ?

სწორედ რომ ამას.

- რის ღმერთი, რა ღმერთი! თქვე პირუტყვებო, განა ღმერთი მომკლავს? თქვენ მომკლავთ აქ შიმშილით, წყურვილით, სიცივით, პირუტყვივით ხელფეხშეკრულს ამ გამოქვაბულში ამომხდება სული მიწაზე ძილისგან, აქვე ცხოველივით მიწაზე რომ ვიზამ ყველაფერს!

ვის ეუბნებოდა? სამივე ღმერთს მიენდო, ჰოდა გინდ მათთვის ეთქვა და გინდ ქვებისთვის.

თუმცაღა შიმშილით სიკვდილი მართლაც არ ემუქრებოდა. არც მიწაზე ძილი იყო მართალი. ნამჯის სამი კონა მოუტანეს, რომ საწოლი მოეწყოთ მისთვის, და უხეში მაუდის მოსასხამიც, სიცივისაგან დასაფარავად. კიდევ ყოველდღე უზიდავდნენ პურსა და სხვა საჭმელს. და თუ ვილაცას პირიდან აცლიდნენ ამ პურს, ხომ ისევ საკუთარ ცოლ-შვილს აკლებდნენ; მისთვის მისაცემად. და ეს პურიც ოფლისაგან პირისა მათისა იყო მოწეული, რადგან როცა ერთი მათგანი ყარაულობდა ღამით, ორი დანარჩენი სამუშაოდ მიდიოდა. თიხის დოქშიც სასმელი წყალი იყო, რომელიც ღმერთმა იცის რა გაჭირვებით იყო ნაშოვნი ამ გვალვიანსა და მოწყურებულ მხარეში. ჰოდა, სხვა მოთხოვნილებებს რაც შეეხება, ამისათვის საღამოობით გამოქვაბულიდან გამოსვლის ნებას რთავდნენ.

- როგორ, შენს თვალწინ?

- ქენით, მე არ გიყურებთ.

ამ ბრიყვული სიჯიუტის წინაშე ბავშვივით ფეხების ბაკუნს ხომ არ მოყვებოდა? მართლა ქვისა იყვნენ თუ რა? ვინ იყვნენ, ბოლოსდაბოლოს?

- ხომ აღიარეთ, რომ შეცდით? ჰო თუ არა?

აღიარებდნენ.

- ხომ აღიარებთ, რომ უნდა ზღოთ ამ შეცდომისათვის?

დიახ, ოღონდ მისი მოკვლით კი არა, არამედ ღვთისგან მისი სიკვდილის დალოდებით და იმით, რომ ყოველანაირად შეუმსუბუქებდნენ ამით მიყენებულ ტანჯვას.

- კეთილი! ეს თქვენთვის, თქვე პირუტყვებო, იმ ბოროტებისთვის, რაც თქვენვე აღიარეთ! მაგრამ მე? მე რა შუაში ვარ? მე რაღა ჩავიდინე? განა თქვენი შეცდომის მსხვერპლი არა ვარ, ჰო თუ არა? მეც მაზღვევინებთ თქვენს მიერ ჩადენილ ბოროტებას, თუმცა არაფერი დამიშავებია. განა კი ასე უნდა ვიტანჯო თქვენი შეცდომისათვის? ასე მსჯელობთ, არა?

მაგრამ არა, ისინი საერთოდ არ მსჯელობდნენ. მხოლოდ უსმენდნენ, უგრძნობნი და მდუმარენი, უმოძრაო და უმაქნისი თვალებით მისჩერებოდნენ, მათი ველური და თიხისფერი სახეებით. აქ ნამჯის საწოლი... იქ - მოსასხამი... კიდევ წყლით სავსე დოქი... ოფლით მოწეული პური... და მობრძანდით, ღია ცის ქვეშ მოისაქმეთ!

განა სათითაოდ არ სწირავდნენ თავს ყოველდამე მისი ყარაულობით და მასთან დროის გატარებით? თანაც ვარსკვლავებზე ალაპარაკებდნენ და ქალაქისა და სოფლის ამბებზეც, წარსული დროის ღირშესანიშნავ წლებზე, როცა ხალხს ღმერთი სწამდა, და კიდევ მცენარეების იმ დაავადებებზე, რომელთა შესახებ, როცა ხალხს ღმერთი სწამდა, არავის სმენოდა. ჰოროსკოპების ერთი ძველი წიგნიც მოუტანეს, ვინ იცის, სად ნაპოვნი, რომ კითხვით თავი შეექცია მას, ვისაც წერა-კითხვის ცოდნის იღბალი მიჰმადლა ღმერთმა.

- რაო, რა დაუბეჭდიათ იქ, მთვარეც რომ დაუხატავთ და სასწორიც, და კიდევ ის თევზები და ის ღრიანკალი?

გვარნოტას საუბრების მოსმენისას მათში ცოდნის დაუძლეველი წყურვილი იღვიძებდა, ბავშვური გაოცებით აღსავსე, რომლებშიც მოხუცი თანდათანობით რაღაცნაირ გემოს გრძნობდა, თითქოსდა რაღაც ცოცხალი იბადებოდა ყოველივე იმისგან, რასაც ამ საუბრებში თავისთვისაც პოულობდა, - რაღაც ახალს, - და სულისგანაც, რომელსაც უკვე მრავალი წელია, რაც ჩასძინებოდა მისი საშვალალო არსებობის ტკივილში.

ჰოდა გრძნობდა, რომ მისთვისაც იწყებოდა ახალი ცხოვრება. ცხოვრება, რომელსაც მისჩვეოდა მას შემდეგ, რაც გარდაუვალობის წინაშე ბოლმა გაუქრა და უკვე აღარ ფიქრობდა რომ იგი უბადრუკი იყო, გაურკვეველი, უცნაური და სიცარიელეში გამოკიდული.

ყველასათვის, ვინც კი ზღვის ნაპირას გადაშლილ მის შორეულ ადგილ-მამულში დარჩა და იმ სოფელში, რომლის სინათლეებიც ღამ-ღამობით ჩანდა, იგი უკვე მკვდარი იყო. იქნებ არც არავინ განძრეულა მის საძებნელად იდუმალი გაუჩინარების შემდეგ. და თუ ეძებდნენ, რა თქმა უნდა, უხალისოდ, რადგან არავის ედარდებოდა მისი დაკარგვა.

და რახან გული იმ გამოქვაბულის თიხაზე უფრო მშრალი და უნაყოფო გაუხდა, რატომღა უნდა სდომებოდა იქ, თავის წინანდელ ცხოვრებაში დაბრუნება? განა მართლა ჰქონდა რამე სინანულის მიზეზი იმ საგნების დაკარგვის გამო, რომელთა ხელახლა პოვნა პირვანდელი მოწყენილობის ფასად დაუჯდებოდა? განა იმ აუტანელი ნაღველით სავსე ცხოვრებას გულდამძიმებული არ მიათრევდა? აქ მიწაზე წვებოდა მაინც და აღარ მიათრევდა საკუთარ თავს.

მისი დღეები მაღალი მთის დუმილში გადიოდა, თითქმის დროის მიღმა, ყოველი საზრისისგან დაცლილნი და სრულიად უმიზნოდ. იმ გარინდულ სიცარიელეში თვით ცნობიერებაც წყვეტდა თავის შინაგან ქმედებას: საკუთარ მკლავსა და გამოქვაბულის თიხოვან კედლებს ისე უყურებდა, თითქოს ერთადერთი არსებული საგნები ყოფილიყვნენ; და თუ საკუთარ ხელს შეხედავდა, ეგონა, თითქოს ეს ხელი თავისთვის არსებობდა, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად. და ის ქვაც და ის ბუჩქიც ხომ საშინელ განმარტოებაში არსებობდნენ.

და როგორც კი მიხვდა, რომ რაც კი თავს გადახდა სულაც არ იყო ისეთი უბედურება, თავიდან რომ ეჩვენებოდა უსამართლობისა და ბოლმის გამო, ისიც შენიშნა, რომ მისი ცოცხლად შენახვა კარგა მძიმე და სასტიკი სასჯელი იყო მათთვის, ვინც იგი ნებაყოფლობით დაკისრა საკუთარ თავს.

ყველასათვის მკვდარი მხოლოდ მათთვის რჩებოდა ცოცხლად, და თავისი ამაო სიცოცხლით, რომლისგან გათავისუფლებულად გრძნობდა თავს გულის სიღრმეში, მათვე აწვებოდა. სულ ადვილად შეეძლოთ მიეგდოთ იგი, ტვირთი, რომელიც აღარავისთვის იყო ღირებული, რომლის დარდიც აღარავის ჰქონდა. და მაინც ინახავდნენ, მის არსებობას იტანდნენ თავზე აღებულ სასჯელს შერიგებულნი. და არა მარტო არ ჩიოდნენ, არამედ ცდილობდნენ უფრო ძნელი გაეხადათ სასჯელის აღსრულება იმ ზრუნვით, რომელსაც იჩენდნენ. რადგანაც, ბატონებო, მიეჩვივნენ და შეუყვარდათ კიდეც. სამივე ისე შეუყვარდა, თითქოს რაღაც ისეთი ყოფილიყო, რაც მხოლოდ მათ ეკუთვნოდა და სხვას არავის, დიახ, სხვას არავის. ეს ყველაფერი იდუმალ კმაყოფილებას ანიჭებდა მათ, კმაყოფილებას, რომელიც, თუმცა კი მათ სულებს მისი არავითარი აუცილებლობა არ უგრძნიათ, რომ წართმეოდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ცხოვრების განმავლობაში იგრძნობდნენ მის ნაკლებობას.

ფილიკომ ერთ დღეს გამოქვაბულთან თავისი ცოლი ამოიყვანა, რომელსაც მკერდზე მიკრული ჩვილი ვაჟი ეჭირა, ხელი კი პატარა ქალიშვილისთვის ჩაეკიდა. გოგონას ბაბუასათვის მრგვლად გამომცხვარი პური მოჰქონდა.

რა თვალებით უყურებდნენ მას დედა-შვილი! გატაცების დღიდან უკვე მრავალ თვეს უნდა გაევლო და ვინ იცის, რას დაემსგავსა ამ დროის განმავლობაში: წვერი ბარდებივით მოსდებოდა ლოყებსა და ნიკაპს, ბინძური იყო და დაკონკილი... მაინც იცინოდა, რომ კარგად დახვედროდა სტუმრებს, მადლიერი იყო საჩუქრისათვის, იმ მრგვლად გამომცხვარი პურისთვის. თუმცაღა სწორედ ამ ნაშლილ სახეზე გამოჩენილი ღიმილი ყველაზე უფრო აშინებდა ქალსა და ბავშვს.

- არა, ლამაზო, აქ მოდი... აქ მოდი... აი, ცოტას მოგიტეხავ, ჭამე... დედამ გამოაცხო?

- დედამ...

- ყოჩაღ! ძმები თუ გყავს? სამი? ეჰ, საბრალო ფილიკო, ოთხი შვილის მამა ყოფილა... მომიყვანე ბიჭებიც, მინდა გავიცნო. ჰო, იქითა კვირას. ოღონდაც იმედი ვიქონიოთ, რომ არ დამიდგება...

დაუდგა. ღმერთმა ინება, რომ ხანგრძლივი, სწორედ რომ ხანგრძლივი ყოფილიყო სასჯელი. კიდევ ორი თვით გააგრძელა!

კვირადღეს მოკვდა, მშვენიერ საღამოს, როცა მაღლა ჯერ კიდევ სინათლე იყო, როგორც დღისით. ფილიკომ თავისი ბიჭები მოიყვანა ბაბუას სანახავად და მანუცამაც. ამ ბავშვებით გარშემორტყმული მოკვდა, როცა ეხუმრებოდა მათ, თვითონაც ბავშვად ქცეული, აბურდულ და ჭუჭყიან თმებზე წითელი ხელსახოცით.

სამმა ყაჩაღმა შეამჩნია. მიწიდან წამოსწიეს, როგორც კი მოულოდნელად წაქცეული დაინახეს, როცა იცინოდა და ბავშვებსაც აცინებდა.

მოკვდა?

ბავშვები მოაშორეს, ქალებს მიაბარეს. მერე კი დაიტირეს, დაიტირეს მუხლებზე დაჩოქილებმა მისი გვამის გარშემო. ღვთის მიმართაც ილოცეს - მისთვისაც და საკუთარი თავებისთვისაც. მერე კი გამოქვაბულის მახლობლად დაასაფლავეს.

მერე, მთელი ცხოვრების განმავლობაში, თუ კი მათ გასაგონად ვინმე გაიხსენებდა გვარნოტასა და მის იდუმალ გაუჩინარებას, ამბობდნენ:

- წმიდა კაცი იყო! ეგ ნამდვილად პირდაპირ სამოთხეში შევიდა თავის ქალამნებიანად!

რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ განსაწმენდელი ამქვეყნადვე მოუწყვეს მას, იქ, მაღლა მთაში.

იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ

**არილი**





თამარ სუხიშვილი

# "უსუმპლუსორ, უსუმპლუსორ"

## ანუ „ჯაზი" თბილისში




როგორც ჩვენში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, თბილისში 28-30 სექტემბერს გამართულ ჯაზ-ფესტივალს დედაქალაქის მუსიკის მოყვარულთა ერთი ნაწილი აღტაცების ოვაციებით, - ნაწილი კი ერთგვარი სკეფსისით შეხვდა. ეს უკანასკნელნი ამტკიცებდნენ, რომ ეს არ არის ნამდვილი ჯაზი, გასტროლიორები კი არც იმდენად დიდი ჯაზმენები არიან, თაყვანისმცემლებსა და ჟურნალისტებს ფოტოს გადაღების ნება რომ არ დართონ (თუმცა, მაყურებელთა აზრით - და ეს აზრი არცთუ უსაფუძვლო ჩანდა - ეს ყველაფერი "ისთერნ პრომოუშენის" ახირებას უფრო ჰგავდა, ვიდრე შემსრულებელთა კაპრიზსა თუ მოთხოვნას), რომ პონტი არცთუ ისე "კაი პონტია" და ა.შ.

მიუხედავად ამ განსხვავებული აზრებისა, ფილარმონიის დარბაზი სამ მეოთხედამდე მაინც გაივსო. უნდა ითქვას, რომ მიმზიდველი იყო ფესტივალის ემბლემა, რომელიც დანახვისთანავე გაახსენებდა კაცს პეპი გრძელწინდას შავკანიან მეგობრებსა და მათ



ზოლი კოპაძე



ოთხი წლის ჟან ლუკი

ზანგურ შეძახილს - "უსუმპლუსორ, უსუმპლუსორ", და ძალაუნებურად ბილეთიანსაც და უბილეთოსაც ტამტამის რიტმზე ფილარმონიის დარბაზისკენ ეწეოდა. თუმცა, უბილეთოებს ახალ ქართულ რიტმზე აწყობილი დაცვაც ხვდებოდა კარებში და "ახლა შენი დროას" მოტივზე შეთხზული გაზეპირებული ტექსტით: უბილეთოების დრო წავიდა, ახლა სხვა დრო დადგაო, - უკან ისტუმრებდა.

ასე დაიწყო ჯეოსელის ჯაზ-ფესტივალი 2000. ფესტივალის პირველ დღეს ქართველი მსმენელი განსაკუთრებული ინტერესით ელოდა ჯაზ-როკის შემსრულებელ ცნობილ ფრანგ მევიოლინეს ჟან-ლუკ პონტის. ალბათ იმიტომაც, რომ ვიოლინოს ნაკლებად მოიხსენიებენ თანამედროვე ჯაზის ინსტრუმენტებს შორის. "პონტის ფართო საზოგადოება იცნობს, როგორც ნოვატორს, რომელმაც თავისი უნიკალური ხედვა და ფანტაზია თანამედროვე მუსიკალური ლექსიკონის გასამდიდრებლად გამოიყენა", - ვკითხულობთ ფესტივალის პროგრამაში. პონტისა და მისი ჯგუფის მუსიკა არის ჯაზის, როკის, პოპის, კლასიკის, ფოლკის ნარევი. დასარტყამისა და ტამტამის რიტმს ჰარმონიულად ერწყმის ვიოლინოს ბგერა (პიციკატო-არკოს მონაცვლეობა) და შემსრულებელიც და მსმენელიც ამ ჰარმონიაში იძირება. ეს არის მირაჟი (ასეთი სახელწოდება ჰქონდა ერთ-ერთ შესანიშნავ კომპოზიციას; სხვათა შორის, ფესტივალზე ამ სახელწოდების რამდენიმე კომპოზიცია იქნა წარმოდგენილი), რომელიც გვაგრძნობინებს, რომ ადამიანი და მუსიკა ერთ მთლიანობად ქცეულა.

პონტის დაბადების დღე - 29 სექტემბერი მუსიკოსის თბილისში ვიზიტს დაემთხვა. ფრანგმა მევიოლინემ გამოსვლა საკუთარი დაბადების დღის დადგომამდე სულ რაღაც ნახევარი საათით ადრე დაამთავრა. ამ დაბადების დღეს კი ქართველ მსმენელს სხვა სიურპრიზიც ელოდა. ოთარ მაღრაძის კვარტეტის, დათო ევგენიძის კვინტეტისა და აზერბაიჯანული ჯგუფის - "რასტის" გამოსვლის შემდეგ ფილარმონიის სცენაზე განსაკუთრებული ძალითა და დინამიურობით გამორჩეული დრამერის ბილი კობემის (აშშ) ჯგუფი გამოჩნდა და მაყურებელმა მაშინვე იგრძნო ნამდვილი ჯაზის ხიბლი. აქ ჯაზის შესრულებისას აქცენტი გადატანილი იყო ჯგუფის თითოეული წევრის სოლო შესრულებაზე. დასარტყამის, საქსოფონის, ბასისა და კლავესინის შეჯიბრს ერთი თემის სხვადასხვა ვარიაციების შესრულებაში ერთი შეხედვით თითქოს ანეიტრალებდა თანმდევი ჰარმონიული ფონი, მერე კი ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა.

კარგი მუსიკოსისთვის დამახასიათებელი თვისებებად პიანისტი თედი უილსონი შემდეგ ღირსებებს ასახელებს: "ბალანსი, ხასიათი, ჰარმონიული ალღო, მღელვარე ემოციურობა, საშემსრულებლო ტექნიკა, ორიგინალურობა..."

ამ თვისებათა გამო მოიწონა ქართველმა მსმენელმა ბილი კობემი და 31 წლის ნიუ-იორკელი საქსოფონისტი დერიკ ჯეიმსი, რომლის ემოციურმა შესრულების მანერამ, თავისუფლებამ, ხალისიანობამ და პლასტიკამ მთელი დარბაზი "აიყვანა". მართალია, კონცერტის დასასრულს ჯეიმსმა პუბლიკა გააფრთხილა, სანამ შესანიშნავ ქართულ წითელ ღვინოს დავლევდეთ, რამდენიმე კომპოზიციას კიდევ შევასრულებთო. მაგრამ დარბაზის "ბისმა" ღვინის დასალევად წასული მუსიკოსები ლამის შუა გზიდან მოაბრუნა.

სექტემბრის ბოლო დღეს მიშელ ურბანიაკისა და ჯგუფ "ურბანიაქსის" გამოსვლამ, როგორც დამსწრენი ამბობდნენ, "დახურა" და ფესტივალიც დახურა. მევიოლინესა და საქსოფონისტს - მიშელ ურბანიაკს კარგად იცნობენ, როგორც 70-იანი წლების Fusion-ისა და 90-იანი წლების Ac:d Jazz-ის ერთ-ერთ ფუძემდებელს. ის 15-მდე ფილმის მუსიკის ავტორია, ჩაწერილი აქვს 40-მდე ალბომი. ქართველი მსმენელისთვის არც ურსულა დუძიაკის სახელია უცხო. ეს იცი ვინ არის? - ქალი ბობ მარლეი, - ასე მარტივად და გასაგებად დაუხასიათა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ვოკალისტი ერთმა მსმენელმა თავის მეგობარს. ხოლო მუსიკისმცოდნეებს თუ დავიმოწმებთ, დუძიაკმა საკუთარი მკაფიო და გამორჩეული სტილი შექმნა - ის ისე იყენებს თავის ხმას, როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტს. ამჟამად მუშაობს ალბომზე "I'm Too Busy To Cry". ქართველმა მაყურებელმა უკვე საკუთარი თვალით იხილა მისი ინდივიდუალურობა. ურბანიაკმა და ურსულამ სცენაზე გამოსვლისთანავე დაიპყრეს დარბაზი და თვით ჯაზის არცთუ დიდად მოყვარულნიც კი აღფრთოვანებულნი დატოვეს.



მიშელ ურბანიაკი

"ადამიანისთვის სიამოვნების მინიჭება უფრო მეტია, ვიდრე მთელი მსოფლიოს ქონება", - ამბობდა ლუი არმსტრონგი. ვერ გეტყვით, დღევანდელი უთავბოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში რამდენად დამაჯერებლად ჟღერს ლეგენდარული მუსიკოსის ეს სიტყვები ჩვენში; მთავარია, რომ მსმენელი კმაყოფილი დარჩა, და ფესტივალმა დღევანდელი უკმაყოფილების არცთუ უმნიშვნელო სპექტრში მცირე, მაგრამ სასიამოვნო დისონანსი შეიტანა.

არილი



ფრენკ ზაპა და ჟან ლუკ პონტი, 1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ფირალიშვილი

# იერონიმუს ბოსხი და DIVINA COMMEDIA

## წიგნის ფრაგმენტი

*Думаю, что если дьявол не существует и, стало быть, создал его человек, то создал он его по своему образу и подобию.*

ივან კარამაზოვი

სიკვდილთან მიმართება ნებისმიერი კულტურის ფუნდამენტური პრინციპია. მისი ხსოვნაც და დავიწყებაც ერთნაირად შეიძლება იქცეს კულტურის კონსტიტუციურ პირველსახედ და უმთავრეს დინამიკურ ძალად. ის კულტურა, რომლის აგენტადაც გვევლინება ბოსხი, ჩვენი ეპოქისაგან განსხვავებით, სიკვდილის რადიკალური ხსოვნით ხასიათდება. ჰაიდეგერი სწორედ ჩვენს ეპოქას, ნიცშესეულ უკანასკნელ ადამიანთა კულტურას გულისხმობს, როდესაც წერს, რომ "დამფარავი გაცლა სიკვდილისაგან ისე ჯიუტად ბატონობს ყოველდღიურობაზე, რომ ერთმანეთთან ყოფნაში "უახლოესი" მომაკვდავს მაინც არწმუნებს, რომ იგი სიკვდილს გაექცევა და თავის მიხედული სამყაროს დამამშვიდებელ ყოველდღიურობას დაუბრუნდება" (ყოფიერება და დრო). ეს ის ეპოქაა, როდესაც საუკუნეების განმავლობაში სიკვდილის იდეის დიქტატურის შემდეგ დასავლური კაცობრიობა უცნაურ მეტაფიზიკურ ზერელობას მიეცემა - სადღაც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებიდან, საშუალო ინტელექტუალის სალონურად მსუბუქი და ზერელე შეხედულებების ლეგალიზების ხანიდან, ენციკლოპედიზმის წყალობით ცოდნის განმარტებათა სისტემად ქცევის დროიდან, თანამიმდევრულად და მეთოდურად, გალანტური ოსტატობით რომ ათავისუფლებდნენ ადამიანს სიკვდილის თანაყოფნისაგან. ეს იყო სალონური ინტელექტუალიზმის, უკანასკნელი ადამიანის ინტერესთა ლეგალიზების დასაბამი, მეტაფიზიკური დაძაბულობისაგან გათავისუფლების მცდელობათა ხანა. სწორედ ამ ეპოქაში დაედო საფუძველი შუა საუკუნეების განხილვას როგორც სიბნელისა და ცრურწმენების ეპოქისა. ევროპა თავიდან იშორებდა ძველ პარადიგმებს და ეძიებდა ახლებს.

ამის საპირისპიროდ, შუა საუკუნეების კულტურის ქსოვილში სიკვდილის ხსოვნის ფონზე გათამაშებული უკიდურესი მეტაფიზიკური დაძაბულობა მთელს სამყაროს კონსტიტუცურ ხერხემლად ზნეობრივ და თეოლოგიურ კატეგორიებს უწესებს. ოსიპ მანდელშტამი წერს, რომ ჩვენთვის ახლა ძნელი წარმოსადგენია, მთელს ბიბლიურ კოსმოგონიას შუა საუკუნეების განათლებული ადამიანი როგორ იაზრებს ახალ გაზეთად, სახელდახელო საინფორმაციო გამოშვებად, სადაც ყველა მწველ კითხვაზე პასუხები შეიძლება იქნას მოძიებული (საუბრები დანტეზე). სიკვდილის რადიკალური ხსოვნა ბადებს იმ ექსტატურ სერიოზულობას, რომლითაც ბოსხის ეპოქის კულტურულ-ანთროპოლოგიური ტიპი საკუთარი თავისა და სამყაროს ყოველ გამოვლინებას ეკიდება და ყოველგვარად გაურბის ფსევდოარსებობის იმ ზერელე სტიქიას, რომელიც მოგვიანებით, იმავე გეოგრაფიულ სივრცეზე დაბადებული ახალი კულტურის მთავარ ნიშნად იქცევა. ჩვენი ეპოქის საპირისპიროდ, ამ ეპოქისათვის მეტაფიზიკური დაძაბულობის იობისეულ ზღვრამდე მიყვანა თვითიდენტიფიკაციის უმთავრესი ფორმაა, ხოლო ყოველივე, რაც მას წინ აღუდგება - ბოროტება.

ყოველივე ეს ერთგვარი გასაღებია იერონიმუს ბოსხის სივრცეში მოსახვედრად. კიდევ ერთ გასაღებს დანტე მოგვაწვდის, თუკი Divina commedia-ს დროის გაგების თვალსაზრისით წავიკითხავთ.



დროში მოძრავი ადამიანის სული გზად თავის ორეულებს ტოვებს. წარსული სავსეა ამგვარი ორეულებით. არსებითად, იგი სწორედ ამ წარმონაქმნებით არის კონსტრუირებული და ამიტომაც ექვემდებარება ათასგვარ ფსიქო და შიზოანალიზებს. ინდივიდუალური სული თავის კარიკატურულ ნაფლეთებს ტოვებს - საკუთარი რაობის იმდენად საშიშ თუ დამამცირებელ გამჟღავნებებს, რომ გულახდილობის ჟამს მათი ხილვა ძრწოლვას ჰგვრის.

წარსული სხვა არაფერია, თუ არა აწმყო, რომელიც ჩვენს თვალწინ იწყებს გასაგნებას და რომილსაც სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობა დაუკარგავს. და რამდენადაც მასში ველარაფერს შევცვლით, ვერც ველარავითარ იმედებს დავუკავშირებთ. თუკი ადამიანურ არსებობას რაიმე წყევლა დასდევს, ეს არის წარსულის ორეულთა თანაყოფნით არსებობა. ეს აჩრდილივით ადევნებული სივრცე უწყვეტად ივსება სულის ახლად გასაგნებული ფრაგმენტებით და ჩვენც მეტი და მეტი გულმოდგინებით ვეძებთ ჩვენს თავში იმ საკრალურ ინტუიციებს, რომელთა მეშვეობითაც მათ გაცოცხლება გახდება შესაძლებელი, თუმცა არსებობს იმის საშიშროებაც, რომ მის ტყვეობაში აღმოვჩნდებით და ზღაპრის გმირივით უკან მიხედვის შედეგად ქვის სვეტად ვიქცევით. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე მნიშვნელოვანი მეტაფორაა: არ შეიძლება სიცოცხლე და სიცოცხლისეულობა ვეძიოთ იქ, რამაც არ იცის სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობა. იგი არის ის, რაც არის. და შეუძლებელია სიცოცხლის მიგნება იქ, რაც თავისი არსით სულის მუმიფიცირების პროდუქტია.

რელიგიური აზროვნების ყველაზე პრიმიტიულ ფორმებშიც გასაგები იყო, რომ ცნობიერება იმგვარი დროითი "სუბსტანციით" არის აგებული, რომ ყოველივეს, რაც კი მის აქტუალურ რაობაში მოქცევას შეეცდება, მყისიერად წარსულში მოისვრის და ამით საკუთარ აჩრდილად აქცევს. დეკარტემ ერთი გამაოგნებელი რამ გაიაზრა, წერს მამარდაშვილი, მან გაიაზრა, რომ აზრისათვის ყველაზე საშიში მტერია წარსული, რადგან ის, რაც წარსულად იწოდება, ისეთი სისწრაფით აიგება, რომ ვერ ვასწრებთ ვერც გააზრებას და ვერც გაგებას, თუმცა კი გვეჩვენება, რომ გავიგეთ, გავიაზრეთ და განვიცადეთ. წარსული გაგებულისა და განცდილის მოჩვენებით სახეს მხოლოდ იმიტომ ატარებს, რომ ჩვენ ყოველ წამს, ვართ რა სასრული არსებანი, ვერ ვიქნებით ყველგან და უსასრულო დროს უნდა ვფლობდეთ, რათა გავამჟღავნოთ, რა გვემართება (რასაც სინამდვილეში ვგრძნობთ, რასაც ვხედავთ), რადგან ყველაფერი უკვე გადასროლილია, მნიშვნელობები განმზადებულნი და ყოველივე ამას ახლად განცდილსა და აღძრულს ზემოდან ვაწყობთ. მაგრამ (დროითი სუბსტანციის აზრით - ზ. ფ.) ყოველივე ეს მხოლოდ წარსულია. ყოველივე, რაც ენაში არსებობს მნიშვნელობათა და საზრისთა სახით, წარსულია. მეხსიერებაც მხოლოდ მოჩვენებითად არის იმის საწყობი, რაც თითქოს გაგებული და განცდილი გვაქვს. სინამდვილის რაღაც ჩვენთვის დაფარულ პლანში სინამდვილე თავზარდამცემი სისწრაფით დატრიალდა და ჩაეხვა, მოვლენები, საზრისები და ხდომილებები ერთმანეთზე დაალაგა. გვეჩვენება, რომ ვუცქერთ უძრავ საგნებს, მათ გარშემო ვმოძრაობთ, სინამდვილეში კი თავად გრძნობადი მზერის აქტშიც მოძრაობენ არა ჩვენი თვალები, არამედ საგნები და სწორედ იმ წარსულში ლაგდებიან, აზრის მტერს რომ წარმოადგენს ("კარტეზიანული განაზრებები").

მაშასადამე, წარსული ის მორევია, რომელიც ცდილობს მთელი ჩვენი ცნობიერება მოიცვას და თავის წიაღში ჩაითრიოს. იგი თითქოს სამოთხის კართან დგას, რათა მას შემდეგ, რაც ცნობადის ხის აკრძალული ნაყოფი ვიგემეთ, ანუ მას შემდეგ, რაც წარსულში, როგორც სუბსტანცტაში მოცემული გასაგნებული და გაუცხოვებული სინამდვილე ჩვენი ცნობიერების მოძრაობის, ჩვენი, როგორც არსებების სამყაროში ყოფნის აუცილებელ წანამძღვრად იქცა, იოლად აღარ დაუშვას ჩვენი უკანვე მიბრუნება და თავის დაღწევა უკვე აღწერილი გარდუვალობით მოქმედი კანონზომიერებიდან, რაც იგივეა, არ დაუშვას ჩვენი საკუთარ თავთან დაბრუნება. მისი ულმობელი იმპერატივების წყალობით აწმყო უწყვეტად იქცევა "აწმყოს წარსულად", ანუ იმად, რასაც არა თუ შეზღუდული აქვს შესაძლებლობათა სივრცე, არამედ არც გააჩნია მსგავსი რამ. ამიტომაც არის იგი გარდუვალობის სამყარო და არა თავისუფლებისა, ამიტომაც წარმოადგენს ინვენტარიზაცია და კალკულაცია მასთან მიმართების ერთადერთ ფორმას, ამიტომაც ფარავს იგი ცხრამაგი საფარველით ჩვენი სულის ცოცხალ წერტილებს და, საბოლოოდ, ამიტომაც აქვს სრულიად გამოკვეთილი ტენდენცია, ჩვენი ცნობიერება ერთგვაროვანი მკვდარი წერტილებით დასახლებულ სივრცედ აქციოს.

და მაინც, ადამიანის სულის ცხოველმყოფლობას განსაზღვრავს ის, რომ გარდა წარსულისა, საკუთარ თავში ატარებს პერსპექტივის, როგორც საკუთარი თავის უარსებითესი რაობის მოლოდინს. მართალია, წარსულის ანალოგიებით აღწერილ სამყაროში ვცხოვრობ და ვმოძრაობ, მაგრამ გამუდმებით მხედველობაში მაქვს, რომ შესაძლებელია რაღაც განსხვავებულ პერსპექტივაში ვიარსებო, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი განსხვავებულად წარიმართოს, რომ სადღაც, ფარულად და მოუხელთებლად, განსხვავებულ შესაძლებლობათა სივრცე არსებობს. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად სამყაროში ჩემი ყოფნის წესს, ჩემი პრაქტიკული გონების რაგვარობას შეეხება. მე ჯერ კიდევ მეგულება შანსი იმისა, რომ რაღაც წამს განსხვავებული ცხოვრება დავიწყო და თავიდან მოვიშორო ფარული თუ აშკარა განცდა იმისა, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი ჯერ კიდევ არ გამიკეთებია, არც კი მივსულვარ მის სამანებთან. მაგრამ იმედი იმისა, რომ ეს წამი შეიძლება დადგეს, სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩემს არსებობას, რაც არ უნდა დამამცირებელი და ღირსებას მოკლებული იყოს უკვე განვლილი გზა. ყოველივე ეს სხვაგვარადაც შეიძლება ითქვას: ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობასა და იმ წამს შორის, რომელიც, როგორც ხსნა, დევს ჩემი შესაძლებლობების სივრცეში, ცირკულირებს იმედი იმისა, რომ მართალია, აქამდე რაღაც მიშლიდა ხელს, ყოვლადმნიშვნელოვანი არსებობით მეარსება, მაგრამ ამის შანსი ჯერ კიდევ მაქვს და ჯერ კიდევ მრჩება შესაძლებლობა, რომ საკუთარი ღირსება და ღირებულება დავადასტურო, რომ მოვიმოქმედო ის, რასთან მიმართებაშიც ყოველივე სხვა მოქმედების მხოლოდ სიმულაციას წარმოადგენს, რომ მე ჯერ კიდევ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი რამ მაქვს გასაკეთებელი და აუცილებლად გავაკეთებ მას. აქამდე მოქმედებისა მხოლოდ სიმულირებას ვჯერდებოდი, თუმცა კი ვინარჩუნებდი იმედს, რომ ერთ წამსაც მის ადგილს დაიკავებს ის, რამაც უნდა დაიკავოს. მოქმედებასა და მის სიმულირებას შორის არის იმედი, როგორც ის, რაც ღირსებას მინარჩუნებს. იგი შესაძლებლობას მაძლევს, დავრჩე წარსულში და მხედველობაში მქონდეს შესაძლო მომავალი, წარსულის სუბსტანცია მომავლის ელფერებით შევამკო. ეს უკვე პერსპექტივის სიმულირების ფორმაა. შოპენჰაუერი ამბობს: ჰკითხეთ კაცს, რომელმაც უბედნიერესი ცხოვრება განვლო, ისურვებდა თუ არა იგი წარსულის მობრუნებას მისი აქტუალური რესტავრაციის აზრით და დარწმუნებული იყავით, რომ უარს მიიღებთ. აქტუალური წარსული ხომ ყოველთვის უფრო საშინელია, ვიდრე ეს წარსულის მოგონებებსა და ოცნებებში წარმოგვიდგენია. მითუმეტეს, მასში აქტუალური მიბრუნება უარის თქმა იქნებოდა იმაზე, რაც აქ და ახლა არსებობის საშუალებას მაძლევს: პერსპექტივის განცდაზე. შოპენჰაუერის აზრი ამგვარადაც შეიძლება გავიგოთ: როგორც არ უნდა მომხიბვლელად ჩანდეს წარსული, პერსპექტივისა და გახსნილობის თანაყოფნის გარეშე იგი იმ ადამიანსაც კი დააფრთხობს, ვისი განვლილი გზაც ბედნიერ გზად მიგვაჩნია.

ახლა უკვე შეიძლება "ღვთაებრივი კომედია" გავიხსენოთ. თუკი მიწიერი ცხოვრების მდინარებას ახალი ცოდნა და ახალი იმედები მოაქვს და ყოველივე, რაც უკვე არის, ანუ წარსული და აწმყო, ადამიანებთან რჩება, ჯოჯოხეთში ცოდნა შეუქცევლად ილევა. ერთისმხრით, ჯოჯოხეთი თითქოს მარადი აწმყოა, ცოდვილნი ერთ მდგომარეობაში გახევებულან - ტანჯვაში, მათი დანაშაულის საზრისს რომ გამოხატავს - ეს უკანასკნელი მათი წარსულის შედეგია, - რაც შეეხება მომავალს, იგი გაუკუღმართებული დროა, იგი კი აღარ ათვალსაჩინოვებს სამყაროს (ანუ ჩვენი და სამყაროს სხვაგვარად ყოფნის პერსპექტივას კი არ აღვიძებს ჩვენში) არამედ ყოვლწამიერად ჩაიხვევს მას.

მიწიერი ცხოვრების დასრულებამ ცნობიერებას მომავლის განზომილება მოჰკვეთა, როგორც საკუთარი თა-



ვისა და სამყაროს პერსპექტივის დაგულვების ადგილი. სული იძულებულია კვლავ და კვლავ დაუბრუნდეს წარსულს და საკუთარი თავი დაინახოს უკვე არა სხვაგვარად ყოფნის პერსპექტივაში და ამით ხსნის იმედი შეინარჩუნოს, არამედ წარსულის გახევებულ და ყოველგვარ დინამიკას მოკლებულ სახეებში. არსებობა აღარ გულისხმობს სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობას. იგი არის ის, რაც არის და საკუთარ თავთან ამ ულმობელი იგივეობით წარმდგარა ჩვენს წინაშე. ამგვარად კონსტრუირებულ ცნობიერებაში ადგილი აღარ აქვს აზრს სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობის შესახებ. იმედი იმისა, რომ ჯერ კიდევ შეიძლება მოვიმოქმედოთ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი, სასოწარმკვეთად დალეულა და მოზიმზიმე ტანჯვაში გადაზრდილა. მომავალი, როგორც გამართლების ერთადერთი საშუალება, აღარ არსებობს. იგი აღარ არის ნათელი, რომელიც ბნელსა შინა ჩანს და რომელსაც ბნელი ვერ ეწია. არსებობა წარსულის მარად დაბრუნებაში იწყებს ცირკულირებას. მე კი არ გამოვხატავდი თანაგრძნობას, არამედ სულ ვაპირებდი მის გამოხატვას, მე მეშინობა, მყვარებოდა ადამიანები, თუმცა კი საკუთარ თავს განუწყვეტლივ ვპირდებოდი, რომ ერთ წამსაც გადავლახავდი ამ შიშს. გამუდმებით მივისწრაფოდი ძალაუფლების მოპოვებისაკენ, თუმცა კი მესმოდა, თუ რამდენად უსამართლო იყო ეს სხვა ადამიანებთან მიმართებაში და მჯეროდა, რომ ერთ დღესაც სიმშვიდეს მოვიპოვებდი და სამყაროს გავულიმებდი. მუდმივ ომში ვიყავი სამყაროსთან, თუმცა კი მესმოდა, რომ ეს ომი, თუნდაც წარმატებული, საბოლოო სიხარულს ვერ მომიტანდა. მოკლედ, კი არ ვარსებობდი, არამედ სულ ვაპირებდი არსებობას. ასე შეიქმნა ის, რასაც წარსულად ვიხსენიებთ და რომელსაც მთელი არსებით გავურბოდი. დანტეს მიერ აღწერილ ჯოჯოხეთში სულს ერთი განზომილებალა რჩება სამოძრაოდ: მან განუწყვეტლივ უნდა ამოზიდოს წარსულიდან სულის ნაფლეთები (არა სული, არამედ სწორედ რომ მთლიანობასა და კავშირს მოკლებული და, ამასთანავე, პერსონიფიცირებული ნაფლეთები). მან უსასრულოდ უნდა გაიმეოროს ერთადერთ აქტუალურ სინამდვილედ ქცეული საკუთარი ნამყო რაობა. ასეც შეიძლებოდა გვეთქვა: წარსული მას საკუთარ თავში, როგორც უკვე ერთადერთ შესაძლო სინამდვილეში ითრევს. იგი წარსულში კი არ მოძრაობს, არამედ წარსულით გაჯერებული აწმყოს ერთადერთ, უგანზომილებო წერტილში გახევებულა

ყოველივე ეს დამაჯერებლად მაინც ვერ გამოხატავდა ჯოჯოხეთის ცეცხლის მნიშვნელობას, ერთი გარემოება რომ არა, რომ არ იყოს დარჩენილი სულის ერთი და ერთადერთი ცოცხადი წერტილი, რომელიც აღიქვამს, თუ როგორ ულმობლად იტყვევებს მას ეს სხვა-მე, ეს საკუთარი თავისაგან გაუცხოვების შედეგად შობილი სინამდვილე, რომლის დამთრგუნველი ძალმოსილებაც სწორედ ის არის, რომ გაიგივებს იმასთან, რასაც ყოველთვის მთელი არსებით გაურბოდი. სწორედ ამ ერთადერთი ცოცხალი წერტილისათვის ახლა სინამდვილის მთელი ტოტალობა სხვა არაფერია, თუ არა მიწიერი ცხოვრების განმავლობაში შექმნილი საკუთარი თავის სიმულაციური, აწმყოსა და მომავლის სუბსტანციას და, მაშასადამე, "ნამდვილზე უნამდვილეს" არსებობას მოკლებული ორეული. ამ დროს ტანჯვაც შვებად შეიძლება იქცეს, რადგან ტანჯვა ამ დროს, რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, უკანასკნელი ნავსაყუდელია. მაგრამ ის აღარ არის იმედი, ის სწორედ რომ ტანჯვაა, "საკუთარი ტანჯვით უგვანი ტკბობაა" (თ.მანი), რომელსაც იმედები ჩაუნაცვლებია. იგი საკუთარ გასაგნებულ და დემონოლოგიურ ენაზე ამეტყველებულ რაობასთან დისტანცირების ერთადერთი ფორმაა. ამის იქით სრული არყოფნა იქნებოდა, "გახევებულ მასებთან და სტიქიათა გრიგალებთან" (დანტე) სრული შეერთებაა. ცოცხალი მხოლოდ ტანჯვის ის შესაძლებლობაა, როდესაც ჯერ კიდევ შეგიძლია მინიმალური მანძილი მაინც დაადგინო საკუთარ თავსა და იმ დემონებს შორის, საკუთარი სულის ნაფლეთების პერსონიფიცირების შედეგს რომ წარმოადგენენ. სხვადასხვა ეპოქის დემონოლოგიურ თხზულებებში თუ მისტიკოსთა ნაწერებში ხშირად მოიხსენიებიან ავსულები, რომლებიც ადამიანური ვნებებით იკვებებიან. ბოსხის ბოლო პერიოდის ტრიპტიხის "მიწიერ ტკბობათა ბაღის" მარჯვენა ნაწილშიც ჩანს უცნაური, ჭიანჭველისებრი არსება, ადამიანებს რომ ნთქავს და წყვდიადში ისვრის. ის, რაც ადამიანმა შექმნა, იქცევა ძალად, შემქმნელსვე რომ ანადგურებს. ამდენად იგი აღარ არის სულის უბრალო გამონაყოფი, იგი უკვე ციკლური და მექანიკური სიზუსტით მოქმედი არსია, რომლის სიცოცხლისეულობაც მხოლოდ იმაში თუ მჟღავნდება, რომ დაუსრულებლად იმეორებს საკუთარ თავს. ეს არ არის სიცოცხლე. ეს არის ის ულმობელი გარდუვალობა, რომელშიც მომავალს მოკლებული სული ცხოვრობს.

ნახსენებ სურათში ადამიანის სახიანი უცნაური ფიგურაა, ორი გამხმარი და წყლით ნალოკი ხის მინამგვანი კიდურით და კვერცხის გატეხილი ნაჭუჭის მსგავსი სხეულით. სხეულში დემონური არსებები მოძრაობენ. სიცოცხლის მცირე ნიშანი მხოლოდ მის ერთ წერტილზე მიჩერებულ და ტანჯვაში გახევებულ მზერაში ჩანს. სიცოცხლის ეს უმცირესი ციალი რომ არა, ცვილისებრი სახე და უსიცოცხლო, ჩალისებრი თმა გვაფიქრებინებდა, რომ იგი მკვდარია. მის გარშემო, მის შიგნით და მასზე უცნაური და, ამასთან, ჩვენი სულის წყვდიადისათვის მტკივნეულად ნაცნობი არსებები დადიან და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ მოძრაობებს ასრულებენ. შესაძლოა, მათ არასოდეს შევხვედრივართ, მაგრამ თვალს გავუსწორებთ თუ არა, ძნელია, მათში სულის ინვოლუციური ორეულები არ ამოვიცნოთ - იმ ემპედოკლესეულ არსებაშიც კი, რეპტილიის კუდი, ადამიანის ცალი ფეხი რომ აქვს, ხოლო თავის ნაცვლად უზარმაზარი ჩაჩქანი ადგას. თავად უცნაური, ცოცხალმზერიანი არსების თავსარქმელის ცენტრში კი გუდა-სტვირია, გაბერილი და, ალბათ, მონოტონური, ზუზუნა ხმით ახმიანებულიც. მის გარშემო დემონები საზეიმო სვლაში მიუძღვებიან შიშველ და საკუთარი სიშიშვლის გამო უმწეოდ მოხრილ ადამიანებს.

ასეთია ჯოჯოხეთი ბოსხთან. მასში სულს მოგლეჯილ გროტესკულ ნაფლეთთა სამყარო ერთადერთ შესაძლებელ სამყაროდ რჩება. კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ადრე ნათქვამი: ჩემს ყოფიერებას განმსჭვალავს და საზრისს ანიჭებს აზრი, რომ მე ჯერ კიდევ მრჩება შანსი იმისა, რომ ყოვლადმნიშვნელოვანი არსებობით ვიარსებო. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ რაღაც წამს ეს შესაძლებლობა ჩამომერთვა, დავკარგე ჩემი არსების ის ნაწილი, რომელსაც ამგვარი დაპირებებით ვავსებდი. მრჩება ყოფიერება, სადაც მუდამ აპირებენ, ყური მიუგდონ სამყაროს, მაგრამ არასოდეს არ უგდებენ. ჩემი ცხოვრების წესით მე თავად შევქმენი ამგვარი კონსტიტუციის სამყარო. ამჯერად მე უკვე სხვა აღარაფერი ვარ, თუ არა უსასრულოდ გამეორებადი მუსიკალური ფრაგმენტი, უფრო სწორედ, განმეორებადი ფრაგმენტების კაკაფონიური თავმოყრა. ამ ხმაურს (და, მაშასადამე მეც) უკვე აღარ აქვს საკუთარი თავისაკენ და ჰარმონიული მთლიანობისაკენ სვლის შანსი. ის, რაც ხელთ შეგვრჩა, დაუსრულებელი კვლავგამეორების მიზეზით, მხოლოდ სიმულაციაა იმისა, რაც შეიძლებოდა ჰარმონია ყოფილიყო. იგი დაუსრულებელი კვლავგამეორებაა, სამყაროს კანონად ქცეული მონოტონურობაა. თუკი სიკვდილის შიშს რაიმე აზრი აქვს, ეს მხოლოდ დასრულების შანსს მოკლებულ ამგვარ ფრაგმენტად, ემპედოკლესეულ ნახევარარსებად ქცევის შიშია და ის ისტერიულობა, რომლითაც ყოველგვარი ათეიზმი სულის უკვდავებას უარყოფს, სხვა არაფერია, თუ არა ამ მოლოდინისაგან გაქცევა.

ბოსხის სამყარო ვერ შეიგუებდა ამგვარ მეტაფიზიკურ ზერელობას და იგი გამოსავალს ეძებს. გავიხსენოთ ერთი ირანული ლეგენდა მაცხოვრის შესახებ. იგი მოწაფეებთან ერთად მიდიოდა. გზად მკვდარი ძაღლის აყროლებულ ლეშს წააწყდნენ. მოწაფეებმა თვალი აარიდეს ლეშს, განზე გაიხედეს და სწრაფად ჩაუარეს. უცებ მათ მაცხოვრის ხმა მოესმათ, მოდით, ნახეთ, რა მშვენიერი კბილები აქვს ამ ძაღლსო. თითქოს მაცხოვარმა მშვენიერების აღმოჩენის ამ უნარეით უფსკრულში ჩაქანებული სამყარო გამოიხსნა დაღუპვისაგან. ერთადერთი, რასაც წარსულში ჩაძირული ადამიანის ხსნა ძალუძს, მაცხოვრის მზერაა. იგი მან მისივე წყალობით უნდა მოიპოვოს. თუ მოიპოვა, მისი ნათელი საკუთარი სულის ნაფლეთებს შორის გზას გაუკვალავს. თუ არა - მათში საკუთარი თავის ჩაკარგვა უწერია. ჯოჯოხეთის ტანჯვა ნიშანია იმისა, რომ ადამიანში იბრძვის ეს მზერა. სხვაგვარად შეუძლებელია ხსნა და გამოსყიდვა თუ არა ამ ტანჯვის გზით. ამ აზრით, ტანჯვა უკვე ღვთის მადლია უფრო სწორად, ნიშანია იმისა, რომ უფალს უფსკრულის ფსკერზეც არ მიუტოვებია ადამიანის სული. და, ვინ იცის, განსაწმენდელის იდეას, იქნებ, ამგვარი ხსნის რწმენამაც დაუდო საფუძველი.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ დგებუაძე

# ვის აზარია ადამის თავის ქალა?

ჩემს საპასუხოდ დაწერილი ბატონ ზურაბ კიკნაძის სტატია ("კულტურის მომავალი და მკვდარი ენები", "არილი", N9) კეთილგანწყობილი კრიტიკის ნიმუშად მიმაჩნია. მართალია, ავტორი არ იზიარებს ჩემი წერილის ("თამაში ყალბი მარგალიტებით", "არილი", N7) პათოსსა და რამდენსამე მოსაზრებას, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ძირითად დებულებას არაორაზროვნად ეთანხმება. მისი კეთილგანწყობითა და თანხმობით გულმოცემულს, მსურს განვაგრძო იმავე საჭირბოროტო პრობლემაზე საუბარი. პრობლემა რომ სერიოზულია და ღირს დაფიქრებად, არ უნდა იყოს სადაო იმათთვის, ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია ქრისტიანულ დოგმატიკაში და გული შესტკივა მართლმადიდებლობის ბედზე საქართველოში.

ვწერდი, რომ XX საუკუნის მიწურულს გაცოცხლდა და XXI საუკუნისთვის ქართულ ეკლესიაში მკვიდრდება თვალსაზრისი, გამოხატული ათი საუკუნის წინანდელი რამდენიმე ხელნაწერით შემონახულ ტექსტში "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", რომლის მიხედვით ქრისტე მეორედ მოსვლისას ქართულ ენაზე ამხელს მთელ კაცობრიობას, ყველა ენასა და ერს. შემდეგ, ვფიქრობ, შევძელი ცხადმეყო, რომ ეს არის მწვალებლური, ჭეშმარიტი ქრისტიანობის არსთან შეუთავსებელი თვალსაზრისი, რომელმაც ძველ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა, - ტექსტი საყოველთაოდ არ გავრცელებულა, - რადგან ჩვენი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ და ამ აბსურდს ჭეშმარიტებად ვერ იწამებდნენ. სამაგიეროდ, დღეს მოულოდნელად გაცოცხლდა ეროვნულ ამპარტავნებაზე დაფუძნებული ეს ძველი წვალება და ძლევამოსილად შეაბიჯა ეკლესიაში: "ქებაის" ტექსტზე დაიწერა საგალობელი, რომელიც ლიტურგიის დროს შესრულდა.

ლიტურგიაში ამ მწვალებლური ტექსტის შეტანამ ყოველ ნამდვილ ქრისტიანს განგაშის გრძნობა უნდა აღუძრას: ამპარტავნების (ჩვენს შემთხვევაში ეროვნული ამპარტავნების) სატანური სენი ლამობს წმიდათა წმიდა ადგილას, ქრისტიანობის გულისგულში დაიბუდოს. იგი დროულად უნდა დავთრგუნოთ, თორემ რელიგიური არგუმენტებით ძალმოცემული იმდენად გაიზრდება და ისეთ მახინჯ ორგანიზმს წარმოქმნის, რომ ქრისტიანული მოძღვრების და ქრისტიანული ეთიკის არსს დაემუქრება. მერე აღარას გვიშველის გულზე ხელის ბრაგუნი, ერთადერთი ნამდვილი ქრისტიანები და ქრისტიანული დოგმატის დამცველები ჩვენ, მართლმადიდებლები, ვართო, თუკი ეს ურჩხული, ეს აპოკალიფსური მხეცი ბნელეთიდან სამზეოზე გამოვიყვანეთ და საუფლო ტახტისკენ გზა გავუკაფეთ.

"აპოკალიფსური აბსურდი", რომელიც, სურასა თუ ლამპარში დატყვევებული ზღაპრული ჯინის მსგავსად, სინას მთაზე ერთ-ერთი მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში იყო გამომწყვდეული, მეცნიერთა ხელშეწყობით სამზეოზე გამოვიდა, ახალ-ახალ მომხრეებს იჩენს და ახალ-ახალ მწვალებლურ აზრებს ბადებს. იქნებ ვაჭარბებ? წაიკითხეთ საუბარი ლომისის ეკლესიის მღვდელ დავით დათუაშვილთან (გაზეთი "გლდანი-2001", 17 ივნისი), საიდანაც შეიტყობთ, რომ ქრისტე არა მხოლოდ განიკითხავს ყველა ერს ქართულად, არამედ ღვთისმშობელი თავის ძეს სწორედ ქართულად დაელაპარაკება, უფრო მეტიც - უფლის მეორედ მოსვლაც საქართველოში მოხდება. ეს მსჯელობა განსახილველი ტენდენციის იმდენად საყურადღებო ნიმუშია, რომ იმსახურებს მთლიანად იქნას მოყვანილი:

**ლიტურგიაში ამ მწვალებლური ტექსტის შეტანამ ყოველ ნამდვილ ქრისტიანს განგაშის გრძნობა უნდა აღუძრას: ამპარტავნების (ჩვენს შემთხვევაში ეროვნული ამპარტავნების) სატანური სენი ლამობს წმიდათა წმიდა ადგილას, ქრისტიანობის გულისგულში დაიბუდოს. იგი დროულად უნდა დავთრგუნოთ, თორემ რელიგიური არგუმენტებით ძალმოცემული იმდენად გაიზრდება და ისეთ მახინჯ ორგანიზმს წარმოქმნის, რომ ქრისტიანული მოძღვრების და ქრისტიანული ეთიკის არსს დაემუქრება.**

"ქებაიში განვითარებული აზრი საკმაოდ ლოგიკურია. შეგახსენებთ, რომ ეს ნაწარმოები მე-10 საუკუნეში კი არ შეიქმნა, როგორც ფიქრობენ, არამედ გარკვეულია, რომ იგი ბევრად უფრო ძველ დროში დაიწერა და მასში წმინდა მამების აზრია ჩადებული. ასე რომ, მეორედ მოსვლის დროს ქართულ ენაზე განიკითხება მთელი მსოფლიო და ყველა ამეტყველდება ამ ენაზე: ფრანგი, რუსი, თათარი და ყველა ამ ენაზე ილაპარაკებს. ამ წინასწარმეტყველების სასარგებლოდ რამდენიმე არგუმენტის მოყვანა შეგვიძლია. პირველი და უმთავრესი - საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ეკლესიურ იერარქიაში ღვთისმშობელი ყველაზე მაღლა დგას, იგი ყველაზე დიდი მეოხია საქართველოსი, რის გამოც ჩვენს სატკივარს იგი ყველაზე მეტად განიცდის. ის ქვეყანა, რომლის მფარველი და პატრონიც თვითონ არის, მას ყველაზე მეტად უყვარს და ცხადია, ამ ქვეყნის ენაც იცის. რა თქმა უნდა, მეორედ მოსვლის დროს იგი თავის ძეს ჩვენს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკება. შემდეგი არგუმენტი: ვიცით, რომ უფლის კვართი განისვენებს საქართველოში, კერძოდ, მცხეთაში. უამრავი წინასწარმეტყველება არსებობს კვართის შესახებ ძველ აღთქმაში ("განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა განიგდეს წილი"). იესო ქრისტე საქართველოში მოვა. რატომ მაინცდამაინც საქართველოში? მეორედ მოსვლის დროს მან ზეგარდამოქსოვილი და უკერველი კვართი უნდა შეიმოსოს. ეს კვართი კი, ვიმეორებ, საქართველოშია. ამ კვართთან ერთად მაცხოვარი ქართულ ენასაც შეიმოსავს, ამ ენაზე დაელაპარაკება მას დედა და ამ ენაზე გაასამართლებს იგი ყველა ტომსა და ყველა ენას".

აქ უიდუმალეს ესქატოლოგიურ საკითხებზე იმდენი თვითნებური ფანტაზიაა დახვავებული, რომ მათი განხილვა საგანგებო სტატიას მოითხოვს. ამიტომ, შევეხები მხოლოდ სათავეს: მაინც რომელი წმინდა მამის ნააზრევიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისას ფრანგი, რუსი, თათარი და, საერთოდ, ყველა ერის ადამიანი ქართულ ენაზე ამეტყველდება?

მივმართავ ბატონ ედიშერ ჭელიძეს, რომელიც დღევანდელ საქართველოში მამათა მოძღვრების საუკეთესო მცოდნედ არის აღიარებული: იქნებ, რომელსამე წმინდა მამასთან შეიძლება აღმოვაჩინოთ თუნდაც შორეული მინიშნება ამგვარ ვითარებაზე? თავისი წერილებით ბატონი ედიშერი უდავოდ სასარგებლო საქმეს აკეთებს, მაგრამ მორიდებით შევნიშნავ: მუცლად მომწყდარ ყრმათა ცხონებისა თუ წარწყმედის ან ცოდვის თეს-

ლობითად გადაცემის საკითხები ამგვარ ფონზე ნაკლებად აქტუალურია, რადგან ჩვენი პასუხისმგებლობის სფეროში არ შედის - ზეცაში წყდება. ხოლო ეკლესიაში შეუმჩნევლად შემოპარული და საშინლად მომძლავრებული ერესის გამო, როელიც თანაბრად დამღუპველია ქართველი ხალხის ეროვნული მენტალობისთვისაც და ეკლესიურობისთვისაც, უფლის წინაშე პასუხი ჩვენ მოგვეთხოვება.

აქამდე მსჯელობა შეეხებოდა იმ გულწრფელ ქრისტიანებს, ვინც ძველ ტექსტში ჩადებული ეროვნული ამპარტავნების საცთურს ვერ გაუძლო და ამან სავალალო შედეგებამდე მიიყვანა.

ხოლო როცა იმავე გრძნობისთვის (პირადი და ეროვნული ამპარტავნებისთვის) რელიგიური არგუმენტების ძიებას იწყებს კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე კარიერისტულ სწრაფვათა გამო მიღებული ზედაპირული მარქსიზმის "აღმსარებელი" და აპოლოგეტი იყო, ახლა კი კონფორმისტული მოსაზრებებით კიდევ უფრო ზედაპირულ ქრისტიანად მოგვევლინა, მდგომარეობა მართლაც რომ კარიკატურული ხდება.

ყოველმა ნამდვილმა ქრისტიანმა კარგად იცის, რომ ამპარტავნება ერთ-ერთი უსაშინლესი ცოდვაა (ეს შეეხება მის ყველა სახეობას, მათ შორის, ცხადია, ეროვნულ ამპარტავნებასაც). სწორედ ამპარტავნებამ აქცია ანგელოზი სატანად. და თუმცა ისიც ცნობილია, რომ ამ ამაზრზენი გრძნობისგან სრულიად თავისუფალი ადამიანი, ალბათ, არ არსებობს, მისი დაკმაყოფილების მიზნით რელიგიური არგუმენტების მოხმობა ისეთივე დამღუპველი (მათ შორის, ეროვნული მენტალობის თვალსაზრისით) ბოროტებაა, როგორც ქრისტიანობის გამოყენება კერპების შექმნის, მკვლელობის, ქურდობის, მრუშობის, ცილისწამების იარაღად.

ამის შესანიშნავი ნიმუშია ლადო ალფენიძის სტატია "კლიტენი იერუსალემისანი..." ("საქართველოს რესპუბლიკა", 9 ივნისი). ამ მცირე წერილში ავტორმა თავი მოუყარა იმდენ ისტორიულ, ენობრივ, თეოლოგიურ "სიბრძნეს" (არ კი ვიცი, როგორ მოახერხა), რომ შესწავლა-გაანალიზების მიზნით სტატიიდან ყველაფრის გარეთ გამოტანა, გადაუჭარბებლად ვიტყვი, ჰერაკლეს ძალას მოითხოვს, რომელმაც, როგორც ცნობილია, ავგიას თავლის გაწმენდა შეძლო. მე მხოლოდ ორიოდე მაგალითით შემოვიფარგლები.

სტატიის ბოლოს ლ.ალფენიძე გალექსილი უსტარით მიმართავს მაცხოვარს, სადაც ასეთ "მარგალიტებს" წააწყდებით: "რა აზრი ჰქონდა გოლგოთაზე იმ მისტერიას... რა შეიცვლა?" (ყველაფერი შეიცვალა, "ჩემო მარად უცვლელო ჭკვიანო", სამყარო შეიცვალა - ზ.დ.). ან კიდევ: "ეს კაცთა მოდგმა ღირსი არის რომ დაიღუპოს, დედამიწაზე ქრისტე ღმერთო ნუ დაბრუნდები"... "კვლავ გოლგოთაზე აგიყვანენ, თუ დაბრუნდები".

თავისთავად ჩნდება კითხვები: შორეული წარმოდგენა თუ მაინც აქვს ავტორს, რას ნიშნავს მეორედ მოსვლა? ან კიდევ: თავი ახლა უკვე ქრისტეს მრჩევლადაც ხომ არ წარმოიდგინა? ისე კი კაცისგან, რომელსაც გოლგოთისკენ მიმავალ გზაზე "სატანის მესა" ჩაესმის და თავმოსაწონად ასეთი მკრეხელობა წამოსცდება - "მე ქრისტეზე უფრო მტანჯავს, - ვია დოლორესა", - ყველაფერი მოსალოდნელია.

ის ადამიანები, რომლებიც ქრისტეს სიყვარულით ცხოვრების ათეულობით წელს ხაროებში თუ სვეტებზე ატარებდნენ, ან ისე განიცდიდნენ ქრისტეს სატანჯველს, რომ მისი წყლულების ადგილები - ხელის მტევნები და ფეხის ტერფები - თვითონაც უწყლულდებოდათ, აღვსილნი იყვნენ მაცხოვრის სატანჯველთან შედარებით, საკუთარი ტანჯვის, უფრო მეტიც, ნებისმიერი ადამიანური ტანჯვის სრული უმნიშვნელობის შეგნებით. და ეს ბუნებრივიცაა - მათი ზეადამიანური ზნეობრივი სიწმინდე ამგვარი ქედდადრეკილობის გარეშე წარმოუდგენელია. ახლა კი მკითხველმა თავად განსაჯოს, რასთან გვაქვს საქმე, როცა იერუსალიმში ტურისტად ჩასული კაცი განაცხადებს - ქრისტეს წამების გამო მასზე უმეტესად მე ვიტანჯებიო, - თავისი ცხოვრების წესით კი ეს იოტისოდენადაც არ დაუმტკიცებია.

თუმცა მაცხოვრისადმი თავისი ნამდვილი თვალთმაქცობის საბურველჩამოცლილი დამოკიდებულება ლ.ალფენიძემ ბოლომდე ვერ დამალა და თვით ამ სტატიაშივე გაამჟღავნა. აი, მისი ერთ-ერთი "საოცარი მიგნება" (ციტატაში ერთი წინადადება წინ გადავიტანე და მრავალწერტილით აღნიშნულ ადგილას რამდენიმე სიტყვა, სამი ქალაქის სახელი გამოვტოვე, მაგრამ შინაარსი უცვლელია. უბრალოდ, ასე უფრო მკაფიოდ წარმოჩნდება, თუ რამდენად მკრეხელურია იგი): "იმ დროს ჯვაროსნები ქრისტეს საფლავის დასახსნელად იბრძვიან! დავით მერვე კი ქრისტეს საფლავის და იმავე დროს თამარის საფლავის დასახსნელად. მე მიმაჩნია, დავით მერვე, პირველ რიგში, თამარის საფლავს პატრონობდა იერუსალიმში. ეს ვერსია სავსებით დასაშვებია, რადგანაც დავით მერვეს საკმაოდ არეული საქართველო ეპყრა ხელთ, რომ... ქრისტეს საფლავზე ეფიქრა" (!!!).

არანაკლებ საინტერესოა ლ.ალფენიძის სტატიის კიდევ ერთი ფრაგმენტი: "გოლგოთა "თავის ქალას" ნიშნავს. გადმოცემით, იქ მარხია ადამის თავის ქალა. სანამ თავი გვება, ადამის თავის ქალაც, ჩვენ, ქართველებს გვებარა... კარგი იქნებოდა, ქრისტეს მეორედ მოსვლამდე მეფე დავით მერვის მეორედ მოსვლა და ჯვრის მონასტრისა და გოლგოთის დაბრუნება".

თავი დავანებოთ იმას, თუ ქრისტიანი კაცისთვის რამდენად აბსურდულია ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ნებისმიერი გარდაცვლილი ადამიანის "მოსვლის" ნატვრა. ვიკითხოთ მხოლოდ ეს: რატომ ოცნებობს იგი, ქართველთა ხელთ იყოს გოლგოთა - უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე? შეიძლებოდა გვევარაუდა: იმ მიზნით, რომ მისგან გადმოსული მთელი მადლი მხოლოდ ქართველებმა დავისაკუთროთ და მერე ჩვენი შეხედულებისამებრ ვუნაწილოთ იგი მსოფლიოს. მაგრამ ზემოთ მოყვანილი სიტყვები, - დავით მეფე ქრისტეს საფლავზე საფიქრებლად ვერ მოიცლიდაო, - აშკარას ხდის: წმიდა ადგილებიდან თუ ქრისტიანული რელიკვიებიდან გარდმომავალი ღვთიური მადლისა ავტორს არაფერი სწამს. რჩება ერთადერთი შესაძლებლობა: გოლგოთის ფლობა, მისი აზრით, იქნება ის საშუალება, რომლითაც დავიკმაყოფილებთ ეროვნული ამპარტავნების გრძნობას.

* * *

ყოველმა ნამდვილმა ქრისტიანმა კარგად იცის, რომ ამპარტავნება ერთ-ერთი უსაშინლესი ცოდვაა (ეს შეეხება მის ყველა სახეობას, მათ შორის, ცხადია, ეროვნულ ამპარტავნებასაც). სწორედ ამპარტავნებამ აქცია ანგელოზი სატანად. და თუმცა ისიც ცნობილია, რომ ამ ამაზრზენი გრძნობისგან სრულიად თავისუფალი ადამიანი, ალბათ, არ არსებობს, მისი დაკმაყოფილების მიზნით რელიგიური არგუმენტების მოხმობა ისეთივე დამღუპველი (მათ შორის, ეროვნული მენტალობის თვალსაზრისით) ბოროტებაა, როგორც ქრისტიანობის გამოყენება კერპების შექმნის, მკვლელობის, ქურდობის, მრუშობის, ცილისწამების იარაღად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ანთაძე

# რატომ წავიდა მიხეილ სააკაშვილი

ბოლო ერთი კვირაა, ჯიხურში, სადაც ყოველდღე მიხდება გაზეთების შეძენა, დილის ათი საათისთვის "ალიასა" და "ახალი თაობის" ყველა ეგზემპლარი უკვე გაყიდულია. გაზეთების გამყიდველი ქალბატონი გაოცებულია; მე მეკითხება, - რა წერია გაზეთებში ასეთი საინტერესო. მეც ვპასუხობ: ყველაფერი, რაც ხდება, საინტერესოა.

* * *

პირადად ჩემთვის ბოლო დღეების მოვლენებში ყველაზე მეტად საინტერესოა პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომ იუსტიციის მინისტრის პოსტი შესთავაზოს მიხეილ სააკაშვილს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო შეიქმნა, სააკაშვილმა საჯაროდ გამოთქვა მზადყოფნა, აღმასრულებელი ხელისუფლების ეს მძიმე "პორტფელი" და შესაბამისი პასუხისმგებლობა ჩაებარებინა. მაგრამ მაშინ პრეზიდენტის არჩევანი მიხეილ მაჭავარიანზე შეჩერდა, რაც საზოგადოებამ სრულიად ბუნებრივად აღიქვა.

ახლა კი, როდესაც მოულოდნელად იუსტიციის მინისტრის სავარძელი გათავისუფლდა, პრეზიდენტმა იგი საკუთარი ინიციატივით, პარლამენტიდან მინიშნების გარეშე, მიხეილ სააკაშვილს შესთავაზა.

რას შეიძლება ნიშნავდეს პრეზიდენტის ეს ინიციატივა?

ამგვარი შეკითხვა ჩნდება ორი მიზეზით. პირველი მიზეზი ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირი" და პარლამენტია, საიდანაც მიხეილ სააკაშვილი მოდის; მეორე მიზეზი კი - მთავრობა და სახელმწიფო კანცელარიაა, სადაც მიხეილ სააკაშვილი მიდის.

ესე იგი, იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ მთავარ შეკითხვას - რატომ მიდის მიხეილ სააკაშვილი? - დაგვეხმარება იმის გარკვევა, თუ საიდან მოდის და სად მიდის იგი.

## საიდან მოდის მიხეილ სააკაშვილი

პარლამენტი არჩევითი ორგანოა. მის სპეციფიკას ის ფაქტორი განსაზღვრავს, რომ პარლამენტის თითოეული წევრი არჩეულია საქართველოს მოსახლეობის მიერ და ყოველი მათგანი თანასწორია. ეს არის უმაღლესი პოლიტიკური ტრიბუნა და, ამასთან, დემოკრატიული სივრცე, სადაც ადამიანები, პირველ რიგში, თავისი პოლიტიკური უნარებით წარმოჩნდებიან და მკვიდრდებიან.

პარლამენტში არსებობს უმრავლესობა და უმცირესობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის წევრი უმცირესობის წევრს რაიმე ნიშნით აღემატება. უფრო მეტიც, ნებისმიერი ფრაქციის ლიდერი და ნებისმიერი კომიტეტის თავმჯდომარე, თვით პარლამენტის თავმჯდომარეც კი, არსებითად, ზუსტად ისეთივე დეპუტატები არიან, როგორც ყველა დანარჩენი. ამიტომ, საკანონმდებლო ხელისუფლებაში იერარქია და რანგირება გაცილებით სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ვიდრე აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

იმის მიუხედავად, რომ არსებობს საპარლამენტო თანამდებობები და არსებობენ თანამდებობის პირები, პარლამენტის თითოეული წევრი მაინც მხოლოდ საკუთარი თავის უფროსია და სხვა უფროსი არ ჰყავს.

მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ზრდა და ლიდერად ჩამოყალიბება მოხდა სწორედ საპარლამენტო სივრცეში, რომელიც მისი ბუნებისთვის და უნარებისთვის იდეალურად ხელსაყრელი აღმოჩნდა.

* * *

სასამართლო რეფორმამ და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე საქმიანობამ მიხეილ სააკაშვილი ორი დადებითი ნიშნით გააცნო საზოგადოებას: მას შეუძლია კარგად ლაპარაკი და, ამასთან, კარგი საქმის კეთებაც.

თუმცა, იმის შემდეგ, რაც სააკაშვილს ფრაქციის ლიდერობა მიანდეს, მისი იმიჯი უარყოფითი შტრიხებით შეივსო: "უჭირს კონცენტრირება სხვა ადამიანის პრობლემებზე", "ძნელია მისი დაჭერა სასაუბროდ", "კონფლიქტურია", "პრეზიდენტმა პარლამენტში საბავშვო ბაღი მოაწყო", და სხვა...

ბოლოხანს ჟურნალისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია უმრავლესობის ლიდერის - ნიკო ლეკიშვილისა - და ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერის - მიხეილ სააკაშვილის - ურთიერთობამ. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან, ახალი მოწვევის პარლამენტში შეიქმნა ის რეალობა, როცა ფაქტობრივად ერთიან სივრცეს (120 წევრიან "მოქალაქეთა კავშირს" და მაჟორიტარების 16 წევრიან ფრაქციას) განკარგავდა ორი ამბიციური ლიდერი: ნიკო ლეკიშვილი და მიხეილ სააკაშვილი. ამ პირობებში, უმრავლესობის და ფრაქციის ლიდერის საქმიანობა ფაქტობრივად ფარავდა ერთმანეთს - ნიკო ლეკიშვილი ყველას ლიდერი იყო, ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილი.

ამიტომ, გაჩნდა ვერსია, რომ უმრავლესობის ლიდერმა და ფრაქციის თავმჯდომარემ გავლენის სივრცეები ვერ გადაინაწილეს, რაც, ფაქტობრივად, ძალიან ლოგიკურად ჟღერდა.



კონფლიქტი ბუნებრივად გაგრძელდა: ნიკო ლეკიშვილმა უფლებამოსილება შეიჩერა უმრავლესობის ლიდერის პოსტზე და, დაბრუნების სანაცვლოდ, რეალური ბერკეტები მოითხოვა.

რას გულისხმობდა ბატონი ნიკო "რეალურ ბერკეტებში" და რა პირობით დაიყოლია პრეზიდენტმა იგი, რომ პოსტზე დაბრუნებულიყო - ცნობილი არ არის.

უმრავლესობის ლიდერის დაბრუნების შემდეგ გარეგნულად არაფერი შეცვლილა. საფიქრებელი იყო, რომ ნიკო ლეკიშვილს და მიხეილ სააკაშვილს ურთიერთობის დაბალანსება ისევ ძველებურად გაუჭირდებოდათ. უფრო მეტიც, ლეკიშვილის დაბრუნების შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ლიდერის პოსტი მიხეილ სააკაშვილს უნდა დაეტოვებინა.

როდის და როგორ მოხდებოდა ბერკეტების გადაცემა ბატონი ნიკოსთვის, წინასწარ ამის თქმა შეუძლებელი იყო. არც იმის პროგნოზირება შეიძლებოდა, რა მოხდებოდა მანამ, ვიდრე მიხეილ სააკაშვილს ახალ ფუნქციას მოუძებნიდნენ.

შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ის პროცესები, რაც გასული თვის განმავლობაში პარლამენტში განვითარდა, სწორედ ნიკო ლეკიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობებს უკავშირდებოდა.

"ახალი ფრაქციის" ლიდერებმა - დავით გამყრელიძემ და ლევან გაჩეჩილაძემ - არაერთხელ განაცხადეს, რომ ისინი ნიკო ლეკიშვილის პოლიტიკური ქოლგის ქვეშ არ ბინადრობენ. თუმცა, ბატონმა ნიკომ, თავის მხრივ, აღნიშნა - ეს ახალგაზრდები ჩემს მეგობრებად რჩებიან, რაც არსებითად მიმაჩნია.

"ახალი ფრაქციის" ლიდერებისგან განსხვავებით, კახა ჩიტაია, ნინო ბურჯანაძე და ზაზა სიორიძე, ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ ▶

ნიკო ლეკიშვილის პოლიტიკური ქოლგის ქვეშ აღმოჩნდნენ: ისინი გავიდნენ ფრაქციიდან და, იმავდროულად, დარჩნენ უმრავლესობაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ დატოვეს სააკაშვილის ბანაკი და "გაამაგრეს" ლეკიშვილის სივრცე.

* * *

სწორედ ამ ვითარებაში გადაწყვიტა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილისთვის იუსტიციის მინისტრის პოსტი შეეთავაზებინა და, შესაბამისად, პარლამენტიდან მთავრობაში გადაეყვანა.

როდესაც პრეზიდენტმა თავის წინადადებაზე ჟვანიას და სააკაშვილის თანხმობა მიიღო, სულ ორიოდე დღეში შეხვდა ფრაქციის საბჭოს და უმრავლესობას. ამ შეხვედრაზე მან ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა საპარლამენტო უმრავლესობისადმი მხარდაჭერა და სურვილი - ფრაქციიდან წასული წევრები ისევ მშობლიურ წიაღს დაბრუნებოდნენ.

* * *

პრეზიდენტის მხარდაჭერამ "სულზე მოუსწრო" საპარლამენტო უმრავლესობას: მიხეილ სააკაშვილს მინისტრის პოსტი ერგო; ნიკო ლეკიშვილს უმრავლესობის მთელი სივრცე გაუთავისუფლდა; რიგითმა წევრებმა დაინახეს, რომ პირადი ინიციატივები დიდ სიფრთხილეს მოითხოვს; ზურაბ ჟვანიამ კი პრეზიდენტისგან სრული მხარდაჭერა მიიღო, სულისკვეთებით: "ზურაბი შვილად მიმაჩნია" და სხვა ამგვარი.

არცთუ დიდი დრო დასჭირდება იმის გარკვევას, რამდენად რეალურად მოიხსნა დაძაბულობა საპარლამენტო უმრავლესობაში.

თუ პრობლემას ქმნიდა მართლაც ნიკო ლეკიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის ურთიერთობა, - ესე იგი, ვითარება კარგა ხნით განმუხტულად უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ არსებობს სხვა საფრთხე: თუ სინამდვილეში ერთმანეთს ეჯახება არა ნიკო ლეკიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის, არამედ - ნიკო ლეკიშვილისა და ზურაბ ჟვანიას ინტერესები - მაშინ, უნდა ველოდოთ, რომ დესტრუქციული პროცესები უმრავლესობაში სულ მალე განახლდება: ამ პრობლემას სააკაშვილის წასვლა ნამდვილად ვერ მოაგვარებს.

ესე იგი, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა მიზნები აქვს სამომავლოდ ნიკო ლეკიშვილს. ის პროცესები, რომლებიც პრეზიდენტის და უმრავლესობის შეხვედრით დასრულდა (ან, იქნებ, არც დასრულებულა!), სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ბატონმა ნიკომ უმრავლესობის ლიდერის პოსტი დროებით დატოვა და ამით პოზიცია გაიმყარა.

ამასთან, უნდა დავძინოთ, რომ ნიკო ლეკიშვილის მხრიდან ნებისმიერი ამბიცია საზოგადოების ნაწილს საფუძვლიანად და ლოგიკურად მიაჩნია.

## სად მიდის მიხეილ სააკაშვილი

პარლამენტისგან განსხვავებით, მთავრობა მკაცრად იერარქიულია. აღმასრულებელი ხელისუფლების პოსტებზე ადამიანები ინიშნებიან და იხსნებიან. მათ ჰყავთ უფროსები და ხელქვეითები. მათ აქვთ საქმის გაკეთების და გაფუჭების რეალური ბერკეტები. ისინი ფლობენ ძალაუფლებას და, როგორც წესი, ამ ძალაუფლების ტყვეობაში მოქცეულები, კარგავენ თავისუფლებას.

მთავრობის სხდომა და პარლამენტის სხდომა ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან - როგორც ცა და დედამიწა. პარლამენტის სხდომაზე "ჰორიზონტალური" წესრიგი სუფევს, მთავრობის სხდომა კი "ვერტიკალურ" წესრიგს ექვემდებარება.



ერთხელ, მთავრობის სხდომაზე, პრეზიდენტმა თავად ბრძანა - პარლამენტში კამათი მიღებულია, ჩვენთან კი - არაო. მართალიც ბრძანა. ისეთი ამაღელვებელი თემებიც კი, როგორიც არის კორუფციასთან ბრძოლა შინაგან საქმეთა ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროში, უშიშროებასა თუ პროკურატურაში - ყოველგვარი შეკითხვების, კამათისა და ემოციის გარეშე მიმდინარეობს. აღმასრულებელი ვერტიკალის წვერზე ადგილი მხოლოდ თვინიერთათვის არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ბოლო დრომდე.

ცხადია, ეს ვითარება არ ნიშნავს, რომ მინისტრები ცუდად აზროვნებენ, ან ემოციები არ გააჩნიათ. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი (დანიშვნითი) ხელისუფლება, თავისი არსით, უფრო ავტორიტარული და დისციპლინირებულია, საკანონმდებლო (არჩევითი) ხელისუფლება კი - უფრო გახსნილი და თავისუფალი.

მთავრობის სხდომა, ძირითადად, მონოტონურად და მოსაწყენად მიმდინარეობს. მაგრამ ეს მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობას არ ეხება. ამბობენ, რომ, მაგალითად, თბილისის მთავრობის პრემიერის - გიორგი შერაძის - თათბირებზე ბუზის გაფრენის ხმა ისმის. ამ თათბირიდან მოსულ ადამიანს, ცხადია, ყურს მოჭრის პარლამენტის სხდომაზე ერთმანეთში აჭრილი ათასნაირი ხმაური.

ალბათ, ბევრს იმათგან, ვისაც აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა დონის თათბირებზე უხდება დასწრება, პარლამენტის სხდომა უწესრიგოდ და ქაოსურად ეჩვენება. მაგრამ უცხო თვალისთვის ქაოსად აღქმულ ამ სინამდვილეში, გაწვეული თვალი ბევრ კანონზომიერებას აღმოაჩენს. თითოეული დეპუტატის მოძრაობა, მეორე დეპუტატის მაგიდასთან მიახლოება და გადაჩურჩულებაც კი, არცთუ იშვიათად, ძვირფასი ინფორმაციის მატარებელია. არიან დეპუტატები, რომლებიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან და, როგორც წესი, მაგიდებს შორის დადიან. არიან სხვა კატეგორიის დეპუტატები: ისინი სულ სხედან და მათთან მოსათათბირებლად სხვები მოდიან - ცალ-ცალკე და, ზოგჯერ, ჯგუფ-ჯგუფადაც. ყველა ფრაქციაში არიან აქტიურები და შედარებით პასიურები, საქმიანები და ნაკლებად საქმიანები, გამცდენები და ბეჯითები, არიან წყვილები, კროსვორდების მოყვარულები, გაბმულად ტელეფონზე მოლაპარაკეები, ძილისგუდები... არის ისეთიც, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლისას ფურცელზე შენიშვნებს იწერს - საქმეს სერიოზულად ეკიდება.

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის არსებითი სხვაობაა და მათი მუშაობის სტილს მთლიანად განსაზღვრავს მათივე არსი. შესაბამისად, ადამიანების ერთი კატეგორია პარლამენტის თავისუფალ, ჰორიზონტალურ, არჩევით სივრცეში უკეთ გრძნობს თავს, მეორე კატეგორია კი - მთავრობის მკაცრ, დანიშვნით ვერტიკალში. სხვათა შორის, ეს მხოლოდ მინისტრებსა და პარლამენტარებზე კი არა, ჟურნალისტებზეც ვრცელდება.

მიხეილ სააკაშვილი არ არის პირველი პარლამენტარი, რომელსაც დღევანდელ მთავრობაში მოუხდება გადანაცვლება. მისი მეგობრები და კოლეგები - მიხეილ მაჭავარიანი, ზურაბ ნოღაიდელი და დავით კირვალიძე - მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ დაფუძნდნენ აღმასრულებელ სივრცეში.

როგორ შეეგუება მთავრობის სხდომებზე გამეფებულ ხანგრძლივ სიმყუდროვეს (ყველაზე რბილი სიტყვა შევარჩიეთ!) ამბოხის მოყვარული და თავისუფლებას მიჩვეული მიხეილ სააკაშვილი? ან როგორ შეეგუება თავად მთავრობის სხდომების უემოციო გარემო ემოციებით მუდმივად დამუხტულ მიხეილ სააკაშვილს?

იმის შემდეგ, რაც საქართველოში ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ახალი მთავრობა ჩამოყალიბდა, მისი შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა,

მაგრამ ამ შემადგენლობაში არასოდეს ყოფილა მეამბოხე მინისტრი.

იმის შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მთავრობაში მიიყვანა სრულიად სუფთა იმიჯის მქონე რამდენიმე ადამიანი, ჩანს, იგი მზად არის, მთავრობა თვისებრივად კიდევ ერთხელ განაახლოს.

იმ ქვეყნებში, სადაც თანამდებობის პირები, - მათ შორის, მინისტრები, - მკაცრი კრიტერიუმების თანახმად ინიშნებიან და იხსნებიან, აღმასრულებელ სივრცეს ობიექტური კანონზომიერებები აწესრიგებს. ჩვენთან კი მეტი თვინიერებაა საჭირო. ამიტომ, ბუნებით მეამბოხე, მებრძოლი ადამიანის მოსვლა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს იერარქიაში - აშკარა თვისებრივი სიახლეა, რაც, შესაძლოა, ქვეყნის თუნდაც ერთი ნაბიჯით წინსვლაზე მიუთითებს.

სულ სხვაა მინისტრის საქმიანობა თავად სამინისტროში, ყოველდღიური რუტინა, რომელიც საზოგადოების თვალისგან მოფარებულია და საბედისწერო შეცდომების დაშვების დიდ საფრთხეს მოიცავს. ბეწვის ხიდი სწორედ აქ გადის და პრესაც ამის გათვალისწინებით წერდა, რომ ციხის საავადმყოფოს გვირაბი, შესაძლოა, უფრო სააკაშვილისთვის გაითხარა, ვიდრე აბსანძისთვის.

მეორე მხრივ, აღმავალი პოლიტიკური კარიერა, ადრე თუ გვიან, უსათუოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაში საქმიანობით გრძელდება. ზოგისთვის ეს საბაჟოა, ზოგისთვის - პოლიცია, ზოგისთვის კი - ციხეების მოვლა. ვინც ამ გამოცდას ვერ ჩააბარებს, მას სამუდამოდ მოუხდება პოლიტიკურ კარიერასთან განშორება.

ამიტომ, ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს მთავრობაში თავი მოიყარა ჟვანიას გუნდის რამდენიმე წევრმა და კიდევ რამდენიმე თანამოაზრემ, ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, როგორც ამ გუნდის შანსი - უშუალო მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში.

თუ ეს შანსი წარმატებული აღმოჩნდება, კიდევ მეტი სამომავლო პერსპექტივა გაჩნდება.

თუ პირიქით მოხდა, საზოგადოება დაინახავს, რომ ამ გუნდმა ქვეყანას სიკეთე ვერ მოუტანა და თავის წიაღში სხვა, ახალ გუნდს წარმოშობს. შესაძლოა, ეს პროცესი პარალელურად უკვე მიმდინარეობს.

* * *

პრეზიდენტის ინიციატივა - იუსტიციის მინისტრის პოსტი მიხეილ სააკაშვილმა დაიკავოს, მეტ-ნაკლებად ჭრის პრობლემებს პარლამენტში და, სამაგიეროდ, ქმნის პრობლემებს მთავრობაში.

უფრო სწორად, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სააკაშვილი შეინარჩუნებს საკუთარ თავს ახალ გარემოში, არ მოექცევა ძალაუფლების ტყვეობაში და არ დაკარგავს თავისუფლებას. ეს ოპტიმისტური ვერსიაა.

კრიტიკულად განწყობილი პრესა კი ორ პესიმისტურ ვერსიას განიხილავს - სააკაშვილს მთავრობაში სხვების მსგავსად "მოაშინაურებენ", ან, თუ თავნებობას გააგრძელებს, საკუთარი ხელით დაასამარებს თავის კარიერას.

### რატომ მიდის მიხეილ სააკაშვილი

ამ კითხვაზე არაერთი პასუხი არსებობს, მაგრამ ძნელი სათქმელია, რომელია მათ შორის ყველაზე სწორი.

პრეზიდენტთან უმრავლესობის შეხვედრამდე ბევრი ამბობდა: მიდის იმიტომ, რომ ჟვანიას გუნდი დასუსტდეს. შესაძლოა, ასეც მოხდეს - თუ საპარლამენტო უმრავლესობაში შინაომები გაგრძელდა, ჟვანიას სააკაშვილის გარეშე გაუჭირდება.

პრეზიდენტთან უმრავლესობის შეხვედრის შემდეგ ბევრი ამბობდა: მიდის იმიტომ, რომ ჟვანიას გუნდი გააძლიეროს. შესაძლოა, ასეც მოხდეს - თუ სააკაშვილი მინისტრობას თავს გაართმევს, მას თავისი გუნდისთვის მთავრობაში არანაკლები სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე პარლამენტში.

ზოგის აზრით, იმისთვის მიდის, რომ რამდენიმე თვეში კისერი წაიტეხოს.

დანარჩენები ფიქრობენ - იმისთვის მიდის, რომ ძალოვანი მინისტრები დააბალანსოს (ან, უკეთეს შემთხვევაში, გადმოაბალანსოს!).

მავანი დარწმუნებულია, რომ იუსტიციის სამინისტრო პროკურატურას დაიქვემდებარებს; მავანი კი ფიქრობს, რომ სააკაშვილი საგამოძიებო დეპარტამენტის შექმნას და თავის სამინისტროსთან შემოერთებას აპირებს.

დღეს შეუძლებელია, ერთადერთი და არგუმენტირებული პასუხი გაეცეს შეკითხვას: რას ნიშნავს პრეზიდენტის ინიციატივა და რისთვის წავიდა იუსტიციის მინისტრის პოსტზე მიხეილ სააკაშვილი.

იმის თქმა კი შეიძლება: საქართველოს უახლეს ისტორიაში საზოგადოება მოწმე ხდება პრეცედენტისა, როდესაც მინისტრის პოსტი კი არ აძლიერებს პიროვნებას, არამედ - პიროვნება, თავისი პოლიტიკური წონით, აძლიერებს მინისტრის პოსტს.

არილი



ზაზა ფაჩუაშვილი

# ირმების გადასახედო...

## ალავერდობა



იმდენი იძახეს, გვალვა, გვალვაო, კაცს ეგონებოდა კახეთში მწვანე ფერი აღარ არისო. ძალიან კარგადაც არის.

ალავერდობას ვიყავი და ვნახე, ისეთი მწვანე იყო, შიგ თვალს ვერ გააძვრენდი. თუ გააძვრენდი და ალაზნის ველზე გაანავარდებდი, თეთრ ღრუბლებში ამოსულ ლურჯ მთებსაც დაინახავდი. ზოგან ღრუბლების ჩანჩქერები ისე იყვნენ მთებზე ჩამოკალთებულნი, გეგონებოდათ ფერდობებს უბანენო. ძირი არ უჩანდათ, მაგრამ შხეფებს კი ისროდნენ.

ქვევით ალაზნის ველი ოქროსფერობდა და სიმაღლის შიშს ფანტავდა, გაფრენას განდომებდა კაცს. არა, ძმაო ძალიან უპატივცემულოდ ვექცევით გვალვას, თუკი ასეთ ლამაზ კვალს ტოვებს. ამის შემხედვარე კაცმა შეიძლება, ლობიოზე იფიქროს? ლობიო კი არა, ავტობუსი ბრეჟნევისდროინდელი რომ არ ყოფილიყო, ის შეისხამდა ფრთებს.

ერთი გენახათ, თელავისკენ რა ხდებოდა. ცელქი ღრუბლები მთებს საახალწლო სათამაშოებივით ესხდნენ და ნერვებს უდროოდ უშლიდნენ - ნაძვის ხეო, ნაძვის ხე! ნაძვის ხეო, ნაძვის ხე!

მოდარაჯე მთები კი ალავერდს შემოჰყროდნენ და თავისი სიდიდით ყველას აფრთხილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ე მანდ არავის დაგავიწყდეთ, რისთვის აპობდა ზვირთებს გურამ რჩეულიშვილიო.

მოკლედ, ასე ღმერთის მადიდებელი ბუნებ-ბუნებით მივედით ალავერდამდე. იქ უკვე კაცის ჯერი იდგა. ახლა მას უნდა ედიდებინა ღმერთი.

სადღესასწაულო წირვა-ლოცვა პატრიარქმა აღავლინა. მორწმუნე მრევლი ეზიარა და წმინდა იოსებ ალავერდელის საფლავსაც თაყვანი სცა. ეგ იყო ღმერთის დიდება.

დანარჩენები ჭედილასთან საჭიდაოდ იყვნენ ამოსულები. ჯერ ცოცხალს ექაჩებოდნენ ორი ერთზე, რომ ტაძრისთვის სამჯერ შემოეტარებინათ, შემდეგ გალავნის შორიახლოს მოხარშულს და ამწვადებულს მიირთმევდნენ დოლ-გარმონის "ტკბილ ჰანგებ" ქვეშ. თავის ცხვარს თვითონვე ჭამდნენ, მაგრამ, რომ გეკითხათ, ღმერთს შესწირეს და ის უხაროდათ.

ქრისტემ თქვა, რად მინდა თქვენი ცხვრები და ვაცები, მთელი ქვეყანა და ყველა სულიერი ჩემი არისო, თქვენი ლოცვა შემომწირეთო! მაგრამ კახური ღვინის სამოთხეების მადიდებელ ხალხს ამის გაგონება უნდოდათ?! ისხდნენ და თვრებოდნენ. დრო და დრო მომსახურე ბებიებს აცეკვებდნენ მათდამი დიდი პატივისცემის ნიშნად და ისინიც, წინაპრობის მათლაფიანი კანდიდატები მორჩილად ტოკავდნენ მზრუნველი შთამომავლობის წინაშე.

იქვე იყო გაშლილი სახელდახელო წვრილ-ბაზრობა. ტრიალებდნენ თაღლითების "ეშმაკის ბორბლები", ყველა ნომერი იგებს, ყველა ნომერიო. გალავნის ქვეშ საერო დღესასწაულის მცდელობა იყო. ხალხი წრეზე იდგა, ზურნა ჭყვიტინებდა და ნახერხში ითხუპნებოდნენ ბალღები.

ყველაფრის მიუხედავად, სოციალისტურთან შედარებით წლევანდელი ღრეობა ისე მოკრძალებული იყო, რომ ტყუილად მართლა არ გადამხტარა ზღვაში გურამ რჩეულიშვილი ჩვენს გადსარჩენად.

ალავერდობიდან რომ ვბრუნდებოდით, შუადღე საღამოს ელოდებოდა. მთებს ონავარი ღრუბლები დაეფერთხათ და დაენისლათ. აღარ კრიალებდა ალაზნის ველი. ახლა მას უნამავდა ქოჩორს ნაზი ნისლი.

## ღვინის კაცები

წლევანდელი მოსავალი კახეთში სულ წვიმამ დაკრიფა. ბოლოს, როცა ვკითხეთ, რას შვრები, კაცო, რთველს მზე უხდებაო, შეტრიალდა და შემოდგომის თაროდან ასეთი მონოლოგი ჩამოიღო: "რა ვქნა, ვიცი, რომ აქაურობას ვატალახებ, მაგრამ ღვინის კაცების გამოფხიზლება მინდა. ამაზე უკეთეს დროს კი ველარ ვნახავ. ეს კაცები რთველზე ხდებიან მგრძნობიარენი, ისე წვიმა უხარიათ კიდეც. იძახიან, საქეიფო ამინდიაო, სხედან ერთმანეთთან, სვავენ და სვავენ. სახლებიდან აღარ გამოდიან.

ხედავთ რაღას ჰგვანან? სულ ერთთავად რქაწითელის ფერისანი არიან. დაილანდებიან მარანში და არე-მარეს ღვინითღა უკავშირდებიან. მთელი ქვეყანა ჭიქაში ჰყავთ. სადღეგრძელოს ენის წვერამდე ჩამოაბარბაცებენ, გადაჰკრავენ, ჭიქას დასდგამენ და ერთი ლუკმის მერე ისევ ავსებენ. ცარიელი ჭიქა გუნებას უფუჭებთ. გაავსებენ და ტკბებიან, უყურებენ და თვრებიან სამარის კარამდე.

ღვინოც გაბრაზებულია. ასე მითხრა, მაგათ ამბავს მე მაბრალებენო. ყველა ამბობს, ეჰ, რა ბიჭები იყვნენ და ღვინომ რა დღეში ჩაჰყარაო. არადა, დაწერილია, ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო, მაგრამ, თუ კაცს გახარება არ უნდა, აბა, რა ღვინის ბრალია. მზესაც ყელში ამოუვიდა ყველაფერი და შვებულებაში ადრე გავიდა.

მე კარგად მახსოვს და... იცით რა ჯეელები იყვნენ? ზუსტად ისეთები, თავის დროზე, შაჰ აბასს რომ სისხლს უშრობდნენ და ახლა ცაში არიან ანგელოზებივით.

- კაცო, თქვენ თადადებულებს რათ გეძახიან, ეგე რა ლამაზი თავები გაბიათ-მეთქი, - შევუარე ამას წინათ და ვკითხე:

- ჩვენა, ძმაო თათრის თავები დავალაგეთ ალაზნის ველზედა და იმიტომაო, - მიპასუხეს.

- მერე, სხვა სამკაული ვერა ნახეთ-მეთქი?

- რა ვიცით, აბა, თათარიც ჩვენი ძმა არიო, - გაეცინათ".

ეს თქვა წვიმამ და გადაიღო. იმ დღეებში ჩვენც რთველი გვქონდა მოყვრებში და ასე ვთქვათ, პატივი გვცა. გადაიღო თუ არა, ვენახშიც წავედით. ალაზნის ველი სარწყავი არხით ორად არის გაყოფილი. ქვევით ვენახებია, ზევით ნავენახები. ხალხს უფიქრია, ზევით ვერ ვრწყავთ, გვალვები მაინც გააფუჭებსო და აუჩეხიათ. მოკლედ, გავიარეთ შაჰ აბასის ოცნება და მივედით ვენახში. დავკრიფეთ ყურძენი, ამოვიტანეთ სახლამდე და დასცხო კიდეც წვიმამა.

მარანში შეტანა არ გვაცალა და მაინც დაგვასველა. როგორც იქნა დავწურეთ, ტკბილი ცეცხლზე შემოვდგით და სუფრასაც შემოვუსხედით.

სულ მალე ყველა გავრქაწითლდით, ღვინის კაცებიც და წვიმის კაცებიც.

**არილი**



ეროვნული
ბიბლიოთეკა



http://www.opentext.org.ge/arili

წკაპ HERE



ჩრ 133/4

"მე ჭეშმარიტებას ვაყენებ სამშობლოზე მაღლა და მებადება კითხვა: ბევრ ქართველს შეუძლია ჭეშმარიტების დაყენება თავისი სამშობლოს მოჩვენებით ინტერესებზე მაღლა? თუ არ შეუძლიათ, ცუდი ქრისტიანები ყოფილან"

